



თაგვებსა და აღამიანებზე

ჭონ სტაინბეკი



თაგვებსა და ადამიანებზე [P] [SEP]

მდინარე სალინასი სოლედადის სამხრეთით რამდენიმე მილში, ბორცვისპირა სანაპიროსთან ეშვება და შემდეგ უკიდეგანოდ ღრმა და მწვანით მოსილი მიედინება. წყალი თბილია, რადგან ვიდრე ვიწრო აუზში მოექცეოდა, დიდხანს მოლივლივებდა ყვითელ ქვიშაზე თავარა მზის ქვეშ. მდინარის ერთ მხარეს ოქროსფერი სივრცე იშლება, რომელიც გაბილანის ძლევამოსილი, კლდოვანი მთების წინაშეა აღმართული, ხეობის მეორე მხარეს კი წყალი დასერილია ხეებით – ტირიფებით, რომლებიც გაზაფხულზე ქორფა სიმწვანით იმოსებიან და ზამთრის წყალდიდობებს მოყოლილ ნაფორებს ქვედა ტოტების ფოთლებქვეშ ინახავენ. – და ნეკერჩხსლებით, თეთრხალებიანი, გადამნექილი მსხვილი და წვრილი ტოტებით მდინარის კალაპოტს თაღივით რომ გადახურვიან. ქვიშის სანაპიროზე ხეებქვეშ ისე უხვად ყრია ხმელი ფოთლები, რომ ხვლიკიც ვერ გაირბენს უხმაუროდ. საღამოობით კურდღლები ბუჩქებიდან სილაზე გამოდიან, ღამღამობით კი სანაპიროს ვრცელი, ნესტიანი მიდამო მოფენილია ენოტების ნაკვალევით, შუაღამით წყლის დასალევად რანჩოებიდან გამოსული ძაღლების თათებისა და ირემთა ორად გაპობილი ჩლიქების ანაბეჭდებით. [SEP]

ტირიფებსა და ნეკერჩხსლებს შორის ბილიკი გათელილი აქვთ რანჩოებიდან ღრმა მდინარეში საცურაოდ ჩამოსულ ბიჭებს და დატვეპნილი – მანანწალებს, საღამოობით გზატკეცილიდან რომ გადმოუხვევენ ხოლმე დაღლილები მდინარის პირას ღამის გასათევად. გიგანტური ნეკერჩხსლის ჰორიზონტალურად გადმოწოლილი მსხვილი ტოტის წინ ნაცრის დიდი გროვაა, რომელიც ამ ადგილას ხშირად გაჩაღებულ კოცონზე მიუთითებს. მსხვილი ტოტი კი, რომელიც უამრავი ადამიანის მოსასვენებელი ადგილი გამხდარა, ამდენი ჭდომისგან უკვე გამოფიტულა და გალეულა. [SEP]

ცხელი დღის შემდეგ, საღამოხანს სუსტმა ნიავმა ფოთლები ააშრიალა. ჩრდილი ნელ-ნელა მთის მწვერვალებსაც გადაეფარა. სილიან სანაპიროზე კურდღლები პატარა, ნაცრისფერი გამოქანდაკებული ქვებივით ჩამოსხდნენ. მალე შარაგზის მხრიდან ფეხის ხმა მოისმა – ვიღაც ნეკერჩხსლის გამხმარ ფოთლებს შორის მოაბიჭებდა. კურდღლებმა უჩუმრად თავშესაფრებს

თაგვებსა და ადამიანებზე

მიაშურეს. თავმომწონე ყანჩა პატი შეფრთხიალდა და მძიმედ დაეშვა მდინარისკენ. სულ ერთი წამით ირგვლივ სიჩუმემ დაისადგურა, შემდეგ კი ბილიკზე ორი კაცი გამოჩნდა, რომლებიც მწვანე გუბურასთან, მდელოზე გამოვიდნენ.^[5]

ბილიკს ერთმანეთის მიყოლებით მოუყვებოდნენ და გაშლილ მდელოზეც კი ის ერთი მეორის უკან იდგა. ორივეს ტილოს შარვლები დაყ თითბრისღილებიანი ქურთუკები ეცვათ, შავი, უფორმო შლაპები ეხურათ და მხარზე მჯიდროდ დახვეული პლედები ჰქონდათ მოგდებული. წინ მომავალი კაცი პატარა და სწრაფი იყო, მუქი ფერის სახე, მოუსვენარი თვალები და მკაცრი, ძლიერი ნაკვთები ჰქონდა. მისი სხეულის თითოეული ნანილი გამომსახველობითი იყო: პატარა, ძლიერი ხელები, მოხდენილი მკლავები, თხელი და სწორი ცხვირი. მის უკან კი გოლიათივით კაცი მოაბიძებდა, ბრტყელი სახით, დიდი, უღიმღამო თვალებით, განიერი, ჩამოშვებული მხრებით. მოდიოდა მძიმედ, ფეხებს ოდნავ მოათრევდა, ზუსტად ისე, როგორც დათვი – თავის თათებს. სიარულის დროს ხელებს არ ამოძრავებდა, უსარგებლოდ ჰქონდა ჩამოყრილი.^[6]

წინ მომავალი მამაკაცი ისე მოულოდნელად შედგა მდელოზე, რომ უკანმიმყოლი ლამის დაეჭახა. პირველმა შლაპა მოიხადა და საჩვენებელი თითით ქუდის შიღა მხარეს ტყავის ლენტს ოფლის წვეთები მოაშორა. მისმა გოლიათმა თანამგზავრმა პლედები ძირს დაყარა, დაემხო და პირდაპირ მწვანე გუბურაში დაეწაფა წყალს. სვამდა ხარბად, დიდი ყლუპებით და ცხენივით ფრუტუნებდა. პატარა კაცს მოუსვენრობა დაეტყო და ზურგიდან მიუახლოვდა.^[7]

– ლენი, – უთხრა მკვახედ, – ლენი, თუ ღმერთი გწამს, ამდენს ნუ სვამ. – ლენი კი გუბურაში ცხენივით ფრუტუნს განაგრძობდა. პატარა კაცი გადაიხარა და მხრებით მოზიდა.^[8]

– ლენი, წუხანდელივით ავად გახდები.^[9]

ლენი ჭერ შლაპიანად წყალში ჩაყურყუმელავდა, შემდეგ ნაპირზე ჩამოჭდა, წყლის წვეთები შლაპიდან ლურჯ ქურთუკსა და მთელს ზურგზე წურწურით ჩამოსდიოდა.^[10]

– კარგია, – თქვა მან, – შენც დალიე, ჭორჭ, ბევრი დალიე, – გაუღიმა

ჭონ სტაინბეგი

ბედნიერად. [P]

ჭორქმა დახვეული პლედი მოიხსნა და ფრთხილად დადო მიწაზე. [SEP]

— ეს წყალი რაღაც სუფთას არ ჰგავს, ძალიან ქაფიანია. [SEP]

ლენიმ თავისი ტორი წყალში ჩაჰყო და თითები ისე აათამაშა, რომ წყალი აქაფდა, შემდეგ წრეები გაფართოვდა, გუბურის მეორე მხარისკენ იქცია პირი და შემდეგ უკან შემობრუნდა. ლენი თვალმოუშორებლად უყურებდა. [SEP]

— ნახე, ჭორქ, ნახე, რა გავაკეთე. [SEP]

ჭორქმა გუბურასთან ჩაიჩოქა და პეშვით სწრაფად დალია წყალი. [SEP]

— გემოს არა უშავს, — აღიარა მან, — თუმცა, არ მგონია გამდინარე იყოს. ლენი, არ უნდა დალიო წყალი, თუ ის გამდინარე არ არის. აბა, შენ თუ მოგწყვიანი სანიაღვრედანაც დალევ. — ერთი მუჭა წყალი სახეში შეისხა და ნიკაპქვეშ ყელი და კისერი ხელით ჩამოიბანა. შემდეგ ისევ დაიხურა შლაპა, წყლისგან მოშორებით ჩამოქდა, ფეხები მოიკეცა და ხელები შემოაჭდო. ლენიმ, რომელიც თვალს არ აშორებდა, ზედმიწევნით გაიმეორა იგივე: წყლისგან მოშორებით ჩამოქდა, ფეხები მოიკეცა, ხელები შემოაჭდო და ისევ ჭორქს შეხედა, რომ დარწმუნებულიყო, ყველაფერისწორად გააკეთა თუ არა, და ამის შემდეგ შლაპა თვალებზე ოდნავ ჩამოიფხატა, ზუსტად ისე, ჭორქივით. [SEP]

ჭორქი გულმოსული მისჩერებოდა მდინარეს. მცხუნვარე მზეზე თვალის უპეები სულ მთლად დასწითლებოდა. გაბრაზებით წამოიძახა. [SEP]

— იმ წაძირალა ავტობუსის მძღოლს ყველაფერი რომ არ აერია, პირდაპირ რანჩოსთან მივიდოდით. თქვა, ორ წაბიჯშია გზატკეცილიდან, სულ რაღაც ორ წაბიჯშიო. ღმერთმა დასწყვევლოს, მავისი ორი წაბიჯი კაი ოთხი მილი გამოვიდა. უბრალოდ არ უნდოდა რანჩოს ვართან გაჩერება, ეგ იყო მიზეზი. წარმოგიდგენიათ, ავტობუსის გაჩერებაც კი ებარება. ალბათ ერჩივნა სოლედადში საერთოდ არ გაჩერებულიყო. წამოგვყარა ავტობუსიდან და გვეუბნება, გზატკეცილიდან ორ წაბიჯშიაო. ალბათ ოთხ მილზე მეტიც გავიარეთ უკვე. თან ამ ჭორქოხეთურ სიცხეში. [SEP]

— ჭორქ. — მოკრძალებით შეხედა ლენიმ. [SEP]

— ჰო, რა გინდა? [SEP]

— სად მივდივართ, ჭორქ? [SEP]

თაგვებსა და ადამიანებზე

მომცრო კაცმა ნერვულად კიდევ უფრო ჩამოიფხატა შლაპა თვალებზე და ლენის მკვახედ მიუვო.^[SEP]

— ისევ დაგავიწყდა, არა? ისევ თავიდან უნდა ავიხსნა, ხო? ღმერთო ჩემო, შეშლილი ნაძირალა ხარ!^[SEP]

— დამავიწყდა, — ჩუმად თქვა ლენიმ, — ვცდილობდი, არ დამვიწყებოდა, ღმერთია მონამე, ვცდილობდი, ჭორჭ.^[SEP]

— ვარგი, ვარგი, გეტყვი კიდევ ერთხელ. მე ხომ მაინც სხვა საქმე არ მაქვს, მთელ დროს იმაში ვხარჭავ, რომ შენ რაღაცებს გეუბნები, შენ გავიწყდება და მე ისევ თავიდან გეუბნები.^[SEP]

— ძალიან ვეცადე, — უპასუხა ლენიმ, — მაგრამ არაფერი გამოვიდა. სამაგიეროდ, კურდღლებზე მახსოვს, ჭორჭ.^[SEP]

— ჭანდაბამდე გზა ჰქონიათ მაგ კურდღლებს. ერთადერთი, რაც არ გავიწყდება, ეგ კურდღლებია. ვარგი! ახლა ვარგად მომისმინე და ამჭერად უნდა დაიმახსოვრო, თუ გინდა ხიფათს არ გადავეყაროთ. გახსოვს, ჰოვარდ სტრიტზე როგორ ვისხედით იმ ხვრელთან და შავ დაფას ვუყურებდით?^[SEP]

ლენის სახეზე კმაყოფილების ღიმილი დააჩნდა.^[SEP]

— რა თქმა უნდა, ჭორჭ, მახსოვს... მაგრამ... რას ვავეთებდით? მახსოვს, წინ ვიღაც გოგონები დადიოდნენ და შენ თქვი... შენ თქვი...^[SEP]

— ჭირსაც წაუღია, მე რა ვთქვი. გახსოვს, მარეის და რედის ოფისში რომ მივედით და მათ სამუშაო ბარათები და ავტობუსის ბილეთები რომ მოგვცეს?^[SEP]

— რა თქმა უნდა, ჭორჭ. ახლა გამახსენდა, — თქვა ლენიმ, სწრაფად ჩაიყო ორივე ხელი ჭიბეებში და ფრთხილად უპასუხა, — ჭორჭ... ჩემი ბარათი აღარ მაქვს. მგონი დავვარგე, — და უიმედოდ დახარა თვალები.^[SEP]

— არც არასდროს გქონია, რეგვენო. ორივე მე შევინახე. როგორ გგონია, შენ ჩაგაბარებდი?^[SEP]

ლენიმ შვებით ამოისუნთქა და გაიღიმა.^[SEP]

— მე... მევონა ჭიბეში შევინახე.^[SEP]

და ისევ ჭიბეში ჩაიყო ხელი.^[SEP]

ჭორჭმა ეჭვით შეხედა.^[SEP]

— ჭიბეში რა გაქვს?^[SEP]



ჭონ სტაინბეკი

- არაფერი, ჭორქ, – იეშმავა ლენიძე.
– ვიცი, რომ ჭიბუში აღარ გაქვს, იმიტომ რომ ახლა ხელში მალავ. რა გიჭირავს ხელში?
– არაფერი, ჭორქ, არ გატყუებ.
– მაჩვენე, რა გაქვს.
ლენიძე მუშტი უკან გაწია.
– ეს უბრალოდ თაგვია, ჭორქ.
– თაგვი? ცოცხალი თაგვი?
– უჰ, მკვდარი თაგვია, ჭორქ. მე არ მომიკლავს. მართლა! ვიპოვე, მკვდარი ვიპოვე.
– მომეცი! – უთხრა ჭორქმა.
– გთხოვ, ჭორქ, არ წამართვა.
– მომეცი!
ლენის ხელი ნელ-ნელა დამორჩილდა. ჭორქმა გამოართვა თაგვი და გუბურის მეორე მხარეს, ბუჩქებში მოისროლა.
– რა ჭანდაბად გინდა მკვდარი თაგვი?
– რომ მოვდიოდით, ცერა თითით ვეფერებოდი, – მიუგო ლენიძე.
– როცა ჩემთან ერთად ხარ, ამის გავეთება არ გაძედო. ახლა გახსოვს, სად მივდივართ?
ლენი შეკრთა და დაბნეულობისგან თავი მუხლებში ჩარგო.
– დამავიწყდა.
– ღმერთო მაღალო! – თქვა ჭორქმა მორჩილად, – მოკლედ, ჩვენ უნდა ვიმუშაოთ რანჩოში, როგორც იქ, ჩრდილოეთში.
– ჩრდილოეთში?
– უიდში.
– აჲ, კი, უიდში, მახსოვს.
– რანჩო, სადაც ახლა მივდივართ, აი, იქ არის, მეოთხედ მიღმი აქედან. იქ უნდა მივიდეთ და ბოსი ვნახოთ. ახლა მისმინე, მე სამუშაო ბარათებს მივცემ, მაგრამ შენ ხმა არ უნდა ამოიღო. უბრალოდ ხმაგავმენდილი იდექი. თუ შეგატყო, როგორი შეშლილი ნაძირალა ხარ, სამსახურს ვერ ვეღირსებით. მაგრამ სანამ შენს ხმას გაიგონებდეს, იქამდე თუ მუშაობაში

თაგვებსა და ადამიანებზე

გაგიცნო, მაშინ თავი ქუდში გვაქვს. გაიგე? [SEP]

— აბა რა, ჭორჭა, გავიგე. [SEP]

— კარგი, ანუ ბოსთან რომ მივალთ, შენ რას გააკეთებ? [SEP]

— მე... მე, — ლენი დაფიქრდა. ფიქრისგან სახე დაებერა, — მე... არაფერს ვიტყვი. უბრალოდ ვიდგები. [SEP]

— კარგი ბიჭი ხარ, ყოჩაღ, ორ-სამჯერ გაიმეორე, რომ არ დაგავიწყდეს. [SEP]

ლენი ჩუმად თავისთვის იმეორებდა [SEP]

— ხმა არ უნდა ამოვიღო... ხმა არ უნდა ამოვიღო... ხმა არ უნდა ამოვიღო. [SEP]

— კარგი, — უთხრა ჭორჭა, — და რაც უიდში გააკეთე, ეგეთ ცუდ რამეს აღარ მოიმოქმედებ. [SEP]

ლენი სავონებელში ჩავარდა. [SEP]

— რაც უიდში გავაკეთე? [SEP]

— აჲ, ეგეც დაგავიწყდა? კარგი, მაშინ არ გავახსენებ, თორემ ისევ გაიმეორებ. [SEP]

ლენის თითქოს გონება გაეხსნა. [SEP]

— უიდიდან გამოგვყარეს, — წამოროშა საჩეიმოდ. [SEP]

— გამოგვყარეს, როგორ არა, — მიახალა ჭორჭამა გაბრაზებით, — გამოვიქეცით. გვეძებდნენ, მაგრამ ვერ დაგვიჭირეს. [SEP]

ლენიმ მხიარულად ჩაიხითხითა. [SEP]

— ხედავ, არ დამვიწყებია. [SEP]

ჭორჭი ქვიშაზე წამოწვა და თავქვემ ხელები ამოიდო, ლენიმაც იგივე გაიმეორა. შემდეგ თავი წამოწია, რომ დარწმუნებულიყო, ყველაფერი ზუსტად გააკეთა თუ არა. [SEP]

— ღმერთო, ლენი, შენგან მხოლოდ უსიამოვნებებს უნდა ვეღოდო, — უთხრა ჭორჭა, — რა ადვილად გავიტანდი თავს, კუდჩე რომ არ მყავდე გამობმული. იოლად ვიცხოვრებდი და იქნებ მეგობარი გოგოც მყოლოდა. [SEP]

ლენი სულ ერთი წუთით უხმოდ ინვა, შემდეგ კი იმედისმომცემად უპასუხა. [SEP]

— რანჩოში უნდა ვიმუშავოთ, ჭორჭა. [SEP]

ჭონ სტაინბეკი

— ვარგი. როგორც იქნა, დაიმახსოვრე. მაგრამ ღამეს აქ გავათევთ, ასე მინდა. [SEP]

დღე სწრაფად იწურებოდა. ხეობა ბინდში ჩაიძირა. მხოლოდ გაბილანის მთების წვერები გაენათებინა მზეს. გუბურის გასწვრივ წყლის გველი გასრიიალდა, თავი პატარა პერიოსკოპით წამოემართა. ლერწმები მღელვარე მდინარებით ირწეოდნენ. სადღაც შორს, გზატკეცილთან კაცის ხმა გაისმა, რომელსაც მეორე გამოეპასუხა. ნეკერჩხლის ტოტები ნიავმა ოდნავ შეარხია და იქვე მიყუჩდა. [P]

— ჭორჭო, რატომ არ მივდივართ რანჩოში სავახშმოდ? იქ ხომ ვვავახშმებენ? [SEP]

ჭორჭო მეორე მხარეს გადაბრუნდა. [SEP]

— შენი საქმე არ არის. მე აქ მომწონს. მუშაობას ხვალ დავიწყებთ. დავინახე, სალენი მანქანა მიჰყავდათ რანჩოში. ეს ნიშნავს, რომ ქერი ტომრებში უნდა ჩავყაროთ და დავიქანცოთ. ამაღამ კი მე აქ წოლა და ცაში ყურება მინდა. მომწონს. [SEP]

ლენი ფეხზე წამოდგა და ჭორჭოს დახედა. [SEP]

— არ ვივახშმებთ? [SEP]

— რა თქმა უნდა, ვივახშმებთ, თუ შენ ტირიფის გამხმარ ტოტებს მოაგროვებ. ფუთაში სამი ქილა ლობიო მაქვს. ცეცხლი გააჩაღე. ტოტებს რომ მოაგროვებ, ასანთს მოგცემ. ლობიოს გავაცხელებთ და ვივახშმებთ. [SEP]

— ლობიო კეტჩუპით მიყვარს, — თქვა ლენიმ. [SEP]

— კეტჩუპი არ ვვაქვს. ასე რომ, წადი, შეშა მოაგროვე. დროზე გაინძერი, თორემ მაღვე დაღამდება. [SEP]

ლენი მოუქნელად წამოდგა და ბუჩქებში გაუჩინარდა. ჭორჭო იწვა და არხეინად უსტვენდა. ქვევით, მდინარესთან, იმ მხარეს, საითაც ლენი წავიდა, წყლის დგაფუნის ხმა გაისმა. ჭორჭმა სტვენა შეწყვიტა და მიაყურადა. [SEP]

— საბრალო, უტვინო, — ჩაილაპარავა და სტვენა განაგრძო. [SEP]

მაღვე ლენი ბუჩქებიდან გამოძვრა. ხელში ერთადერთი ტოტი ეჭირა. ჭორჭო წამოჭდა. [SEP]

— ვარგი, — მიუგო უხეშად, — მომეცი თაგვი! [SEP]

— რომელი თაგვი, ჭორჭო. თაგვი არ მაქვს. — ლენიმ ოსტატურად

თაგვებსა და ადამიანებზე

გაითამაშა საკუთარი უცოდველობა.^[SEP]

ჭორქმა ხელი გაუწოდა.^[SEP]

— მიდი, მიდი, მომეცი. ხომ იცი, ვერ მომატყუებ. ^[P]

ლენი უარობდა, უკან დაიხია და სასოწარკვეთილმა ბუჩქებს გახედა, თითქოს გაქცევას ლამობდა. ჭორქმა ცივად უპასუხა.^[SEP]

— მომცემ თაგვს თუ გცემო? ^[SEP]

— რა უნდა მოგცე, ჭორქ? ^[SEP]

— ემმაკმა დასწყევლოს, კარგად იცი, რაც. აი, ის თაგვი. ^[P]

ლენიმ უხალისოდ ჩაიყო ჭიბეში ხელი. ხმა ოდნავ გაებზარა: — არ მესმის, რატომ არ შეიძლება მყავდეს. არავისი არაა ეს თაგვი. არ მომიპარავს. გზაზე ვიპოვე. ^[P]

ჭორქს კვლავაც მედიდურად ჰქონდა ხელი გაწვდილი. ნელა, ფოქსტერიერივით, რომელსაც არ სურს თავის პატრონს ბურთი დაუბრუნოს, ლენი მიუახლოვდა, უკან დაიხია და შემდეგ ისევ მიუახლოვდა. ჭორქმა თითები გაატკაცუნა და ლენიმაც მორჩილად ჩაუდო თაგვი ხელში. ^[P]

— მისთვის ცუდი არაფერი გამიკეთებია, ჭორქ, მხოლოდ ვეფერებოდი. ^[P]

ჭორქი წამოდგა და რაც შეეძლო შორს, ჩაბნელებულ ბუჩქებში მოისროლა თაგვი, შემდეგ გუბურასთან მივიდა და ხელები დაიბანა. ^[SEP]

— შე შემლილო უტვინო, გგონია ვერ ვხედავ, რომ ფეხები სველი გაქვს, და ეს იმიტომ რომ მდინარეში შეხვედი მის მოსაძებნად? ^[P]

ჭორქს ლენის სლუკუნი მოესმა და მიტრიალდა. ^[P]

— პატარა ბავშვივით ღნავის! ღმერთო ჩემო! ამხელა კაცი და შენნაირი. ^[P]

ლენის ტუჩი აუთრთოლდა და თვალები ცრემლით აევსო. ^[P]

— აჲ, ლენი, — ჭორქმა ხელი მხარზე დაადო, — თაგვი შენთვის ავი განზრახვით არ წამირთმევია. ის ხომ დიდი ხნის წინ მოკვდა და ისიც იმიტომ რომ ხელში ჭერისგან სულ მთლად დაალენე ყველაფერი. არა უშავს, სხვა თაგვს იძოვი, ცოცხალს და მოგცემ უფლებას, რომ ცოტა ხანს გყავდეს. ^[P]

ლენი ძირს დაჭდა და დამწუხრებულმა თავი ჩაქინდრა. ^[P]

— აქ თაგვებს ვერ ვიპოვი. მახსოვს, ერთი ქალი იჭერდა და მოჰყავდა ჩემთვის თაგვები. მაგრამ ის ხომ აქ არ არის. ^[P]

ჭორქმა ჩაიცინა. ^[P]



ჭონ სტაინბეკი

— ერთი ქალი? და ისიც ვი არ გახსოვს, ის ქალი ვინ იყო? ის შენი დეიდა კლარა იყო. და მანაც შეწყვიტა შენთვის თავვების მოყვანა, რადგან ყველა დახოცე. [SEP]

ლენიმ სევდიანად ახედა. [SEP]

— ისინი ისეთი პატარები იყვნენ, — თქვა თავის დასაცავად, — მე ვეფერებოდი, ისინი ვი თითებზე მკბენდნენ, მე თავზე ვჩქმეტდი და ისინი ვვდებოდნენ — იმიტომ რომ პატარები იყვნენ. ნეტავ კურდღლები გვყავდეს, ჭორჭკ, ისინი ხომ პატარები არ არიან. [SEP]

— ჭანდაბას კურდღლები. შენთვის არ შეიძლება ცოცხალი თავვების მოცემა. დეიდა კლარამ რეზინის თავვი მოგიტანა, მაგრამ რეზინის არ ისურვე. [SEP]

— მისი მოფერება არ მომწონს, — უთხრა ლენიმ. [SEP]

მთის მწვერვალებიდან დაისის ალმური ავარდა და ხეობაში ბინდი ჩამოწვა, ნახევრად ჩაბნელდა ტირიფები და ნეკერჩხლებიც. დიდი კობრი გუბურის ჩედაპირზე ამოცურდა, ჰაერი ჩაისუნთქა და ისევ ჩაბნელებულ წყალში გაუჩინარდა, ჩედაპირზე კი წყლის წრეები დატოვა. ფოთლები ისევ აშრიალდა, ტირიფიდან თეთრი ბუმბული ჩამოფარფატდა და წყლის ჩედაპირზე დაეცა. [SEP]

— შეშას მოიტან, ბოლოს და ბოლოს? — მოსთხოვა ჭორჭმა, — აი, იმ ნეკერჩხლის უკან უამრავი ტოტია, წყალდიდობას მოყოლილი. სწრაფად, მოიტანე. [SEP]

ლენი ხესთან მივიდა და გამხმარი ტოტები და ფოთლები წამოვრიფა, ძველი ნაცრის გროვაზე დაყარა და რამდენჯერმე მიბრუნდა უკან, ახალი და ახალი წყება რომ წამოედო. უკვე სრულად დაღამებულიყო. წყალზე ხმაურით გადაფრთხიალდა მტრედი. ჭორჭა ტოტების გროვასთან მივიდა და გამხმარ ფოთლებს ცეცხლი წაუკიდა. ალი ტოტებს მოედო. ჭორჭმა ფუთა გახსნა და სამი ქილა ლობიო ამოიღო. ქილები ცეცხლთან ახლოს დადგა, მაგრამ ისე, ალი რომ არ მოსდებოდა. [SEP]

— ეს ლობიო ოთხ კაცსაც ვი დაანაყრებს, — თქვა მან. [SEP]

ლენი კოცონის მეორე მხარეს იდგა და შეპყურებდა. ჭიუტად გაიმეორა. [SEP]

— მე ლობიო კეტჩუპით მიყვარს. [SEP]

თაგვებსა და ადამიანებზე

— კეტჩუპი არ გვაქვს, — ჭორჭმა წონასწორობა დაკარგა, — ყოველთვის ის გინდა, რაც არ გვაქვს. ღმერთო, მარტო რომ ვიყო, რა იოლად ვიცხოვრებდი. ვიმოვიდი სამსახურს და ვიმუშავებდი, საზრუნავი არ მექნებოდა. არანაირი უსიამოვნება. თვის ბოლოს ავიღებდი ჩემს კუთვნილ ორმოცდაათ დოლარს, წავიდოდი ქალაქში და რაც მინდა, იმას ვიყიდდი. ღამეს გოგონებთან ერთად გავატარებდი. შევჭამდი, სადაც მომესურვებოდა, სასტუმროში ან სადმე სხვაგან, რაც მომინდებოდა, იმას შევუკვეთავდი, თვიდან თვემდე ავიღებდი მთელ გალონ ვისკის და ვითამაშებდი კარტს ან ბილიარდს. [SEP]

ლენი დაიხარა და გაბრაზებულ ჭორჭს ცეცხლსჩემოდან გადმოხედა. შიშისგან სახე დაებრიცა. [SEP]

— და რა შემრჩა? — გააფთრებით აგრძელებდა ჭორჭი, — შენ! შენ, რომელიც ვერც ერთ სამსახურს ვერ ინარჩუნებ და მეც მაკარგვინებ ყველა სამსახურს, რომელსაც ვშოულობ. ამიტომ დავხეტიალობ მთელს ქვეყანაში და, ეს კიდევ არაფერი: ყოველთვის უსიამოვნებებში ეხვევი. სულ რაღაცას აფუქებ და შენი დაცვა მიწევს. [SEP]

მისი ხმა ნელ-ნელა ყვირილში გადაიჩარდა. [SEP]

— შეშლილი ძაღლიშვილი ხარ. შენ გამო, სულ ნემსებზე ვზივარ. [SEP]

და გამოაჭავრა ლენის, ისე, როგორც ამას პატარა გოგონები აკეთებენ. [SEP]

— უბრალოდ მინდოდა იმ გოგოს კაბას შევხებოდი — ისე მოვფერებოდი, როგორც თაგვებს. — სად ჭანდაბიდან უნდა სცოდნოდა, რომ მხოლოდ მის კაბაზე შეხება გინდოდა? გაქცევას ცდილობდა, შენ კიდე თაგვივით ჩაიგირე. იყვირა და მერე მთელი დღე სარწყავ არხში დამალულებმა გავატარეთ, ამ დროს კი ყველა ჩვენ გვეძებდა. როცა დაღამდა, გამოვიპარეთ და ქვეყნის დატოვება მოგვიწია. ყოველ ჭერზე ერთი და იგივე, ყოველ ჭერზე. ნეტავ შემეძლოს გალიაში ჩაგსვა მილიონ თაგვთან ერთად, კარგ დროს გაატარებდი. [SEP]

ჭორჭს სიბრაზე უეცრად გაუქრა, ცეცხლს მიღმა ლენის დატანჯულ სახეს გახედა და დარცხვენილმა მზერა ცეცხლის ალზე გადაიტანა. [SEP]

უკუნი სიბნელე ჩამოწვა. მხოლოდ კოცონი ანათებდა ხის ღეროებსა და მოკავულ ტოტებს. ლენი ფორთხვით გაჩოჩდა კოცონის ირგვლივ, სანამ



ჭონ სტაინბეკი

ჭორქის გვერდზე არ აღმოჩნდა. საკუთარ ქუსლებზე ჩამოკდა. ჭორქმა ლობიოს ქილებს მხარი უცვალა და მეორე მხრიდან მიუფიცხა კოცონს. თითქოს ლენის ვერც კი ამჩნევდა. [P]

– ჭორქ, – თქვა ლენიმ ძალიან ჩუმად. [SEP]

პასუხი არ იყო. [SEP]

– ჭორქ! [P]

– რა გინდა? [SEP]

– გავიხუმრე, ჭორქ, არ მინდა კეტჩუპი. აგერ, ჩემ წინაც რომ იდოს, მაინც არ შევჭამდი. [P]

– მაგრამ ხომ გიყვარს? [SEP]

– მაინც არ მინდა, ჭორქ. შენ მოგცემდი დამე არ მივევარებოდი. [P]

ჭორქი ისევ დაღვრემილი შეჰყურებდა ცეცხლს. [SEP]

– იმაზე რომ დავფიქრდე, რა ბედნიერად შეიძლება ვიცხოვრო უშენოდ, შეიძლება ჭკუიდან შევიშალო. შენთან ერთად კი ერთი წუთი არ მაქვს მოსვენება. [P]

ლენი კვლავაც ფეხმორთხმული მიშტერებოდა უკუნეთს მდინარის გასწვრივ. [P]

– ჭორქ, თუ გინდა, წავალ და დაგტოვებ. [P]

– სად ჭანდაბაში უნდა წახვიდე? [SEP]

– აი, იმ მთებში წავალ და გამოქვაბულს ვიპოვი. [P]

– ჰო? და რას შეჭამ? იმისთვისაც კი არ გყოფნის ტვინი, რომ საჭმელი იშოვო. [P]

– რამეს ვიპოვი, ჭორქ. მე ხომ არ მჭირდება გემრიელი საჭმელი კეტჩუპით. მზის ქვეშ დავწვები და არავინ მომევარება. ვიპოვი თაგვს და დავიტოვებ. არავინ წამართმევს. [P]

ჭორქმა გამომცდელად შეხედა. [P]

– გეწყინა, ჰო? [P]

– თუ არ გჭირდები, წავალ მთაში და გამოქვაბულს ვიპოვი. ახლავე შემიძლია წავიდე. [P]

– არა... ლენი, უბრალოდ გავიხუმრე. რა თქმა უნდა, მინდა, რომ ჩემთან დარჩე. მთელი უბედურება ისაა, რომ შენ ყოველთვის კლავ ამ თაგვებს, –

თაგვებსა და ადამიანებზე

ჩაფიქრდა, – იცი რა, როგორც კი მეყოლება, ლევას გაჩუქებ. იქნებ ის მაინც არ მოგიკვდეს. ლევა თაგვზე უკეთესია. უფრო კარგადაც მოეფერები. [SEP]

მაგრამ ლენიმ მაშინვე იგრძნო უპირატესობა და ამ ანკესზე არ წამოეგო.

[SEP] – თუ არ გჭირდები, უბრალოდ მითხარი და მაშინვე წავალ აი, იმ მთებში და მარტო ვიცხოვრებ. თაგვსაც არავინ წამართმევს. [SEP]

– მინდა, რომ ჩემთან დარჩე, ლენი, – მიუგო ჭორჭმა, – ღმერთო ჩემო, მარტო რომ დაგტოვო, ვინმეს კოიოტი ეგონები და გესვრის. არა, არა, დარჩი. შენს გარდაცვლილ დეიდა კლარას ძალიან ეწყინებოდა, რომ გაეგო, გაიქცაო. [SEP]

ლენიმ მარჯვედ მოუჭრა. [SEP]

– მომიყევი... როგორც მაშინ... [SEP]

– რა მოგიყვე? [SEP]

– კურდღლებზე. [SEP]

– ტვინს ნუ მირევ, – უკმეხად უპასუხა ჭორჭმა. [SEP]

– ჭორჭ, მომიყევი. გთხოვ, ჭორჭ, როგორც მაშინ! – შეეხვერა ლენი. [SEP]

– მოგეწონა, ხო? კარგი, მოგიყვები და მერე ვივახშმოთ... [SEP]

ჭორჭს ხმა გაუთბა. სიტყვებს ისე რიტულად წარმოთქვამდა, ჩანდა, პირველად არ ჰყვებოდა ამას. [SEP]

– ჩვენნაირი ბიჭები, რანჩოში რომ ცხოვრობენ, მსოფლიოში ყველაზე მარტოსული ბიჭები არიან. არ ჰყავთ ოჭახი. არ აქვთ სახლი. მივლენ რანჩოში, ცოტას გამოიმუშავებენ და გაფარდებიან ქალაქში ამ ფულის გასაფლანგად. მერე უცებ მოიხედავ და, ახლა სხვა რანჩოს მიადგებიან. ეგეთები მომავლისგან არაფერს ელიან. [SEP]

ლენი თითქოს ყველა სიტყვას ისრუტავდა. [SEP]

– სწორია, სწორია. ახლა ჩვენზე მოყევი. [SEP]

– მაგრამ ჩვენ მათ სავსებით არ ვგავართ, – განაგრძობდა ჭორჭი, – ჩვენ მომავალი გვაქვს. მე და შენ გვყავს ვიღაც, ვისაც დაველაპარაკებით, ვისჩეც ვიზრუნებთ. ჩვენ არაფერში გვჭირდება ბარში ჭდომა და ვისკის წრუპვა მხოლოდ იმიტომ რომ სხვაგან წასასვლელი არ ვვაქვს. ნებისმიერი მათგანი შეიძლება ციხეში მოხვდეს და იქვე გაიხრინას. მათ გამო თითხაც არავინ



ჭონ სტაინბეკი

გაანძრევს. აი, ჩვენი საქმე კი სხვაგვარადაა. [SEP]

– ჩვენ სხვა ვართ, – გადაწყვიტა ლენიმ, – რატომ? იმიტომ... იმიტომ რომ
მე შენ მყავხარ და შენ – მე. აი, ამიტომაც, – ბედნიერმა გაიღიმა, – თქვი,
ჭორჭა, თქვი. [SEP]

– მაგრამ შენ ხომ ზეპირად იცი. შევიძლია თავადაც მოჰყვე. [SEP]

– არა, არა. ხომ შეიძლება რამე დამავიწყდეს. მოყევი, როგორ იყო. [SEP]

– კარგი. ერთ დღესაც ფულს შევაგროვებთ და პატარა სახლს ვიყიდით.
რამდენიმე აკრი მიწა გვექნება, ძროხები, ღორები და... [SEP]

– ვიცხოვრებთ და შევჭამთ ამ მიწის დოვლათს! – წამოიყვირა ლენიმ, –
გვეყოლება კურდღლები. მოყევი, ჭორჭა, მოყევი ჩვენს ბაღზე და
კურდღლებზე გალიებში, ზამთრის წვიმებზე, თბილ ღუმელსა და რძეზე,
რომელსაც ძლივს მოვხდით სქელ ნაღებს, მოყევი ამ ყველაფერზე. [SEP]

– შენ თვითონ რატომ არ ჟყვები? ისედაც ყველაფერი იცი. [SEP]

– არა... შენ მოყევი. მე ისე კარგად არ გამომდის... მოყევი, ჭორჭა, იმაზე,
კურდღლებს როგორ ვაჭმევ. [SEP]

– მოკლედ, – თქვა ჭორჭამა, – გვექნება დიდი ბოსტანი, საკურდღლე და
გვეყოლება წინილები. და ზამთარში რომ გაწვიმდება, მივაფურთხებთ ჩვენს
საქმეს, ღუმელს ავაგიზგიზებთ, შემოვუსხდებით და ყურს მივუგდებთ, როგორ
ეცემა წვიმის წვეთები სახურავზე... სისულელეა! არაფერია მოსაყოლი. [SEP]

ჭიბის დანა ამოიღო. ერთ-ერთ ქილას დანით თავსახური მოხადა და
ლენის გაუწოდა. შემდეგ მეორეს მოხადა სახურავი. გულის ჭიბიდან ორი
კოვზი ამოიღო და ერთი ლენის მისცა. [SEP]

ისხდნენ ცეცხლის პირას, პირს ლობიოთი ივსებდნენ და ღონივრად
ღეჭავდნენ. ლენის პირიდან რამდენიმე მარცვალი გადმოუცვივდა. ჭორჭამა
კოვზი მისკენ გაიშვირა. [SEP]

– ხვალ რას გააკეთებ, ბოსი რომ შეკითხვებს დაგისვამს? [SEP]

ლენიმ ღეჭვა შეწყვიტადა ლუკმა გადაყლაპა. საქმიანი და დაძაბული
გამომეტყველება ჰქონდა. [SEP]

– მე... მე... ხმას არ ამოვიღებ. [SEP]

– კარგი ბიჭი ხარ! მშვენიერია, ლენი. იქნებ ცოტა დაჭვიანდი კიდევ-
როცა რანჩოს ვიყიდით, კარგი, მოგცემ უფლებას, რომ კურდღლებს მოუარო.

თაგვებსა და ადამიანებზე

ოღონდ მეტად აღარაფერი დაგავიწყდეს. [SEP]

ლენის სიხარულისგან სუნთქვა შეევრა. [SEP]

— დავიმახსოვრებ, — მიუგო მან. [SEP]

ჭორჭმა ისევ გაიშვირა მისკენ კოვზი. [SEP]

— მისმინე, ლენი, ყურადღებით მიმოიხედე. შევიძლია ეს ადგილი დაიმახსოვრო? რანჩო აქედან მეოთხედ მიღმია. მდინარის სანაპიროს უნდა დაუყვე. [SEP]

— რა თქმა უნდა, — უპასუხა ლენიმ, — დავიმახსოვრებ. ის ხომ დავიმახსოვრე, ხმა რომ არ უნდა ამოვიღო. [SEP]

— რა თქმა უნდა, დაიმახსოვრე, — მოკლედ, ლენი, თუ კიდევ რამეს დააშავებ, როგორც ადრე, აქ გამოიქეცი და ბუჩქებში დაიმალე. [SEP]

— ბუჩქებში დაიმალე, — ნელა გაიმეორა ლენიმ. [SEP]

— ბუჩქებში დაიმალე, სანამ მე არ მოგავითხავ. შევიძლია ამის დამახსოვრება? [SEP]

— შემიძლია, ჭორჭ. დავიმალო ბუჩქებში, სანამ შენ არ მოხვალ. [SEP]

— მაგრამ შენ არ უნდა გაეხვე უსიამოვნებაში, იმიტომ რომ თუ ასე მოიქცევი, კურდღლების მოვლის უფლებას აღარ მოგცემ, — და ლობიოს ცარიელი ქილა ბუჩქებში მოისროლა. [SEP]

— უსიამოვნებაში არ გავეხვევი, ჭორჭ, კრინტს არ დავძრავ. [SEP]

— კარგი. შენი პლედი მოიტანე ცეცხლთან. აქ ძილი ერთი სიამოვნება იქნება. აიხედავ და ფოთლები. ცეცხლს აღარ შეუკეთო. ჩაქრეს. [SEP]

პლედები მინაზე დაიგეს. ცეცხლი ნელ-ნელა ქრებოდა და სინათლეც ილეოდა. ხეების ტოტები მწუხრში ჩაიკარგა, მხოლოდ მსხვილი ღეროებიღა მოჩანდა. ლენიმ დაუძახა. [SEP]

— ჭორჭ, გძინავს? [SEP]

— არა, რა გინდა? [SEP]

— მოდი, სხვადასხვა ფერის კურდღლები მოვიყვანოთ, ჭორჭ. [SEP]

— რა თქმა უნდა, სხვადასხვა ფერის გვეყოლება, — ნახევრად მძინარედ უპასუხა ჭორჭმა, — ნითელი, ლურჯი და მწვანე კურდღლები, ლენი. მიღლიონობით. [SEP]

— ფუმფულა ბეწვიანი, ჭორჭ, ისეთი, საკრამენტოს ბაზრობაზე რომ ვნახე.

ჭონ სტაინბეკი

SEP

- ცხადია, ფუმფულა ბეწვით. [SEP]
- მაგრამ მე წასვლაც შემიძლია, ჭორქ, და გამოქვაბულში ცხოვრება. [SEP]
- და ჭანდაბაშიც შეგიძლია წასვლა, – უპასუხა ჭორქმა, – ახლა კი მოვეტე. [SEP]

გავარვარებული ნაკვერჩხლები ნელ-ნელა გაიღია. მდინარის პირას, მთებში კოიოტის ყმუილი გაისმა, მეორე ნაპირიდან კი ძაღლი გამოეპასუხა. ღამის მსუბუქი ნიავი ნეკერჩხლის ფოთლებს აშრიალებდა. [SEP]

მოგრძო, მართვულთხა ფიცრულის შიდა კედლები შეთეთრებული, იატავი კი გადაუღებავი იყო. ოთახის სამ კედელს პატარა კვადრატული ფანჯრები ჰქონდა, მეოთხე კედელზე კი ხისურდულიანი მასიური კარი ეკიდა. კედლებთან რვა საწოლი ჩაემწკრივებინათ, აქედან ხუთზე ლოგინი იყო გაშლილი, დანარჩენ სამ საწოლზე – მხოლოდ გაუხამებელი ლეიბები ეკო. საწოლებს მიწედებული ჰქონდა ვაშლის შესანახი ყუთი. ყუთის წინა მხარე ღია დაეტოვებინათ, და ამგვარად ის, ამა თუ იმ საწოლის მფლობელისთვის, პირადი ნივთების შესანახი, ორგანყოფილებიანი თაროს მოვალეობას ასრულებდა. თაროები გადავსებული იყო ათასი წვრილმანით: საპნითა და ტალვის ფხვნილით, სამართებლითა და დასავლური გაზეთებით, რომელთა კითხვა ძალიან უყვართ კოვბოებს. მართალია, სხვების დასანახად ისინი ამ გაზეთებს აბუჩად იგდებენ, მაგრამ სინამდვილეში, თითოეული იქ ამოვითხული სიტყვისა ღრმად სწამთ. თაროებზე ასევე ნახავდით წამლებს, პატარა შუშის ბოთლებსა და სავარცხლებს. ერთი-ორგან კი, ყუთზე მიწედებულ ლურსმანზე, ჰალსტუხიც ეკიდა. ერთ-ერთ კედელთან ახლოს შავი თუჭის ღუმელი იდგა. მისი საკვამური პირდაპირ ჭერში ადიოდა. ოთახის შუავულში დიდი, კვადრატული მაგიდა კარტით იყო მოფენილი. მაგიდის გარშემო ყუთები ელაგა, რომლებსაც მოთამაშები სკამებად იყენებდნენ. [SEP]

დილით, ათი საათისთვის ოთახში მზის კაშვაშა, მტვრიანი სხივი წინა ფანჯრიდან დაეცა და მწერებმა სხივის გარშემო მეტეორებივით დაიწყეს ბზრიალი. [SEP]

ხის ურდული აინია და კარი გაიხსნა. ოთახში მაღალი, მხრებში მოხრილი მოხუცი კაცი შემოვიდა. ლურჯი ჭინსის შარვალი ეცვა და მარცხენა ხელში

თაგვებსა და ადამიანებზე

იატავის საწმენდი ჭოხი ეჭირა. მას ოთახში ჭორჭი შემოჰყვა, ჭორჭს კი – ლენი. [SEP]

– ბოსი წუხელ გელოდათ, – უთხრა მოხუცმა, – ცოფებს ყრიდა, რომ არ მოხვედით. ამ დილითვე უნდოდა თქვენი სამუშაოდ გაგზავნა. [SEP]

მოხუცმა მარჯვენა ხელი გაიშვირა და სახელოდან მრგვალი, ჭოხის ტარივით მაჭა გამოუჩნდა, ხელის მტევანს რომ საერთოდ არ ჰვავდა. [SEP]

– შეგიძლიათ იქ მოეწყოთ, – თქვა და ღუმელთან ახლოს მიღვმულ საწოლებზე მიუთითა. [SEP]

ჭორჭი საწოლისკენ გაიწია და თავისი პლედები ჩალის ტომარაზე მიაგდო, რომელსაც ლეიიბადაც იყენებდნენ. მისთვის განკუთვნილი თარო მოათვალიერა და პატარა, ყვითელ ქილას წაავლო ხელი. [SEP]

– მითხარი, ეს რა ჭანდაბაა? [SEP]

– არ ვიცი, – მიუგო მოხუცმა. [SEP]

– აქ წერია, რომ უებარი საშუალებაა მკბენარების, ტარავნებისა და სხვა პარაზიტების გასაწყვეტად. თქვი, სად მოგვიყვანე? ჩვენ ამ არსებებთან მეგობრობა არაფერში გვარგია. [SEP]

მოხუცმა მსახურმა იატავის საწმენდი ჭოხი იდაყვით შეიმაგრა, ხელი გაუწოდა, ქილა გამოართვა და წარწერა ყურადღებით წაიკითხა. [SEP]

– იცი, რას გეტყვი, – მიუგო ბოლოს, – ბიჭი, რომელსაც შენამდე ამ საწოლში ეძინა, მჭედელი იყო, კარგი ახალგაზრდა, სისუფთავის დიდი მოყვარული. ჭამის შემდეგაც კი იბანდა ხელებს. [SEP]

– აბა, ეს ბუზები სად მოაგროვა? – ჭორჭს ბრაზი ემატებოდა. ლენიმ თავისი ფუთა მეზობელ საწოლზე დადო და ჩამოქდა. ჭორჭს პირდაღებული შესცეკროდა. [SEP]

– მომისმინე, – უთხრა მოხუცმა, – მჭედელი, სახელად უაიტი, ბაღლინჯოები რომ არ ყოფილიყვნენ, მაინც დაყრიდა წამალს, მხოლოდ იმიტომ რომ თავი დაემშვიდებინა, გესმის? გინდა გითხრა, როგორ იქცეოდა? ჭამის დროს მოხარშულ კარტოფილს გაფცევნიდა და სულ მცირე ზომის ლაქასაც კი აშორებდა. კვერცხებეც ასე, წითელ ლაქას თუ შენიშნავდა, მაშინვე მოფხევდა. ბოლოს, სწორედ საკვების გამო წავიდა. აი, ასეთი ბიჭი იყო – ჰერიანი. კვირა დღეს, მიუხედავად იმისა, მიღიოდა თუ არა სადმე,



ჭონ სტაინბეკი

გამოეწყობოდა, პალსტუხესაც ვი გაიკეთებდა და იჭრა ამ ფიცრულში. [SEP]

— რაღაც ვერ დაგიძერე, — ეჭვით მიუგო ჭორჭმა, — რა თქვი, რის გამო წავიდაო? [SEP]

მოხუცმა ყვითელი ქილა ჭიბეში ჩაიდო და ჭაღარა ბაკენბარდები ხელის ტაკვით მოიქავა: — ჰო... ის... უბრალოდ წავიდა, ისე, როგორც ყველა მიდის. თქვა, რომ საკვების გამო უბრალოდ წასვლა უნდოდა. საკვების გარდა, სხვა მიზები არ უთქვამს. უბრალოდ ერთ ღამეს თქვა — ანგარიში გამისწორეთო — ისე, როგორც ყველა იქცევა. [P]

ჭორჭმა ლეიბი გადასწია და მის ქვეშ შეიხედა, შემდეგ გადაიხარა და ქსოვილი ახლოდან შეამოწმა. ლენი იმ წამსვე წამოდგა და ზუსტად იგივე გაიმეორა. [SEP]

ჭორჭმი კმაყოფილი ჩანდა. თავისი ფუთა გახსნა და ნივთები თაროზე შემოალაგა — სამართებელი და სასაპნე, სავარცხელი და აბების ბოთლი, მალამო და ტყავის მანჟეტი. შემდეგ კი საწოლს პლედი გადააფარა. [SEP]

— ბოსი ალბათ სადაცაა მოვა, — უთხრა მოხუცმა, — გაბრაზდა, დილით ჩამოსულები რომ არ დახვდით. ვსაუზმობდით, რომ შემოვიდა და გივითხათ: სად ჭანდაბაში არიან ის ახლებიო? და მექინიბეს კარგად მოხვდა მისგან. [SEP]

ჭორჭმა პლედის ნაკეცები გულდასმით გაასწორა და ჩამოჭდა. [P]

— მექინიბეს მოხვდა? — ჩაეკითხა მოხუცს. [SEP]

— ცხადია. მექინიბე ზანგია. [SEP]

— ზანგი? ჰამ. [SEP]

— ჰო. კარგი ახალგაზრდაა. მაგრამ ცხენმა ტლინკები უთავაზა, და მას შემდეგ კუზიანია. როცა ბოსი გაბრაზებულია, ჭავრს ყოველთვის მასზე იყრის. მაგრამ მექინიბე ამას არაფრად აგდებს. ბევრს კითხულობს. ოთახი სავსე აქვს წიგნებით. [SEP]

— ბოსი როგორი ადამიანია? — ჰკითხა ჭორჭმა. [SEP]

— კარგი კაცია. მართალია, ზოგჯერ, როცა გაბრაზებულია, შეშლილივით იქცევა, მაგრამ კარგი კაცია. იცი, შობას რა გააკეთა? ერთი გალონი ვისკი შემოგვიტანა, ზუსტად აქ, ამ ოთახში და გვითხრა, დალიეთ, ბიჭებო, რამდენიც გაგიხარდებათ, შობა წელიწადში ერთხელ დგებაო. [SEP]

— აი, მესმის! მთელი გალონი? [SEP]

თაგვებსა და ადამიანებზე

— ასე იყო. კარგი დრო გავატარეთ. იმ ღამეს ჩანგსაც დაუძახეს. ერთ-ერთი მეხრე, სახელად სმიტი, ზანგს დაეჭიდა. კარგი სანახაობა იყო. ბიჭებმა სმიტს არ მისცეს ფეხებით ჩხუბის უფლება და ჩანგმაც კარგად მოსდო. სმიტი ამბობს, ფეხებით ცემის უფლება რომ მოეცათ, ზანგს მოვლავდიო. მაგრამ ბიჭებმა გადაწყვიტეს, რომ, რადგან ზანგი კუშიანია, ფეხებით არ უნდა ეცემა.

[SEP]

მოხუცი შეყოვნდა, ამ მოგონებით რომ დამტკბარიყო. [SEP]

— ამის შემდეგ ბიჭები სოლედადში წავიდნენ და კარგი დრო ატარეს. მე არ წავსულვარ. ამ ასაკში სადღა შემიძლია. [SEP]

ლენი ის-ის იყო ამთავრებდა ქვეშაგების გაშლას, რომ ურდული ისევ აიწია და კარი გაიღო. გახსნილი კარის ზღურბლზე პატარა, ჭმუხი კაცი იდგა. ლურჯი ჭინსის შარვალი ეცვა, ფლანელის პერანგი, შავი, გახსნილი ჟილეტი და ასეთივე შავი პიჭავი. მსხვილი თითები ფოლადის კვადრატულბალთიან ქამარში ჰქონდა ჩაყოფილი. თავზე სტეტსონის მტვრიანი შლაპა ეხურა, ფეხზე მაღალქუსლიანი, დეზებიანი ჩექმა ეცვა, უბრალო მშრომელებისგან რომ გამორჩეულიყო. [SEP]

მოხუცმა მსახურმა სწრაფად გახედა და ფეხის თრევით კარისკენ გაემართა, თან გზად ბაკენბარდებს ითხანდა. [SEP]

— ეს ორი ეს-ესაა მოვიდა, — თქვა მან, ბოსს გვერდზე ჩაუარა და კარიდან გასხლტა. [SEP]

ბოსი ოთახში ჩაფსვვნილფეხებიანი კაცისთვის დამახასიათებელი სწრაფი და მოკლე ნაბიჯებით შემოვიდა. [SEP]

— მარეის და რედის მივწერე, რომ ორი კაცი ამ დილიდან მჭირდებოდა. დოკუმენტები თან გაქვთ? [SEP]

ჭორჯმა ჭიბეში ჩაიყო ხელი და ბოსს დოკუმენტები გაუწოდა. [SEP]

— მარეის და რედის ბრალი არ ყოფილა. აქ გარკვევით წერია, რომ მუშაობას ამ დილიდან უნდა შესდგომოდით. [SEP]

— ავტობუსის მძღოლმა შეცდომაში შეგვიყვანა, — თქვა ჭორჯმა და ფეხებზე დაიხედა, — ათი მილი ფეხით ვიარეთ. გვითხრა, რომ უკვე მოსულები ვიყავით რანჩოში, არადა თურმე არ ვყოფილვართ. დილით სხვა ტრანსპორტი ვეღარ ვიშოვეთ. [SEP]



ჭონ სტაინბეკი

ბოსმა თვალები მოჭუტა. [SEP]

— მე კი მინდორში სამუშაოდ ორი ადამიანით ნაკლების გაგზავნა მომიხდა. სადილამდე თქვენს გაშვებას უკვე აზრი არ აქვს. [SEP]

ჭიბიდან უბის წიგნავი ამოიღო და ფანქრით ჩანიშნულ ადგილას გადამალა. ჭორჭმა ლენის მრავლისმთქმელი მზერა ესროლა, ლენიმაც თავი დაუქნია ნიშნად იმისა, რომ ყველაფერს მიხვდა. ბოსმა ფანქარი გალოკა. [SEP]

— რა გქვია? [SEP]

— ჭორჭ მილტონი. [SEP]

— და შენ რა გქვია? [SEP]

— ლენი სმოლი ჰქვია, — მიუგო ჭორჭმა. [SEP]

ბოსმა სახელები უბის წიგნაკში შეიტანა. [SEP]

— ესე იგი, დღეს ოცი რიცხვია, ოცის შუადღე, — თქვა და წიგნავი დახურა, — სად მუშაობდით ბიჭებო? [SEP]

— უიდში, — უპასუხა ჭორჭმა. [SEP]

— შენც? — ლენის მიმართა. [SEP]

— დიახ, ისიც, — ისევ ჭორჭმა მიუგო. [SEP]

ბოსმა ირონიულად გაიშვირა ლენისკენ თითი. [SEP]

— რაღაც დიდი მოლაპარაკე არ ჩანს, არა? [SEP]

— დიახ, ისეა, მაგრამ სამაგიეროდ საუკეთესო მუშაა, ხარივით ძლიერი. [SEP]

— ხარივით ძლიერი, — ლენიმ ჩაიცინა და თავისთვის გაიმეორა. [SEP]

ჭორჭმა დაუბდვირა და ლენიმაც სირცხვილისგან, რომ მისი დარიგება დაავინყდა, თავი ჩაპკიდა. [SEP]

— მომხედე, სმოლ, — მოულოდნელად მიმართა ბოსმა. ლენიმ თავი ასწია,

— რისი გაკეთება შეგიძლია? [SEP]

თავზარდაცემულმა ლენიმ ჭორჭს მუდარის თვალები მიაპყრო. [SEP]

— ყველაფრის გაკეთება შეუძლია, რასაც დაავალებთ, — მიუგო ჭორჭმა, — კარგად უვლის ცხენებს, მარცვლეულის ტომრების ზიდვა და კულტივატორის მართვაც ეხერხება. მოკლედ, ყველაფერს გააკეთებს, თქვენ მხოლოდ გამოსცადეთ. [SEP]

— მაშინ რატომ არ აძლევ უფლებას, თავად გამცეს პასუხი? — ბოსი ჭორჭს მიუბრუნდა, — რაღაცას ხლართავ! [SEP]

თაგვებსა და ადამიანებზე

— ხომ არ გეუბნებით, რომ ჭკუის კოლოფია, — ხმის აწევით გააწყვეტინა ჭორქმა ბოსს, — ჭირსაც წაუღია, ვამბობ, რომ კარგი მუშაა-მეთქი. ოთხასი ფუტი ტვირთის აწევა შეუძლია. [SEP]

ბოსმა გაუბედავად ჩაიდო უბის წიგნავი ჭიბეში. მსხვილი თითები ქამარში ჩაიყო და ცალი თვალი მოჭუტა. [SEP]

— მითხარი, შენ რა, ჰყიდი ამ ბიჭს? [SEP]

— რა? [SEP]

— გევითხები, რა სარგებელი გაქვს ამ ბიჭისგან? მის ფულს ხომ არ იჭიბავ? [SEP]

— არა, რა თქმა უნდა. რატომ გგონიათ, რომ მის ფულს უნდა ვიჭიბავდე? [SEP]

— რა ვიცი, არასდროს მინახავს, რომ ერთი კაცი მეორეს გამო პრობლემებს იქმნიდეს. უბრალოდ მინდა ვიცოდე, რა ინტერესი გაქვს. [SEP]

— ჩემი... ბიძაშვილია, — მიუგო ჭორქმა, — დეიდამისს დავპირდი, რომ ვიზრუნებდი მასზე. ბავშვობაში ცხენის ტლინვი მოხვდა თავში. სავსებით ნორმალურია, უბრალოდ ჭკვიანი არ არის. მაგრამ ყველაფერს გააკეთებს, რასაც კი დაავალებთ. [SEP]

ბოსი სანახევროდ შებრუნდა. [SEP]

— ღმერთია მოწამე, ტვინი ნამდვილად არ სჭირდება ქერის ტომრების საზიდად. მაგრამ ჩემი მოტყუება არც იფიქრო, მიღტონ, იცოდე, თვალს გადევნებ. უიდიდან რატომ ნამოხვედით? [SEP]

— საქმე მორჩა, — მოკლედ მიუგო ჭორქმა. [SEP]

— რა საქმე? [SEP]

— ჩვენ... ნაგვის ორმოს ვთხრიდით. [SEP]

— კარგი, მაგრამ ჩემი გაცურება არ გაძედო, იცოდე, არ გაგივა. მინახავს მე ეგეთი ჭკვიანი ტიპები. საღილის შემდეგ სხვებთან ერთად სამუშაოდ წახვალთ, საღებ მანქანასთან ქერს მოაგროვებთ. სლიმის ჭკეფში იქნებით. [SEP]

— სლიმი? [SEP]

— ძო, დიდი, მაღალი ტიპი, საღილზე ნახავ, — მოულოდნელად გაბრუნდა და კარისკენ წავიდა, მაგრამ სანამ გავიდოდა, შემოტრიალდა და წუთით თვალი ჰკიდა ორივეს. [SEP]

ჭონ სტაინბეკი

ფეხის ხმა რომ მიწყდა, ჭორჭი ლენის მიუბრუნდა. [P]

— ხმა არ უნდა ამოგელო. უნდა მოგვეკეტა და გეცლია ჩემთვის ლაპარაკი.

ჭანდაბა, ლამის სამსახური დავკარგეთ. [P]

— დამავიწყდა, ჭორჭი, — ლენიმ უიმედოდ დაიხედა ხელებზე. [P]

— ჰო, დაგავიწყდა, ყოველთვის ყველაფერი გავიწყდება, — მძიმედ ჩამოქდა ჭორჭი საწოლზე, — ახლა თვალს არ მოგვაშორებს. მოგვიწევს, ფრთხილად ვიყოთ, ფეხი არ უნდა დაგვიცდეს. პირის გაღებაც ვი არ გაბედო. [P]

შუბლშეკრული დადუმდა. [P]

— ჭორჭი. [P]

— ახლა რაღა ვინდა? [P]

— მე ხომ ცხენის ტლინვი თავში არ მომხვედრია, არა? [P]

— ვარგი იქნებოდა, მოგხვედროდა, — უპასუხა ჭორჭმა გაბრაზებით, — ყველას აგვცდებოდა ამდენი თავის ტვიცილი. [P]

— და შენ თქვი, რომ მე შენი ბიძაშვილი ვარ, ჭორჭი. [P]

— ეს ტყუილი იყო და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ასეა. შენი ნათესავი რომ ვიყო, ალბათ თავს მოვიკლავდი, — უეცრად გაჩუმდა, ღია კართან მივიდა დაგაიხედა, — შენ რა ჭანდაბას აკეთებ, გვისმენ? [P]

მოხუცი ნელა შემოვიდა ოთახში. იატავის საწმენდი ჭოხი ისევ ხელში ეჭირა. კუდში კოჭლი ნაგაზი მოჰყვებოდა, რუხი ღინგი და სიბერისგან გაფერმკრთალებული, უსინათლო თვალები ჰქონდა. ძაღლი კოჭლობით მივიდა კედელთან და დაწვა, თავისთვის ჩუმად წკმუტუნებდა და თავის გაჭაღარავებულ, დაჩრჩილულ ბეწვს ლოკაცია. მოხუცს თვალი არ მოუშორებია, სანამ ძაღლი არ მოეწყო. [P]

— არ გისმენდით. უბრალოდ ერთი წუთით ჩრდილში გავჩერდი და ძაღლს მოვეფერე. ეს-ესაა მოვრჩი სააბაზანოს დალაგებას. [P]

— ჩვენს საქმეში ყოფდი ცხვირს, — მიუგო ჭორჭმა, — არ მიყვარს ცნობისმოყვარეები. [P]

მოხუცმა ჭორჭისგან ლენიზე გადაიტანა მოუსვენრად მჩერა და შემდეგ ისევ ჭორჭს მიუბრუნდა. [P]

— უბრალოდ მოვედი, — უთხრა მან, — ბიჭებო, ერთი სიტყვა არ გამიგია,

თაგვებსა და ადამიანებზე

რაზე ლაპარაკობდით და არც მაინტერესებს. რანჩოში არ არის მიღებული ერთმანეთისთვის ყურის გდება და შეკითხვების დასმა. [SEP]

— და სწორიც არის, — მიუგო ჭორქმა, ხმა ოდნავ მოულბა, — თუ გინდა, რომ სამსახური დიდხანს შეინარჩუნო. [SEP]

როგორც ჩანს, ჭორქმა დაიჭერა მოხუცის ნათევამი. [SEP]

— მოდი, დაჭექი ჩვენთან, — უთხრა მან, — როგორი ბებერი ძაღლი გყავს. [SEP]

— ჰერ კიდევ ლეკვი იყო, რომ წამოვიყვანე. ახალგაზრდობაში კარგი ნაგაზი იყო. [SEP]

იატავის ჭოხი კედელზე მიაყუდა და ჭაღარა ბაკენბარდები ისევ მოიფხანა ხელის ტავვით. [SEP]

— ბოსი როგორ მოგეწონა? — პკითხა ჭორქს. [SEP]

— არაუშავდა. კარგი კაცი ჩანს. [SEP]

— კარგი კაცია, — დაეთანხმა მოხუცი, — მხოლოდ გარეგნულად ჩანს ბრაზიანი. [SEP]

ამ დროს ოთახში გამხდარი ახალგაზრდა კაცი შემოვიდა, რომელსაც მუქი ფერის სახის კანი, ყავისფერი თვალები და მჯიდროდ დახვეული თმა ჰქონდა. მარცხენა ხელზე სამუშაო ხელთათმანი ეკეთა და ბოსივით მაღალქუსლიანი ჩექმა ეცვა. [SEP]

— ჩემი მოხუცი ხომ არ გინახავს? — იკითხა მან. [SEP]

— ქარლი, ერთი წუთის წინ იყო აქ, — უპასუხა მოხუცმა, — მგონი სასადილოში წავიდა. [SEP]

— წავალ, დავეწევი, — მიუგო ქარლიმ, მჩერა კი ახალმოსულებისკენ გადაიტანა. ჰერ ჭორქს შეხედა ციფად, შემდეგ — ლენის. მკლავები იდაყვებში მოხარა და მუშტები შეკრა, მთელი სხეულით დაჭიმული იყო. მისი მჩერა ერთბაშად ჩომავდა მათ და თან იწვევდა. ლენი შიშისგან მოიკრუნჩხა და ნერვულად ხან ერთ ფეხს ეყრდნობოდა, ხან მეორეს. ქარლი ფრთხილად მიუახლოვდა. [SEP]

— თქვენ ხართ ის ახალი ბიჭები, მოხუცი რომ ელოდა? [SEP]

— ახლახან მოვედით, — მიუგო ჭორქმა. [SEP]

— ამ აყლაყუდამ იღაპარაკოს. [SEP]

ჭონ სტაინბეკი

ლენი დაბნეულობისგან დაიკლავნა. [P]

— და თუ არ უნდა? — უთხრა ჭორქმა. [P]

ქარლი სწრაფად შემობრუნდა მისკენ. [P]

— რახან ვეკითხები, უნდა მიპასუხოს. შენ რატომ ერევი? [P]

— ჩვენ ერთად ვმუშაობთ, — ციფად მიუგო ჭორქმა. [P]

— აი, თურმე რა ყოფილა. [P]

— დიახ, ასეა, — ჭორქი დაძაბული იყო, მაგრამ ადგილიდან არ იძვროდა.

[P]
SEP

ლენი კი ჭორქს საწყლად მისჩერებოდა მისგან მითითებების მიღების იმედად. [P]

— შენ რა, ლაპარაკის უფლებას არ აძლევ? [P]

— შეუძლია ილაპარაკოს, თუ შენთვის რამე აქვს სათქმელი, — ჭორქმა მსუბუქად დაუკრა ლენის თავი. [P]

— ახლახან მოვედით, — თქვა ლენიმ ჩუმად. [P]

ქარლიმ მრისხანე მზერით შეხედა. [P]

— სხვა დროს, უპასუხებ მაშინ, როცა გვითხავენ, — კარისკენ შებრუნდა და წავიდა, იდაყვები ჭერაც მოხრილი ჰქონდა. [P]

ჭორქმა მზერით გააცილა და შემდეგ მოხუცს მიუბრუნდა. [P]

— რა ჭანდაბა უნდოდა? ლენის ხომ მისთვის არაფერი დაუშავებია? [P]

მოხუცმა ფრთხილად გაიხედა კარისკენ, რომ დარწმუნებულიყო, არავინ უსმენდა. [P]

— ბოსის ვაჟია, — მშვიდად მიუგო. — ქარლი კარგად ჩხუბობს, კრივში ვარქიშობდა და რინგზე მსუბუქნონიანებში გამოდიოდა, მოკლედ, ჩხუბი გამოსდის. [P]

— თუნდაც ასე იყოს, — უპასუხა ჭორქმა, — ლენი რატომ ამოიჩემა, მისთვის ხომ არაფერი დაუშავებია. რა აქვს ლენისთან გასაყოფი? [P]

მოხუცი ცოტა ხნით ჩაფიქრდა. [P]

— საქმე ისაა, რომ ქარლი სხვა დაბალტანიან ბიჭებს ჰგავს. სძულს მაღლები. სულ მიჩებს ეძებს მათთან საჩხუბრად. ეტყობა აცოფებს მათი დანახვა, რადგან სიმაღლით სკობნიან. ალბათ შენც გინახავს ასეთები. ყოველთვის შარს ეძებენ. [P]

თაგვებსა და ადამიანებზე

— რა თქმა უნდა, — მიუგო ჭორჭმა, — ბევრი მინახავს ეგეთი ბიჭები. მაგრამ ამ ქარლის ურჩევნია, ცუდად ნუ ეთამაშება ლენის. ლენი არც ისე მოხერხებულია, მაგრამ ეს ქალაჩუნა ქარლი თავს თუ არ დაანებებს, მაგრად მოხვდება. [SEP]

— მაგრამ ქარლი ძალიან მოხერხებულია, — მიუგო დაეჭვებულმა მოხუცმა, — ვთქვათ, ამოიჩემებს ვინმე დიდტანიან ბიჭს და დაარტყამს. ყველა ამბობს, ქარლი რა მაგრად ჩხუბობსო, მაგრამ თუ ისე მოხდა, რომ ქარლისაც დაარტყეს, მაშინ იმას იტყვიან, თავის ტოლთან ეჩხუბაო. მერე შეიძლება ყველა ერთად მიესიოს იმ დიდტანიანს და სცემონ. ქარლი ისევ გამარჯვებული რჩება. სამართლიანად არავისთან ჩხუბობს. [SEP]

ჭორჭმა კარს შეჰყურებდა. [SEP]

— ურჩევნია ლენისგან თავი შორს დაიჭიროს. ლენი მოჭიდავე არ არის, მაგრამ ძლიერი და სწრაფია და, რაც მთავარია, წესები არ იცის, — თქვა ჭორჭმა ავისმომასწავებლად, კვადრატულ მაგიდასთან მივიდა და ერთ-ერთ ყუთჩე ჩამოქდა. კარტები შეაგროვა და აურია. [SEP]

მოხუცი მეორე ყუთჩე ჩამოქდა. [SEP]

— არ უთხრა ქარლის, რომ ეს ყველაფერი მოგიყევი. ტყავს გამაძრობს. მაგას რა ენაღვლება, ამისთვის ციხეში ჩასვამენ თუ რა! მამამისი ბოსია. [SEP]

ჭორჭმა ვარტი გაჭრა და თითოეულის გადმობრუნება დაიწყო. შეხედავდა და ვარტების გროვაზე დააგდებდა. [SEP]

— ეტყობა ეს ბიჭი, ქარლი, დიდი ძაღლიშვილია. არ მიყვარს დაბორმილი, პატარა ტიპები. [SEP]

— ბოლო დროს უფრო უარესიც გახდა, — მიუგო მოხუცმა, — ორიოდე კვირის წინ ცოლი მოიყვანა. ბოსის სახლში ცხოვრობენ. ქარლი კი ცოლის მოყვანის შემდეგ სულ მთლად გაგიჟდა. [SEP]

— იქნებ ცოლის წინ თავის გამოჩენას ცდილობს, — ჩაიბურტყუნა ჭორჭმა.

[SEP]

მოხუცს ესიამოვნა, ჭორაობის საშუალება რომ მიეცა. [SEP]

— დაინახე, მარცხენაზე ხელთათმანი რომ ეკეთა? [SEP]

— კი, დავინახე. [SEP]

— ეგ ხელთათმანი ვაზელინითაა გაუღენთილი. [SEP]



ჭონ სტაინბეგი

— ვაზელინით? რა ჭანდაბად უნდა? [SEP]

— ქარლი ამბობს, რომ ამ ხელს ცოლისთვის ვირბილებო. [P]

ჭორჭი ყურადღებით ათვალიერებდა კარტებს. [SEP]

— არ რცხვენია ასეთ საძაგლობაზე ხმამაღლა ლაპარაკი? [P]

მოხუცი გამოცოცხლდა. როგორც იქნა, აიძულა ჭორჭი, ბოსის შვილზე ცუდი დასცდენოდა. ახლა თავს უფრო უსაფრთხოდ გრძნობდა და მეტი გულახდილობით განაგრძო მოყოლა. [SEP]

— მოიცა, ნახავ ქარლის ცოლს. [SEP]

ჭორჭმა ისევ გაჭრა კარტი და ნელა და მონდომებით დაიწყო პასიანსის გაშლა. [SEP]

— ლამაზია? — იკითხა სხვათა შორის. [SEP]

— ჰო, ლამაზია... მაგრამ... [SEP]

ჭორჭი კარტებს დააკვირდა. [P]

— მაგრამ, რა? [SEP]

— კაცებს ეკურკურება. [P]

— ჰო? ორი კვირაა, რაც გათხოვდა და უკვე კაცებს დასდევს? ალბათ ამიტომაცაა ქარლი ჭკუიდან გადასული. [SEP]

— დავინახე, სლიმს როგორ უთვალთვალებდა. სლიმი ჩვენთან მთავარი მეხრეა. შნოიანი ბიჭია. მაღალქუსლიანი ჩექმების ჩაცმაც არ სჭირდება, ისედაც ემორჩილებიან. დავინახე, სლიმს როგორ უთვალთვალებდა. ქარლის ეს არ დაუნახავს. კარლსონსაც უყურებს ხოლმე. [P]

ჭორჭმა თავი მოიკატუნა, თითქოს ეს ამბავი დიდად არ აინტერესებდა. [P]

— ვხედავ, კარგი გართობა გველის. [P]

— იცი, მე რას ვფიქრობ? — მოხუცი წამოდგა. [SEP]

ჭორჭმა არაფერი უპასუხა. [P]

— ვფიქრობ, ქარლიმ ცოლად... ბოზი მოიყვანა. [SEP]

— არც პირველია და არც უკანასკნელი, — მიუგო ჭორჭმა, — ბევრი მოქცეულა ასე. [SEP]

მოხუცი რომ კარისკენ დაიძრა, მისმა ბებერმა ძაღლმა ჭერ თავი წამოსწია და შემდეგ მძიმედ წამოდგა ფეხზე, უკან რომ გაპყოლოდა. [P]

— ხელსაბანი წყლით უნდა გავუვსო ბიჭებს. მალე დაბრუნდებიან. ქერის

მკაში თქვენც უნდა იყოთ? [SEP]

— კი. [P]

— ქარლის არ უთხრა, რაც მოგიყევი. [SEP]

— ჭირსაც წაუღია, არ ვეტყვი. [SEP]

— ქარლის ცოლს ვარგად შეხედე, და თვითონ მიხვდები, ბოზია თუ არა. [SEP] მოხუცი გარეთ, თავარა მზეზე გავიდა. [SEP]

ჭორჭი ჩაფიქრებული სამ ნაწილად არიგებდა ვარტებს. შემდეგ ტუბს ჭვრის ოთხიანი დააფარა. მზის სხივი ახლა იატავჩე დაეცა და მნერები ნაპერწკლებივით დაეხვივნენ. გარედან ცხენის აღვაზმულობისა და მძიმედ დატვირთული საზიდარი ეტლების უღარუნის ხმა შემოდიოდა. [SEP]

— მეჯინიბე, მეჯინიბე! სად ჭანდაბაშია ეს წყეული ზანგი! — იძახდა შორიდან ვიღაც. [SEP]

ჭორჭმა გაშლილ ჰასიანსს დახედა, შემდეგ სწრაფად მოაგროვა ვარტი და ლენის მიუბრუნდა. ლენი საწოლზე იჭდა და მისჩერებოდა. [SEP]

— მისმინე, ლენი. ვშიშობ, აქ რაღაც რიგჩე ვერ არის. იმ ქარლის გამო უსიამოვნებაში გაეხვევი. ეგეთები ადრეც მინახავს. ნიადაგი მოსინჭა, მიხვდა, რომ შეგაშინა და შანსი მიეცემა თუ არა, გცემს. [P]

ლენის თვალებში უკვე შიში ედგა. [SEP]

— არ მინდა უსიამოვნება, — უთხრა შესაბრალისად, — არ მისცე ჩემი ცემის უფლება, ჭორჭ. [SEP]

ჭორჭი წამოდგა, ლენის საწოლთან მივიდა და ჩამოჭდა. [SEP]

— მძულს ეგეთი ნაბიჯვრები, — უთხრა მან, — ბევრი მინახავს მისნაირი. როგორც მოხუცმა თქვა, ქარლი არაფერს რისკავს, ის ყოველთვის გამარტვებულია. [SEP]

წუთით ჩაფიქრდა. [SEP]

— თუ შენს შევიწროებას დაიწყებს, ლენი, აქედან წასვლა მოგვიწევს უყიჭველად. ის ბოსის შვილია. გესმის, ლენი? ეცადე მისგან თავი შორს დაიჭირო, შეძლებ? არასდროს დაელაპარაკო. თუ აქ შემოვა, ოთახის სხვა მხარეს გადი. დამიჭერებ, ლენი? [SEP]

— არ მინდა უსიამოვნებაში გავეხვე, — აზლუქუნდა ლენი, — მისთვის არაფერი დამიშავებია. [P]

ჭონ სტაინბევი

– ქარლის თავის სიმამაცის გამოვლენა თუ მოუნდა, ეს არ გიშველის, უბრალოდ მისგან თავი შორს დაიჭირე, დაიმახსოვრებ? [SEP]

– რა თქმა უნდა, ჭორჭ. ჩუმად უნდა ვიყო. [SEP]

მარცვლეულზე პგუფებად მომუშავე ადამიანების ხმა უფრო და უფრო ახლოს ისმოდა. ჩლიქების ყრუ ბგერები მყარ მიწაზე, ბორბლების ჭრიალი და აღვაზმულობის წვარუნი ახლოვდებოდა. პგუფიდან პგუფში ერთმანეთს ეძახდნენ და ეპასუხებოდნენ. ჭორჭი ლენის წინ საწოლზე იჭდა და წარბმეკრული ფიქრებში წასულიყო. [SEP]

– გაბრაზებული ხარ, ჭორჭ? – ლენიმ მოკრძალებით ჰკითხა. [SEP]

– შენზე არა, იმ ნაბიჯვარ ქარლიზე ვბრაზობ. ვფიქრობდი, რომ მე და შენ მცირედ გასამარჯელოს გამოვიმუშავებდით, ას დოლარს მაინც, – მისი ხმა უფრო მტკიცე გახდა, – ლენი, ქარლისგან თავი შორს დაიჭირე. [SEP]

– რა თქმა უნდა, ჭორჭ, კრინტს არ დავძრავ. [SEP]

– არ მისცე უფლება, რომ ჩხუბში ჩაგითრიოს, მაგრამ თუ ის ძაღლიშვილი თავს არ დაგანებებს, მაშინ კარგად უთავაზე. [P]

– რა ვუთავაზო, ჭორჭ? [SEP]

– არ აქვს მნიშვნელობა. გეტყვი, როცა საჭირო იქნება. მძულს ასეთი ტიპები. მისმინე, ლენი, თუ უსიამოვნებაში გაეხვევი, ხომ გახსოვს, რაც გითხარი? [SEP]

ლენი იდაყვებზე წამოიწია. ფიქრისგან სახე მოქცეოდა. შემდეგ სევდიანი მჩერა ჭორჭის სახეზე გადაიტანა. [SEP]

– თუ უსიამოვნებაში გავეხვევი, კურდღლების მოვლის უფლებას არ მომცემ. [SEP]

– ამაზე არ გეუბნები. გახსოვს, წუხელ სად გვეძინა? მდინარის პირას. [SEP]

– კი, მახსოვს. პო, რა თქმა უნდა, იქ წავალ და ბუჩქებში დავიმალები. [SEP]

– დაიმალები, სანამ მე არ მოგავითხავ. არავინ უნდა დაგინახოს. დაიმალები მდინარის პირას, ბუჩქებში. გაიმეორე. [P]

– დავიმალები ბუჩქებში მდინარის პირას, მდინარის პირას, ბუჩქებში. [SEP]

– თუ უსიამოვნებაში გაეხვევი. [SEP]

– თუ უსიამოვნებაში გავეხვევი. [SEP]

გარეთ საზიდარი გაწვარუნდა. [P]

თაგვებსა და ადამიანებზე

— მეჯინიბე! ეი, მე-ჭი-ნი-ბე! — გაისმა ყვირილის ხმა. [SEP]

— ლენი, შენთვის გაიმეორე, რომ არ დაგავინყდეს, — უთხრა ჭორქმა. [SEP]

ორივემ ჩემოთ აიხედა — იატავზე მზის შუქით განათებული ვარის მართვულთხა ანარევლი დარღვეულიყო. ზღუბლზე გოგონა იდგა და შიგნით იყურებოდა. სავსე, შეღებილი ტუჩები და მძიმე მაკიაჟიანი, დიდი თვალები ჰქონდა. ფრჩხილები წითლად შეეღება. თმა სოსისებივით, პატარა-პატარა, დახვეულ ფოჩებად ეკიდა. ბამბის ქსოვილის საშინაო კაბა და ფეხზე წითელი ფლოსტები ეცვა, რომელიც სირაქლემის წითელი ბუმბულის თაიგულით იყო მორთული. [SEP]

— ქარლის ვეძებ, — თქვა მან. [SEP]

მისი ხმა თითქოს მოგუდული და დამტვრეული იყო. [SEP]

ჭორქმა ჭერ თვალი მოარიდა, შემდეგ კი ისევ მასზე შეაჩერა მზერა და მიუგო. [SEP]

— ცოტა ხნის წინ აქ იყო, მაგრამ წავიდა. [SEP]

— ომ! — გოგონამ ხელები ზურგზე შემოიწყო, ვარის ზღურბლის საპირისპიროდ გადმოიხარა და მისი სხეული გამომწვევად გამოიჭრა წინ. [SEP]

— თქვენ ახლახან ჩამოსული ახალი ბიჭები ხართ, ასეა? [SEP]

— დიახ. [SEP]

ლენიმ თავით ფეხებამდე შეათვალიერა და გოგონა კი თითქოს არ უყურებდა ლენის, მაგრამ თავი მოულოდნელად ასწია და შემდეგ თავის ფრჩხილებზე გადაიტანა მზერა. [SEP]

— ზოგჯერ ქარლი აქ არის ხოლმე, — თქვა მან. [SEP]

— მაგრამ ახლა ის აქ არ არის, — უხეშად მიუგო ჭორქმა. [SEP]

— თუ აქ არ არის, სადმე სხვაგან მოვძებნი, — გამომწვევად უპასუხა გოგონამ. [SEP]

ლენი მოქადოებული მისჩერებოდა. [SEP]

— თუ ვნახავ, გადავცემ, რომ ეძებდი, — უთხრა ჭორქმა. [SEP]

გოგონამ ეშმაკურად გაუღიმა და სხეული შეარხია. [SEP]

— რომ ვეძებ, ამაში ვერავინ დამატანაშაულებს, — თქვა მან. [SEP]

ამ დროს გოგონას ზურგსუკან ფეხის ხმა გაისმა. თავი მიაბრუნა. [SEP]

— გამარჯობა, სლიმ. [SEP]

ჭონ სტაინბეკი

კართან სლიმი იდგა. [P]

— გავიმარჯოს, ლამაზო. [P]

— ქარლის ვეძებ. [P]

— ცუდად ეძებ. დავინახე, შინ მიღიოდა. [P]

უეცრად ანერვიულდა. [P]

— ნახვამდის, ბიჭებო, — შემოსძახა და გაიქცა. [P]

ჭორქმა ლენის შეხედა. [P]

— აი, თურმე როგორი ცოლი შეურჩევია ქარლის. [P]

— ლამაზია, — თითქოს თავი იმართლა ლენიმ. [P]

— პო და ქარლის მისგან ბევრი თავშისაცემი ექნება. დავნაძლევდეთ, თუ ოც დოლარად არ მოუგვარონ ამ გოგოს ყველაფერი. [P]

ლენი ისევ იმ კარს მიშტერებოდა, რომლის წინაც ცოტა ხნის წინ გოგონა იდგა. [P]

— ღმერთო, ძალიან ლამაზია, — აღფრთოვანებისგან გაიღიმა. [P]

ჭორქმა თვალი ჰკიდა ლენის, ყურჩე მოქაჩა და შეანქლრია. [P]

— კარგად მომისმინე, შეშლილო ძაღლიშვილო, — უთხრა მრისხანედ, — არცვი გაბედო, იმ ძუვნას რომ შეხედო. ფეხებზე მკიდია, რას ამბობს და რას აკეთებს. მინახავს მე ეგეთები. ეგეთების გამო ციხეში ამოგაყოფინებენ თავს. მისგან თავი შორს დაიჭირე. [P]

ლენი შეეცადა ყური გაეთავისუფლებინა. [P]

— მე არაფერი დამიშავებია, ჭორქ. [P]

— არ დაგიშავებია, მაგრამ, როდესაც კართან იდგა და თავისი ფეხები გადმოგილაგა, თვალი ვერ მოსწყვიტე. [P]

— ცუდი არაფერი მიფიქრია, ჭორქ, პატიოსან სიტყვას გაძლევ. [P]

— მოკლედ, მისგან შორს იყავი, იმიტომ რომ ყველაზე საშიში ხაფანგია, რაც კი ოდესმე მინახავს. აცადე ქარლის, რომ თავად აგოს პასუხი. დამნაშავე მხოლოდ ის არის. ვაზელინიანი ხელთათმანი! — ზიზღით წარმოთქვა ჭორქმა.

— ალბათ უმ კვერცხებსაც ყლაპავს და ფოსტით ათასნაირ პატენტიან წამალს იწერს. [P]

— ეს ადგილი არ მომწონს, ჭორქ. ეს არ არის კარგი ადგილი. აქედან წასვლა მინდა, — მოულოდნელად წამოიყვირა ლენიმ. [P]

თაგვებსა და ადამიანებზე

— სანამ ჭამაგირს არ მივიღებთ, უნდა დავრჩეთ. სხვა გზა არ გვაქვს. როგორც კი შევძლებთ, წავალთ აქედან. შენზე მეტად არ მომწონს აქაურობა.

[SEP]

ჭორჭი მაგიდასთან დაბრუნდა და კიდევ ერთი ხელი პასიანსი გაშალა. [SEP]

— არა, არ მომწონს აქ, — გაიმეორა ერთხელ კიდევ, — დიდი სიამოვნებით მოვშორდებოდი აქაურობას. სულ ცოტა ფულს მოვუყაროთ თავი და დაუფიქრებლად გავეცალოთ ამ რანჩოს, მდინარე მისისიპისთან მივიდეთ და ოქროიანი ქვიშის რეცხვას მივყოთ ხელი. იქნებ იქ დღეში რამდენიმე დოლარიც მოვიგოთ და მაშინ კი შევძლებთ ფულის შეგროვებას. [SEP]

ლენი სწრაფად გადმოიხარა მისკენ. [SEP]

— წავიდეთ, ჭორჭ. წავიდეთ აქედან. აქ ცუდია. [SEP]

— უნდა დავრჩეთ, — მოკლედ მოუჭრა ჭორჭმა. — მოკეტე ახლა. ბიჭები მალე შემოვლენ. [SEP]

სააბაზანოდან წყლის ჩხრიალისა და პირსაბანის ნვარუნის ხმა შემოდიოდა. ჭორჭი კარტებს აკვირდებოდა. [SEP]

— იქნებ ჩვენც დაგვებანა, — თქვა მან, — მაგრამ ისეთი არაფერი გაგვიკეთებია, რომ დავსვრილიყავით. [SEP]

კარის ზღურბლზე მაღალი კაცი გამოჩნდა. იქამდე, სანამ გრძელ, შავ, კეფაზე ჩამოსწორებულ, დანამულ თმას ივარცხნიდა, სტეტსონის შლაპა იღლიაში ამოეჩარა. სხვებივით მასაც ლურჯი ჭინსის შარვალი და მოკლე, ბამბის ქსოვილის ქურთუკი ეცვა. თმის ვარცხნას რომ მორჩა, ოთახში მედიდური ნაბიჭებით დაიწყო სიარული, როგორც მხოლოდ დიდგვაროვნებს ან მთავარ ხელოსნებს სჩვევიათ. ის მთავარი მეხრე იყო, რანჩოს პრინცი, შეეძლო ათი, თექვსმეტი, ოცი ცხენიც კი ერთად წაესხა. ცხენის უნაგირზე შემომჯდარ ბუჩს შოლტით ისე მოკლავდა, ცხენს არც კი შეეხებოდა. მის მანერებში ისეთი სიღინჯე და სიმშვიდე გამოსჭვიოდა, ლაპარაკს რომ იწყებდა, ყველა ჩუმდებოდა. მისი ავტორიტეტი იმდენად მაღალი იყო, ნებისმიერ საკითხზე, იქნებოდა ეს პოლიტიკა თუ სასიყვარულო თემა, გადამწყვეტი სიტყვა სწორედ მას ეკუთვნოდა. ასეთი იყო სლიმი. მის ახალგაზრდულ სახეს ასაკი არ ეტყობოდა. შეიძლება ოცდათხუთმეტი წელიც მიეცათ და ორმოცდაათიც. მის ყურებს იმაზე მეტი ესმოდათ, ვიდრე

ჭონ სტაინბეგი

ეუბნებოდნენ, მის დინჯ საუბარს კი დიდი წონა ჰქონდა არა მხოლოდ ფიქრის, არამედ ფიქრს მიღმა დაგროვილი ცოდნის გამო. სლიმის დიდი და გამხდარი ხელები, ინდურ ცეკვასავით, ყოველთვის ელეგანტურად მოძრაობდნენ. [SEP]

დაჭმუჩნული შლაპა გაასწორა და დაიხურა. მეგობრულად შეხედა ოთახში მყოფებს. [SEP]

— ეზოში მზე ანათებს, — თქვა თავაზიანად, — აქ კი, ვერაფერს გაარჩევ ვაცი. ახლები ხართ, ბიჭებო? [SEP]

— ახლახან ჩამოვედით, — უპასუხა ჭორჭმა. [SEP]

— ქერი უნდა მომვათ? [SEP]

— ბოსმა ასე თქვა. [SEP]

სლიმი მაგიდასთან, ჭორჭის წინ, ყუთჩე ჩამოჭდა. პასიანსის ვარტს გადახედა, რომელიც მისკენ პირუკულმა იყო გაშლილი. [SEP]

— იმედია, ჩემთან იქნებით, — უთხრა მან. ძალიან თავაზიანი ხმა ჰქონდა, — თორემ ჭგუფში ახალბედები მყავს, ქერის მარცვალს ყვერებისგან ვერ არჩევენ. ბიჭებო, აქამდე ქერის მვაში გასულხართ? [SEP]

— ეშმავმა წაიღოს, აბა რა! — უთხრა ჭორჭმა, — მეტი სხვა რა ვიცი, თავი რომ მოვიწონო, მაგრამ ამ ძალლიშვილს, მარტოს შეუძლია იმაზე მეტი იმუშაოს, ვიღრე ნებისმერ ორს, წყვილში. [SEP]

ლენიმ, რომელიც ზურგსუკან ყურს უგდებდა მათ საუბარს და თვალს არ აშორებდა მოსაუბრეებს, შექების გაგონებაზე კმაყოფილმა გაიღიმა. სლიმმა მოწონების ნიშნად შეხედა ჭორჭს — კომპლიმენტი მასაც ეამა. შემდეგ მაგიდაზე გადაიხარა და კუთხეში მიგდებული ვარტი აიღო. [SEP]

— თქვენ, ბიჭებო, ყოველთვის ერთად მუშაობთ? — მისი ხმა ისეთი მეგობრული იყო, თანამოსაუბრეს ძალდაუტანებლად მოუწოდებდა გულწრფელობისკენ. [SEP]

— ასეა, — უპასუხა ჭორჭმა, — ვეხმარებით ერთმანეთს. [SEP]

ჭორჭმა ცერა თითი ლენისკენ გაიშვირა. [SEP]

— ნათელი გონება არ აქვს, სამაგიეროდ, ძალიან ვარგი მუშაა. ვარგი ბიჭია, უბრალოდ გონება არ უჭრის. დიდი ხანია ვიცნობ. [SEP]

სლიმმასადღაც ჭორჭს მიღმა გაიხედა. [SEP]

თაგვებსა და ადამიანებზე

— ჩვენთან იშვიათად ეხმარებიან ადამიანები ერთმანეთს, — თქვა მან ჩაფიქრებით, — არ ვიცი, რატომ ხდება ასე. იქნებ ამ დაწყევლილ სამყაროში ყველას ეშინია ერთმანეთის. [SEP]

— როცა ორნი ხართ, ბევრად უფრო კარგია, — უპასუხა ჭორჭმა. [P]

სახლში ბრგე, ღიპიანი კაცი შემოვიდა. თმაზე მესხმული ნყლის წვეთები ჰერაც წურწურით ჩამოსდიოდა. [SEP]

— გამარჯობა, სლიმ, — თქვა, შემდეგ გაჩერდა და ჭორჭსა და ლენის მიაჩერდა. [SEP]

— ეს ბიჭები ეს-ესაა ჩამოვიდნენ, — აუწყა სლიმმა. [SEP]

— მიხარია თქვენი ნახვა, — თქვა ბრგე კაცმა, — მე კარლსონი მქვია. [SEP]

— მე ჭორჭ მიღებონი ვარ. ეს კი ლენი სმოლია. [SEP]

— მიხარია თქვენი ნახვა, ისევ გაიმეორა კარლსონმა, — ისე, არც ისე სმოლია. [SEP]

და ჩუმად ჩაიხითხითა ათავის ხუმრობაზე. [SEP]

— საერთოდ არ არის სმოლი, — თქვა მან ისევ, — სლიმ, შენთვის მინდოდა მევითხა, როგორაა შენი ძაღლი, ამ დიღით ვნახე, აღარ იწვა სატვირთო ურიკის ქვეშ. [SEP]

— წეხელ დაყარა ლეკვები, — მიუგო სლიმმა, — ცხრა ლეკვი. ოთხი მაშინვე დავახრჩვე წყალში. ამდენს ვერ გამოკვებავდა. [P]

— გამოდის, ხუთი დარჩა? [SEP]

— კი, ხუთი. ყველაზე დიდები დავიტოვე. [SEP]

— როგორ ფიქრობ, რა ჭიშის იქნებიან? [SEP]

— არ ვიცი, — მიუგო სლიმმა, — ალბათ ნაგაზები. შექვარების პერიოდი რომ პერიოდი, ძირითადად, ნაგაზებს ვხედავდი მის ირგვლივ. [SEP]

— ხუთი ლეკვი, — განაგრძობდა კარლსონი, — ყველა უნდა დაიტოვო? [SEP]

— არ ვიცი, ცოტა ხნით მაინც დავიტოვებ, სანამ ლულუს რძე ეყოფა. [SEP]

— მისმინე, სლიმ, იცი, რაზე ვფიქრობდი, — თქვა კარლსონმა ფიქრიანად, — ქენდის ძაღლი ისეთი ბებერია, ძლივს დალასლასებს. საშინლად ყარს. ამ სახლში რომ შემოვა, ორი-სამი დღე სუნი დგას. რა იქნება, რომ ქენდიმ მოკლას ეგ ბებერი ძაღლი, შენ კი ლეკვი მიეცი, გაჩარდოს. იმ ძაღლის სუნი ერთი მიღიდან მცემს. კბილები არ აქვს, თითქმის ბრმაა. ვერ ჭამს. ქენდი

ჭონ სტაინბეკი

რძით კვებავს. ღეჭვა არ შეუძლია. [SEP]

ჭორჭი გამჭოლად შეპყურებდა სლიმს. უცრად ეზოში სამკუთხა ჩარმა დაიწყო რევვა ჭერ ნელა, შემდეგ კი გაბმულად, აჩქარებით. ბოლოს ისევე მოულოდნელად შეწყდა რევვა, როგორც დაიწყო. [P]

– როგორც იქნა, – თქვა კარლსონმა. [P]

ეზოში ხმამაღალი საუბარი მოისმა და კართან კაცების ჯგუფმა ჩაიარა. [P]

სლიმი ნელა, თავდაჭერილად წამოდგა. [P]

– ბიჭებო, ჭობს მალე წამოხვიდეთ, სანამ ჭერ კიდევ დარჩა საჭმელი, თორემ რამდენიმე წუთში მუსრს გაავლებენ ყველაფერს. [P]

კარლსონმა უკან დაიხია, სლიმი წინ რომ გაეტარებინა და შემდეგ ორივე გავიდა ოთახიდან. [P]

ლენი ჭორჭს აღელვებული შეპყურებდა. ჭორჭმა კარტები მიყარა. [P]

– კარგი, – უთხრა ჭორჭმა, – მესმოდა, რაც თქვა. ვთხოვ. [P]

– ყავისფერი და თეთრი, – იყვირა ლენიმ აღტაცებისგან. [P]

– წამოდი, ვისადილოთ, არ ვიცი, ყავისფერი ჰყავს თუ თეთრი. [P]

ლენი საწოლიდან არ იძვროდა. [P]

– ახლავე სთხოვე, ჭორჭ, რომ მეტის მოკვლა ვეღარ მოასწროს. [P]

– კარგი. წამოდი ახლა, ადექი ფეხზე. – ლენი წამოხტა საწოლიდან და ორივე კარისკენ გაემართა. როგორც კი კარს მიუახლოვდნენ, ქარლი შეეფერათ. [P]

– აქ გოგო ხომ არ დაგინახავთ, – იკითხა გაბრაზებულმა. [P]

– ნახევარი საათის წინ იყო ალბათ, – ჭორჭმა ცივად მიუგო. [P]

– რა ჭანდაბას აკეთებდა? [P]

ჭორჭი მშვიდად იდგა და გაბრაზებულ პატარა კაცს შეაცემდა. შემდეგ დამცინავად მიუგო. [P]

– თქვა, რომ შენ გეძებდა. [P]

ქარლი თითქოს პირველად ხედავდა ჭორჭს. თვალებით ჭამდა, ზომავდა მის სიმაღლეს, ადგენდა მათ შორის განსხვავებას, წონიდა მის კარგ აღნაგობას. [P]

– კარგი, და საით წავიდა? – ამოთქვა ბოლოს და ბოლოს. [P]

– არ ვიცი, – თქვა ჭორჭმა, – არ მინახავს, საით მიდიოდა. [P]

თაგვებსა და ადამიანებზე

ქარლიმ დაუბლვირა, შებრუნდა და აჩქარებული ნაბიჭით გავიდა გარეთ.

SEP

— იცი რა, ლენი, — უთხრა ჭორჭმა, — ვშიშობ, ამ ძაღლიშვილს მე თვითონ გავულამაზებ სიფათს. ძალიან მაღიზიანებს მისი თავხედობა. ღმერთო, მიშველე! კარგი, წავედით, თორემ აღარაფერი შეგვხვდება. [SEP]

ეზოში გავიდნენ. მზე ფანჯრის ქვეშ ვიწრო ზოლად ეცემოდა. თეთშების ხმა შორიდანვე ისმოდა. [SEP]

ცოტა ხანში ბებერი ძაღლი კოჭლობით შევიდა ღია კარში. ირგვლივ სუსტი, თითქმის უსინათლო თვალებით მიმოიხედა, ამოიქშინა, მერე მიწვა და თავი თათებს შორის ჩარგო. ქარლი ისევ შემოვარდა ოთახში და მოათვალიერა. ძაღლმა თავი წამოსწია, მაგრამ ქარლი წავიდა თუ არა, ისევ იატავზე დაუშვა ჭაღარა თავი. [SEP]

ფიცრულის ფანჯრებიდან მჩით განათებული საღამო იმზირებოდა, თუმცა ოთახში უკვე ჩამობნელებულიყო. ღია კარიდან ფეხისა და ჟღარუნის მწყობრი ხმა მოისმოდა, დროდადრო კი — ხმამაღალი შეძახილები, მოწონებას ან დაცინვას რომ გამოხატავდა. ეზოში წალით თამაშობდნენ. [SEP]

სლიმი და ჭორჭი ჩაბნელებულ ფიცრულში შევიდნენ. სლიმი ბანქოს მაგიდაზე გადაწვა და ფოლადის ელექტრო სანათი აანთო. მაგიდა იმ წამსვე განათდა და კონუსის ფორმის შუქი ძირს დაეცა, მხოლოდ ოთახის კუთხეები დარჩა ჩაბნელებული. სლიმი ყუთზე ჩამოჭდა და ჭორჭმაც მის პირისპირ დაიკავა ადგილი. [SEP]

— სამადლობელი არაფერია, ბოლოს მაინც მომიწევდა მათი უმეტესობის თავიდან მოშორება, — უთხრა სლიმმა. [SEP]

— შეიძლება შენთვის არაფერია, მაგრამ ჭანდაბა, მისთვის ეს ძალიან ბევრს ნიშნავს, — მიუგო ჭორჭმა, — ღმერთო, არც კი ვიცი, როგორ ვაიძულოთ, აქ დასაძინებლად რომ შემოვიდეს. საჭინიბოში მოინდომებს მათთან ერთად დაძინებას. ის კი არა, ლეკვების ყუთში ჩაძრომასაც კი შეეცდება. [SEP]

— ეგ არაფერია, — უთხრა სლიმმა, — შენ კი მასზე მართალი თქვი, შეიძლება ნათელი გონება არ აქვს, მაგრამ ასეთი მუშა არასდროს მინახავს. კინაღამ შეიწირა მეწყვილე, მასთან ერთად რომ ეზიდებოდა ქერის ტომრებს.



ჭონ სტაინბეკი

მის ტემპს ვერავინ ეწევა. ღმერთო, ასეთი ძლიერი ტიპი პირველად ვნახე. [SEP]

— რაც გინდა, დაავალე, — მიუგო ჭორქმა ამაყად, — ყველაფერს გაავეთებს, რასაც გონების დაძაბვა არ სჭირდება. თავისით ვერაფერს მოიაზრებს, მაგრამ დავალებების შესრულება ნამდვილად შეუძლია. [SEP]

ებოში ცხენის ნალი გაწვრიალდა რვინის სარჩე და მოწონების შეძახილები გაისმა. [SEP]

სლიმი ოდნავ უკან გადაიწია. სახეზე შუქი აღარ ეცემოდა. [SEP]

— სასაცილოა, რომ თქვენ ყოველთვის ერთად ხართ. [SEP]

ეს სლიმის მსუბუქი გამოწვევა იყო გულწრფელობისკენ. [SEP]

— რა არის ამაში სასაცილო? — ჭორქმა მისი შეკითხვა მოიგერია. [SEP]

— მეც არ ვიცი. ბიჭები ასე არ ცხოვრობენ. არასდროს მინახავს, რომ ორი ბიჭი ერთად მოსულიყოს. შენც ხომ იცი, როგორც ხდება, მუშები მოდიან, იკავებენ კუთვნილ საწოლს, სადღაც ერთი თვე მუშაობენ, გასამრჯელოს მიიღებენ და ისევ ისე მარტო მიდიან. სხვები ფეხზე ჰვიდიათ. ამიტომ რაღაც სასაცილოა, რომ ეგეთი დოყლაპია და შენისთანა ჭკვიანი ტიპი ერთად ცხოვრობთ. [SEP]

— დოყლაპია არ არის, — უპასუხა ჭორქმა, — უტვინოა, მაგრამ გიფი არაა. და მე კი, ჭკვიანი რომ ვიყო, ორმოცდაათ დოლარად ქერის ტომრებს არ ვჩიდავდი. ჭკვიანი რომ ვიყო, სულ ცოტა ტვინი რომ მქონდეს, ახლა უკვე პატარა მინა მექნებოდა და სხვების გამო კი არ მოვიწყვეტდი წელს, ჩემს მოსავალს მოვიყვანდი. [SEP]

ჭორქი გაჩუმდა. ლაპარაკი უნდოდა. სლიმი კი არც აქეზებდა და საუბარსაც არ აწყვეტინებდა — მშვიდად უსმენდა. [SEP]

— არ არის ასეთი სასაცილო, რომ ჩვენ ერთად დავხეტიალობთ, — ბოლოს ისევ ამოღერდა ჭორქმა, — ორივე აუბურნში დავიბადეთ. მის დეიდას, კლარას, კარგად ვიცნობდი. ლენი მან სულ პატარა აიყვანა და გაზარდა. როცა დეიდა კლარა გარდაეცვალა, ლენი ჩემთან ერთად წამოვიდა სამუშაოდ. ცოტა ხანში რაღაცნაირად შევეჩვიეთ ერთმანეთს. [SEP]

— ჰმ, — აღმოხდა სლიმს. [SEP]

ჭორქმა შენიშნა, რომ სლიმი მშვიდი, კეთილშობილი თვალებით შესცეკეროდა. [SEP]

თაგვებსა და ადამიანებზე

— სასაცილოა, — თქვა ჭორჭმა, — მასთან ერთად ბევრი კარგი დრო მიტარებია. ხშირად გამიმაიმუნებია, ისეთი შტერია, სად შეუძლია თავის დაცვა. იმასაც ვერ ხვდებოდა ხოლმე, რომ ვაშაყირებდი. მე კი ვერთობოდი. თანაც, ეშმაკმა დასწყევლოს, მის გვერდით ხომ ძალიან ჭკვიანი ვჩანდი. ყველა იდიოტობას ასრულებდა, რასაც კი დავავალებდი. ფრიალო კლდებე აძრომას თუ ვუბრძანებდი, აძვრებოდა. მაგრამ ეს ყველაფერი მალე მომბეზრდა. არასდროს ბრაზდებოდა, არასდროს. რამდენჯერ დამირტყამს მისთვის. ხელი რომ შემოებრუნებინა, ძვლებში გადამამტვრევდა, მაგრამ თითი არ დაუკარებია არასდროს. [SEP]

ჭორჭის ხმას აღსარების პათოსი გამოერია. [SEP]

— გითხრა, როდის შევწყვიტე ასე მოქცევა? ერთ დღეს მდინარე საკრამენტოსთან ბიჭების მთელი ჭგრო შეიკრიბა. თავი ძალიან მოხერხებული მეგონა, მივუბრუნდი ლენის და ვუთხარი წყალში გადამხტარიყო. დაუფიქრებლად გადახტა. ცურვა არ იცის, კინაღამ დაიხრჩო, ძლივს მივუსწარით. ის კი ჩემი მადლიერი იყო, რომ გადავარჩინე. დაავიწყდა, მე რომ ვუბრძანე გადახტომა. იმ დღიდან შევეშვი ასეთებს. [SEP]

— კეთილი ბიჭია, — თქვა სლიმმა, — და იმისთვის, რომ კეთილი იყო, ჭკუა სულაც არაა საჭირო. ის კი არა, მე ვფიქრობ, საერთოდაც პირიქით ხდება. აიღე ნებისმიერი ჭკვიანი ტიპი, იშვიათად, რომ კეთილიც აღმოჩნდეს. [SEP]

ჭორჭმა მიყრილ-მოყრილი კარტები შეაგროვა და პასიანსის ჩამორიგებას შეუდგა. გარედან ისევ ფეხის ხმა მოისმა. საღამოს ჩამავალი მზე კვლავაც ელაციცებოდა ფიცრულის ფანჯრებს. [SEP]

— ახლობლები არ მყავს, — თქვა ჭორჭმა, — ბევრი მინახავს, რანჩოდან რანჩოში მარტო რომ დაეხეტება. რა არის ამაში კარგი? საშინლად მოსაწყენია. მერე ბოროტდებიან. თვალი სულ მუშტჩე უჭირავთ. [SEP]

— ჰო, ბოროტდებიან, — დაეთანხმა სლიმმი, — ლაპარაკიც კი არ უნდათ ვინმესთან. [SEP]

— ლენის წყალობით სულ შარს უნდა ელოდე, — თქვა ჭორჭმა, — მაგრამ ისე მივეჩვიე, ახლა უკვე ვეღარ მოვიშორებ თავიდან. [SEP]

— ლენი არ გაბოროტდება, — მიუგო სლიმმა, — მასში ბოროტების ნასახსაც ვერ ვხედავ. [SEP]



ჭონ სტაინბეკი

— ცხადია, არ გაძოროტდება, — თქვა ჭორქმა, — მაგრამ, სამაგიეროდ, მუდმივად უსიამოვნებებში ეხვევა, იმიტომ რომ, ეშმაკმა დასწყევლოს, ის ხომ უტვინოა. თუნდაც, რაც უიღში მოხდა... [SEP]

უცემ გაჩუმდა და ვარტი ხელში შეეყინა. შეშფოთებული სლიმს დაუინებით მიაჩერდა. [SEP]

— ხომ არავის ეტყვი? [SEP]

— რა ჩაიდინა უიღში? — მშვიდად შეითხა სლიმმა. [SEP]

— არავის ეტყვი?.. არა, რა თქმა უნდა, არ ეტყვი. [SEP]

— რა ჩაიდინა უიღში? — სლიმი ისევ ჩაეკითხა. [SEP]

— წითელკაბიანი გოგონა დაინახა. უტვინო ნაბიჯვარია, უნდა, რომ ჯველაფერს შეეხოს, რაც მოსწონს. უბრალოდ უნდა, რომ შეიგრძნოს. ჰოდა, წითელ კაბას ხელი წაატანა, გოგონამ გამყინავი ხმით ყვირილი მორთო. ლენის გონება აერია და გოგოს ჩაეჭიდა, ეს ერთადერთია, რისი მოფიქრებაც შეუძლია. გოგონა კი გაუთავებლად ყვიროდა. მე შორიახლოს ვიყავი და ყვირილზე გამოვიქეცი, ლენი უკვე სულ მთლად დაბნეული იყო და გოგონას ხელს არ უშვებდა. ღობის სარს დავავლე ხელი და თავში ჩავარტყი, რომ მეიძულებინა, ხელი გაეშვა. ისე პეონდა გონება არეული, ვაბას არ ეშვებოდა. ეს წყეული კი, შენც იცი, რა ძლიერია. [SEP]

სლიმი მშვიდად უყურებდა, თვალებსაც არ ახამხამებდა. [SEP]

— მერე რა მოხდა? — ღინჯად ჩაეკითხა. [SEP]

ჭორქმა პასიანსის ვარტები გულდასმით ჩაამწვრივა. [SEP]

— გოგო სასამართლოში გაიქცა და მოახსენა, რომ მასზე ძალა იხმარეს. უიდის ვაცები დაირამნენ და გადაწყვიტეს ლენი დაეჭირათ და ლინჩის წესით გაესამართლებინათ, ჩვენ კი მთელი დარჩენილი დღე სარწყავ არხში, წყალში მყოფებმა გავატარეთ. მხოლოდ თავები გვქონდა წყლიდან ამოყოფილი. ღამით კი იქიდან მოვუსვით. [SEP]

სლიმი ცოტა ხანს უხმოდ უყურებდა. [SEP]

— გოგოსთვის არაფერი დაუშავებია, პო? — იკითხა, ბოლოს და ბოლოს.



— ჭანდაბა, არა. უბრალოდ შეაშინა. მეც კი შემეშინდებოდა, ასე რომ დავეჭირე. მაგრამ არასდროს არაფერს დაუშავებდა. უბრალოდ უნდოდა იმ

თაგვებსა და ადამიანებზე



წითელ ვაბას შეხებოდა, ჩუსტად ისე, როგორც იმ ლეკვებს ეფერება. [P]

— ბოროტი არ არის, — თქვა სლიმმა, — ვაცს ერთი მილიდან ვცნობ. [P]

— რა თქმა უნდა, არ არის და ყველაფერს შეასრულებს, რასაც მე... [P]

ვარში ლენი გამოჩნდა. თავისი ლურჯი ქურთუკი მხრებზე ლაბადადასავით შემოეხვია და წელში მოხრილი მოღიოდა. [P]

— გამარჯობა, ლენი, — უთხრა ჭორქმა, — როგორ მოგეწონა ლეკვი? [P]

— ის ყავისფერი და თეთრია, როგორიც მინდოდა, — უპასუხა სუნთქვაშეკრულმა ლენიმ და პირდაპირ საწოლისკენ გაეშურა, დაწვა, სახით კედლისკენ გადაბრუნდა და ფეხები მოიკეცა. [P]

ჭორქმა ვარტები ფრთხილად დააწყო და მკვახედ დაუძახა. [P]

— ლენი! [P]

ლენიმ თავი მოატრიალა და მხრებს ჩემოდან გამოხედა. [P]

— რა? რა გინდა, ჭორქ? [P]

— ხომ გითხარი, რომ ლეკვის აქ მოყვანა არ შეიძლება? [P]

— რა ლეკვი, ჭორქ? ლეკვი არ მყავს. [P]

ჭორქი სწრაფად მიუახლოვდა, მხრებში სწვდა და გადმოაბრუნა. დაიხარა და პატარა ლეკვი ამოიყვანა, რომელსაც ლენი მუცელთან მიკრულს მაღაფდა. [P]

— დამიბრუნე, ჭორქ, — სწრაფად წამოჭდა ლენი. [P]

— წადი და ლეკვი თავის ბუნაგში დააბრუნე, — უბრძანა ჭორქმა, — დედასთან უნდა დაიძინოს. გინდა, რომ მოკლა? მხოლოდ გუშინ დაიბადა, არ შეიძლება მისი ბუნაგიდან წამოყვანა. ან დააბრუნებ, ანდა სლიმს ვეტყვი და აღარ გაჩუქებს. [P]

ლენიმ ვედრებით გაუწოდა ხელები. [P]

— დამიბრუნე, ჭორქ, უკან წავიყვან. არ მინდოდა მისთვის რამე დამეშავებინა. მართალს გეუბნები. უბრალოდ, ვიფიქრე, ცოტას მოვეფერებოდი. [P]

ჭორქმა ლეკვი გაუწოდა. [P]

— ვარგი. ჩქარა უკან დააბრუნებ და აქ აღარ წამოიყვან. ასე ხომ მოკვდება! [P]

ლენი სასწრაფოდ გავარდა ოთახიდან. [P]

ჭონ სტაინბეკი

სლიმი არ განძრეულა. მშვიდი თვალებით კარამდე მიაცილა ლენი. [P]

– ღმერთო, – თქვა მან, – ჰატარა ბავშვივითაა. [SEP]

– ჰო, ბავშვივით ჭიანჭველასაც კი არ დაადგამს ფეხს, უბრალოდ ძალიან ძლიერია. დაგენაძლევები, დღეს აյ დასაძინებლად არ მოვა. საჭინიბოში, იმ ყუთის გვერდით დაწვება. დარჩეს, რა ვქნა. იქ არავის არაფერს დაუშავებს. [P]

გარეთ უკუნი სიბნელე იყო. მოხუცი ქენდი ოთახში შემოვიდა და თავისისამოლისკენ გაემართა, უკან მისი ძაღლი მოლასლასებდა. [P]

– გამარჯობა, სლიმ. გამარჯობა, ჭორჭ. არც ერთმა არ ითამაშეთ ნალით? [P]

– მომბეგზრდა ყოველ საღამოს თამაში, – უპასუხა სლიმმა. [SEP]

– რომელიმეს ერთი ყლუპი ვისვი ხომ არ გაქვთ? – განაგრძობდა ქენდი, – რაღაც მუცელი ამტკივდა. [SEP]

– მე არა, – მიუგო სლიმმა, – რომ მქონოდა, მე თვითონ დავლევდი, თუმცა მუცელი არ მტკივა. [SEP]

– ძალიან მტკივა, – თქვა ქენდიმ, – ეშმაკმაც წაიღოს, აი, რა მიყო იმ თალგამმა. ვიცოდი, ასე მომივიდოდა და მაინც შევჭამე. [SEP]

ჩაბნელებული ეზოდან სახლში მსუქანი კარლსონი შემოვიდა. ოთახის მეორე ბოლოსკენ გაემართა და კიდევ ერთი ფოლადის სანათი აანთო. [P]

– ძალიან ბნელა აქ, – თქვა მან, – ეშმაკმაც დასწყევლოს, ეს ზანგი რა მაგრად თამაშობს. [SEP]

– ჰო, კარგად გამოსდის, – მიუგო სლიმმა. [SEP]

– ჭანდაბა, ასეა, – თქვა კარლსონმა, – არავის უტოვებს მოგების შანსს... [SEP]

უცებ გაჩუმდა, ჰაერი შეისუნთქა და ასე ყნოსვა-ყნოსვით, თვალებით ძაღლი მოძებნა. [SEP]

– ღმერთო მაღალო, ეს ძაღლი ყარს. მოაშორე აქედან, ქენდი. არაფერი ყარს ისე საშინლად, როგორც ეს ბებერი ძაღლი. გეუბნები, გააგდე აქედან. [SEP]

ქენდი საწოლის ბოლოსკენ მიჩოჩდა, ძაღლს მისწვდა და მიეფერა. [SEP]

– იმდენი დრო გავატარე მის გვერდით, რომ არც კი შემიმჩნევია, თუ ყარდა, – მოიბოდიშა ქენდიმ. [SEP]

თაგვებსა და ადამიანებზე

— მე აქ ამას ცელარ ავიტან, — უთხრა კარლსონმა, — რომ გადის, სუნი
მაინც რჩება.^[P]

მძიმე ნაბიჯებით მივიღა ძაღლთან და დახედა.^[P]

— კბილები ამას არ აქვს, — თქვა მან, — რევმატიზმისგან სულ მთლად
გაშეშებულია. არც შენ გარგია რამეში და არც — საკუთარ თავს. რატომ არ
გინდა, რომ მოკლა, ქენდი?^[P]

მოხუცი უხერხულად დაიკლავნა.^[P]

— ჭანდაბა, იმდენი ხანია უკვე რაც მყავს, ჰერ კიდევ ლევვი იყო. ცხვარს
ამასთან ერთად ვწყემსავდი, — თქვა ამაყად, — ახლა რომ შეხედავ, ვერ
იფიქრებ, მაგრამ საუკეთესო მეცხვარე ძაღლი იყო მათ შორის, რაც კი
შემხვედრია.^[P]

— უიღმი ერთ ვაცს ვიცნობდი, ერდელტერიერი ჰყავდა, რომელსაც
ცხვრის მწყემსვა შეეძლო. სხვა ძაღლებისგან ისწავლა, — ჩაერთო ჭორჭი.^[P]

მაგრამ კარლსონი დანებებას არ აპირებდა.^[P]

— მისმინე ქენდი, ეს ბებერი ძაღლი მხოლოდ იტანჯება. გაიყვანე გარეთ
და კეფაში ესროლე, — კარლსონი გადაიხარა და მიანიშნა, — ზუსტად აი, აქ,
ვერც კი მიხვდება, თავში რა მოხვდა.^[P]

ქენდიმ მწუხარე სახით მიმოიხედა.^[P]

— არა, — თქვა მან ჩუმად, — არ შემიძლია ამის გავეთება. უკვე იმდენი
ხანია, რაც მყავს.^[P]

— დიდ ვერაფერ სიამოვნებას იღებს ცხოვრებისგან, — დაიუინა
კარლსონმა, — და თან საშინლად ყარს. იცი, რას გეტყვი? მე ვესვრი შენ
ნაცვლად. ჰოდა, შენი გავეთებული არ იქნება.^[P]

ქენდიმ საწოლიდან ფეხები ჩამოუშვა. ჭაღარა ბაკენბარდები ნერვულად
მოიქავა.^[P]

— ისე მივეჩვიე, — თქვა ისევ ჩუმად, — ჰერ კიდევ ლევვობიდან მყავს.^[P]

— ჟო, მაგრამ სულაც არ ექცევი კარგად იმით, რომ ამდენ ხანს აცოცხლებ,
— უთხრა კარლსონმა, — მისმინე, სლიმის ძაღლმა ახლახან ლევვები დაყარა.
თავს დავდებ, სლიმი ერთ ლევვს გაჩუქებს, რომ გაზარდო. ასე არ არის,
სლიმ?^[P]

სლიმი თავისი მშვიდი თვალებით თითქოს ბებერ ძაღლს სწავლობდა.^[P]



ჭონ სტაინბეკი

— ჰო, — თქვა მან, — თუ მოგინდება ლევვი, მოგცემ, — შემდეგ ვი უფრო მშვიდად განაგრძო, — კარლი მართალია, ქენდი. ეს ძაღლი თავს იტანკავს. ასეთი ბებერი და საპყარი თუ გავხდები, ნეტავ მეც ვინმე მესროდეს. [SEP]

ქენდიმ უმწეოდ შეხედა, რადგან სლიმის სიტყვა კანონი იყო. [SEP]

— მაგრამ მას ხომ ეტვინება, — დაიჩივლა ქენდიმ, — მე ვი მზად ვარ, მასზე ვიზრუნო. [SEP]

— ისე ვესვრი, რომ ვერაფერი იგრძნოს, აი, აქ დავადებ იარაღს, — უთხრა კარლსონმა და ფეხით მიანიშნა, — კეფაზე. არც ვი შეკრთება. [SEP]

ქენდის მზერა ერთი სახიდან მეორეზე გადაჟეონდა და ხსნას ეძებდა. გარეთ უკუნი სიბნელე იყო. ოთახში ახალგაზრდა მუშა შემოვიდა. დაშვებული მხრები წინ გადმოეხარა და ქუსლებს ისე მძიმედ ადგამდა, თითქოს მარცვლეულის უხილავ ტომარას მოათრევსო. თავის საწოლთან მივიდა და შლაპა თაროზე შემოდო. შემდეგ გაზეთს დაავლო ხელი და მაგიდის შუქჩე მიიტანა. [SEP]

— ეს უკვე გაჩვენე, სლიმ? — ჰკითხა მან. [SEP]

— რა მაჩვენე? [SEP]

ახალგაზრდამ გაზეთი უკანა მხარეს გადმოაბრუნა, მაგიდაზე დადო და თითით მიანიშნა. [SEP]

— აი, აქ, წაიკითხე. [SEP]

სლიმი გაზეთისკენ დაიხარა. [SEP]

— მიდი, მიდი, — უთხრა ახალგაზრდამ, — ხმამაღლა წაიკითხე. [SEP]

— ძვირფასო რედაქტორო, — ნელა კითხულობდა სლიმი, — ექვსი ნელია თქვენს გაზეთს ვკითხულობ და ვფიქრობ, რომ ის ბაზარზე საუკეთესოა. პიტერ რენდის მოთხოვნები მომწონს. ვფიქრობ, რომ მაგრად გამოსდის. ვიდევ დაბეჭდეთ ისეთები, როგორიც „შავი მხედარია“. წერილებს ხშირად არ ვწერ. უბრალოდ მინდოდა მეთქვა, რომ თქვენი გაზეთი საუკეთესოა მათ შორის, რაშიც ვი ვაცს ათი ცენტის დახარჯვა არ დაგენანება. [SEP]

— ამას რისთვის მაკითხებ? — გაოცებულმა ამოხედა სლიმმა. [SEP]

— გააგრძელე. სახელი წაიკითხე ბოლოში, — უთხრა უიტმა. [SEP]

— წარმატებას გისურვებთ. უილიამ ტენერი, — ამოიკითხა სლიმმა და ისევ უიტს შეხედა, — რატომ მაკითხებ? [SEP]

თაგვებსა და ადამიანებზე



უიტმა საჩეიმოდ დახურა გაჩეთი. [P]

— ბილ ტენერი არ გახსოვს? სამი თვის წინ მუშაობდა ჩვენთან. [P]

სლიმი ჩაფიქრდა. [P]

— პატარა ბიჭი? კულტივატორს რომ ამუშავებდა? — ჰკითხა მან. [P]

— ეგაა, — წამოიყვირა უიტმა, — ეგ ბიჭია. [P]

— შენ გვონია, რომ წერილი მაგან დაწერა? [P]

— ზუსტად ვიცი. ერთ დღეს მე და ბილი აქ ვისხედით. ბილს ამ გაჩეთის სულ ახალი ნომერი ჰქონდა. ათვალიერებდა და თქვა. [P]

— წერილი მივწერე. როგორ მაინტერესებს, თუ დაბეჭდეს. [P]

მაგრამ იმ ნომერში არ აღმოჩნდა. მაშინ ბილმა თქვა. [P]

— იქნებ მომდევნო ნომრებისთვის შემოინახეს. [P]

— ასეც უქნიათ. აგერ არის, — თქვა უიტმა. [P]

— მართალი ხარ, — მიუგო სლიმმა, — აგერაა. [P]

— შეიძლება ვნახო? — თქვა ჭორჭმა და გაჩეთს ხელი წაატანა. [P]

უიტმა ისევ მოძებნა წერილი გაჩეთში, მაგრამ გაჩეთი არ მიუცია, მხოლოდ თითით მიანიშნა. შემდეგ თავის თაროსთან მიბრუნდა და ფრთხილად დადო გაჩეთი. [P]

— ნეტავ ბილმა თუ ნახა, — თქვა მან, — მე და ბილი ბარდის ნაკვეთში ვმუშაობდით ერთად. ორივე კულტივატორებს ვატარებდით. ბილი კარგი ბიჭი იყო. [P]

კარლსონმა არ ისურვა საუბარში ჩართვა. ისევ ბებერ ძაღლს შეჰყურებდა. ქენდი კი მას უცქერდა მოუსვენრად. ბოლოს კარლსონმა უთხრა. [P]

— გინდა ამ ტანჯვისგან მე გავათავისუფლებ და ახლავე ბოლოს მოვუღებ ყველაფერს! რა შერჩენია? ვერც ჭამს, ვერც ხედავს, ტვიცილის გარეშე ვერც მოძრაობს. [P]

— შენ ხომ თოფი არ გაქვს, — იმედიანად უთხრა ქენდიმ. [P]

— ჭანდაბა, არა, მაგრამ სამაგიეროდ ლუგერი მაქვს. არც კი ეტკინება. [P]

— იქნებ ხვალ, — თქვა ქენდიმ, — ხვალამდე მოვიცადოთ. [P]

— ვერ ვხვდები, რა აზრი აქვს, — უთხრა კარლსონმა, საწოლთან მიფიდა, ქვემოდან ჩანთა გამოათრია და ლუგერის პისტოლეტი ამოიღო. [P]



ჭონ სტაინბეგი

— ახლავე მოვრჩეთ ამ საქმეს, — თქვა მან, — ამ აყროლებულ სუნში ვერ დავიძინებთ.^[SEP]

პისტოლეტი უკანა ჭიბეში ჩაიღო. ^[P]

ქენდი დიდხანს შეჰყურებდა სლიმს იმ იმედით, რომ უკან დაიხევდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ბოლოს, ჩუმად და უიმედოდ თქვა.^[SEP]

— კარგი, წაიყვანე. ^[P]

ძაღლისთვის არც დაუხედავს. საწოლზე გადაწვა, ხელები ჭვარედინად თავქვე ამოიდო და ჭერს მიაჩერდა.^[P]

კარლსონმა ჭიბიდან ტყავის თასმა ამოიდო და ძაღლს კისერზე შეაბა. ქენდის გარდა, ყველა მას უყურებდა. ^[P]

— წამოდი, ბიჭო, წამოდი, — დაუძახა ალერსიანად. შემდეგ კი ქენდის უთხრა თავაზიანად.^[P]

— ვერაფერს გაიგებს.^[P]

ქენდი არც განძრეულა — არაფერი უთქვამს. ^[P]

კარლსონმა თასმას მოქაჩა.^[P]

— წამოდი, ბიჭო.^[P]

ბებერი ძაღლი ნელა და მძიმედ წამოდგა და გაჟყვა თასმას, მსუბუქად რომ ექაჩებოდა ყელზე. ^[P]

— კარლსონ, — დაუძახა სლიმმა.^[P]

— რა იყო?^[P]

— ხო იცი, რაც უნდა ქნა?^[P]

— რაზე მეუბნები, სლიმ?^[P]

— ნიჩაბი წაიღე, — მოკლედ მოუჭრა სლიმმა. ^[P]

— მო, გასაგებია, მიგიხვდი, — თქვა კარლსონმა და ძაღლს სიბნელეში გაუძღვა. ^[P]

ჭორჭი უკან გაჟყვა, კარი მიხურა და ფრთხილად გადარაჩა. ქენდი გაუნძრევლად იწვა და ჭერს მისჩერებოდა. ^[P]

— ჩემს ერთ სახედარს ჩლიქი გაუსკდა. გუდრონი აქვს დასადები, — თქვა სლიმმა ხმამაღლა. ^[P]

გაჩუმდა. გარეთაც სიჩუმე იყო. კარლსონის ფეხის ხმა მიწყდა. ოთახშიც სიჩუმემ დაისადგურა. სიჩუმე დიდხანს გაგრძელდა. ^[P]

თაგვებსა და ადამიანებზე



ჭორჭმა ჩაიცინა. [SEP]

— დაგენაძლევებით, ლენი ისევ საჭინიბოშია თავის ლევვებთან. აქ აღარასდროს მოვა, ახლა ხომ ლევვი ჰყავს. [SEP]

— ქენდი, შეგიძლია ნებისმიერი ლევვი აირჩიო, — უთხრა სლიმმა. [SEP]

ქენდიმ არ უპასუხა. ოთახი ისევ სიჩუმემ მოიცვა — გარედან შემოიქრა და ფიცრული მთლიანად დაიპყრო. [SEP]

— იუკერი ხომ არ გვეთამაშა? — იკითხა ჭორჭმა. [SEP]

— მე ვითამაშებ, — მიუგო უიტმა. [SEP]

ერთმანეთის პირდაპირ, მაგიდის გარშემო დასხდნენ, მაგრამ ჭორჭი კარტს არ ურევდა. კიდეებით ეჭირა და ნერვულად იყრიდა ერთი ხელიდან მეორეში. პატარა ტვალუნის ხმაზე ოთახში ყველა მამაკაცის თვალებმა ერთმანეთი მოძებნა და ჭორჭსაც ხელი გაუშეშდა. ოთახში ისევ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ერთი წუთი გავიდა, ერთს მეორე მიჰყვა. ქენდი გაუნძრევლად იწვა, ჭერს შესცეკეროდა. სლიმმა წამით თვალი ჰქიდა და შემდეგ ხელებზე დაიხედა. ერთი ხელი მეორეს ჩასჭიდა და კალთაში ჩაიდო. იატავის ქვეშიდან რაღაც ფხაჭუნის ხმა მოისმა და ყველამ იქ დაიხედა შვებით. მხოლოდ ქენდი განაგრძობდა ჭერში ყურებას. [SEP]

— მგონი იქ ვირთხაა, — თქვა ჭორჭმა, — ხაფანგი უნდა დავდგათ. [SEP]

— ამდენ ხანს რას უყურებ, დროზე ჩამოარიგე, — ვეღარ მოითმინა უიტმა, — ასე რა იუკერს ვითამაშებთ? [SEP]

ჭორჭმა ერთად შეაგროვა კარტი და მათი თვალიერება დაიწყო. ოთახში ისევ სიჩუმე იყო. [SEP]

შორიდან გასროლის ხმა გაისმა. კაცები იმნამსვე მოხუცს შეაცეკერდნენ. ყველა თავი მისკენ შებრუნდა. [SEP]

ქენდი ერთხანს ისევ ჭერს აპყურებდა, შემდეგ ნელა გადაბრუნდა სახით კედლისკენ და მიყუჩდა. [SEP]

ჭორჭმა ხმაურით აურია კარტი და ჩამოარიგა. უიტმა საანგარიშო დაფა გადმოდო. [SEP]

— ბიჭებო, თქვენ აქ ნამდვილად სამუშაოდ მოხვედით? — ჰქითხა უიტმა. [SEP]

— რას გულისხმობ? — ჰქითხა ჭორჭმა. [SEP]

უიტმა გაიცინა. [SEP]



ჭონ სტაინბეკი

- რა ვიცი, პარასკევს მოხვედით. კვირამდე ორი სამუშაო დღეა. [SEP]
- ვერ მივხვდი, – თქვა ჭორჭმა. [SEP]
- უიტმა ისევ გაიცინა. [SEP]

– თუ დიდ რანჩოებში გიმუშავია, უნდა ხვდებოდე. ბიჭები, რომლებსაც რანჩოში გასეირნება უნდათ, შაბათ საღამოს მოდიან. შაბათ საღამოს ვახშამს მიირთმევენ, კვირას სამჭერ შეჭამენ, ორშაბათს ვი, საუზმის შემდეგ ისე წავლენ სამსახურიდან, რომ თითსაც არ გაანძრევენ. მაგრამ თქვენ პარასკევს, შუადღისას მოხვედით. რაც არ უნდა ატრიალო, ნახევარი დღე გამოდის. [SEP]

ჭორჭმა მშვიდად შეხედა. [SEP]

– ჩვენ აქ რაღაც დროით დარჩენა გვინდა, – უპასუხა ჭორჭმა, – მე და ლენიმ ცოტა ფული უნდა გამოვიმუშაოთ. [SEP]

კარი ნელა გაიღო და მეჯინიბემ შემოჰყო თავი. სევდით დაღარული შავი თავი და თვინიერი თვალები ჰქონდა. [SEP]

– მისტერ სლიმ. [SEP]

სლიმმა თვალები მოაშორა მოხუც ქენდის. [SEP]

– აჟ, გამარტობა, კრუეს. რა მოხდა? [SEP]

– თქვენ მითხარით, რომ ცხენის ჩლიქისთვის გუდრონი შემეთბო. მზად არის. [SEP]

– ჰო, რა თქმა უნდა, კრუეს, ახლავე გამოვალ და დავადებ. [SEP]

– თუ გინდათ, მე დავადებ, მისტერ სლიმ. [SEP]

– არა, მოვალ და მე თვითონ გავუკეთებ. [SEP]

ფეხშე წამოდგა. [SEP]

– მისტერ სლიმ, – მიმართა კრუესმა. [SEP]

– გისმენ. [SEP]

– ის ახალმოსული გოლიათი საჭინიბოში თქვენს ლევვებს ხელებს უფათურებს. [SEP]

– ჰო, ვიცი, არაფერს დაუშავებს. ერთი ლევვი ვაჩუქე. [SEP]

– ვითიქრე, რომ უნდა მეთქვა თქვენთვის, – უთხრა კრუესმა, – ყუთიდან ამოჰყავს და ხელში უჭირავს. ეს კარგს არაფერს მოუტანს ლევვებს. [SEP]

– არაფერს ავნებს, – მიუგო სლიმმა, – ახლა შენთან ერთად წამოვალ. [SEP]

თაგვებსა და ადამიანებზე



ჭორქმა თავი ასწია. [SEP]

— თუ იმ შეშლილ ნაბიჯვარს იქ ჩედმეტი მოსდის, ეგრევე გამოაგდე, სლიმ.

[SEP]

სლიმი და მეჯინიბე ოთახიდან გავიდნენ. [SEP]

ჭორქმა ჩამოარიგა, უიტმა კი თავისი ვარტი აკრიფა და შეამოწმა. [SEP]

— ახალი სათამაშო უკვე ნახე? — ჰეითხა მან. [SEP]

— რომელი სათამაშო? — ჩაეცითხა ჭორქი. [SEP]

— რომელი და ქარლის ახალი ცოლი. [SEP]

— აჱ, კი, ვნახე. [SEP]

— ლამაზია, არა? [SEP]

— ასე არ დავვირვებივარ, — უთხრა ჭორქმა. [SEP]

უიტმა გამომწვევად დაალაგა ვარტები. [SEP]

— ჰოდა, ნუ გძინავს, თვალები ვარგად გაახილე. ირგვლივ ბევრ რამეს დაინახავ. საერთოდ არაფერს მალავს. ეგეთი არავინ მინახავს. ყველას თვალებით სჭამს. თავს დავდებ, მეჯინიბესაც აკვირდება ალბათ. ვერ ვხვდები, რა უნდა. [SEP]

— რაც აქ არის, რამე უსიამოვნება მომხდარა? — იკითხა ჭორქმა სხვათა შორის. [SEP]

ჩანდა, რომ უიტს თამაში არ აინტერესებდა. ვარტები ისევ მაგიდაზე დააწყო, ჭორქმა კი წამოკრიფა და პასიანსი გაშალა: შვიდი ვარტი, მათ ჩემოთ — ექვსი, სულ ჩემოთ კი — ხუთი. [SEP]

— ვხვდები, რასაც გულისხმობ, — უთხრა უიტმა, — არა, ჭერჭერობით უსიამოვნებები არ ყოფილა. ქარლის ნერვიულობისგან ნიფხავში ჭიანჭველები დაუდის, მაგრამ ეს საქმეს არ შველის. როგორც კი ბიჭები სამუშაოდან ბრუნდებიან, ქარლის ცოლიც იქაა. ან ქარლის ეძებს, ან ეგონა, რომ რაღაც დარჩა და იმას ეძებს. მოკლედ აშვარაა, რომ ბიჭები მაგრად იზიდავენ. ქარლის ჭიანჭველები კი ჭერ მხოლოდ დაცოცავენ მის ნიფხავში, ჭერჭერობით ითმენს. [SEP]

— ეგ გოგო აქ რაღაცას მოიწევს, — უთხრა ჭორქმა, — რაღაც ცუდი მოხდება მაგის გამო. ეგეთისთვის ბოლოს გისოსებს მიღმა ამოყოფს კაცი თავს. ქარლიმ უკვე გამოუტანა თავის თავს განაჩენი. ბიჭებით სავსე რანჩო



ჭონ სტაინბეგი

ნამდვილად არ არის გოგოსთვის შესაფერისი ადგილი, მით უმეტეს, ასეთი გოგოსთვის. [SEP]

— თუ მოგინდება, ჩვენთან ერთად წამოდი ხვალ ქალაქში, — შესთავაზა უიტმა. [SEP]

— რატომ? რას აპირებთ? [SEP]

— ტრადიციული ამბავია, დედაბერ სუბის უნდა შევუაროთ. კარგი ადგილია. სუბისთან მხიარულებაა, სულ რაღაც ხუმრობებს იგონებს ხოლმე. გასულ შაბათს წინა კართან მივედით, სუბიმ კარი გაგვიღო და დაიყვირა, გოგონებო, ჩაიცვით, შერითი მოვიდა. ბინძურ სიტყვებს არასდროს იყენებს. ხუთი გოგო ჰყავს იქ. [SEP]

— ეს რა გიჯდებათ? — ჰკითხა ჭორქმა. [SEP]

— ორნახევარი. და ერთი პორცია ვისკი ვიდევ ოც ცენტად. სუბის მშვენიერი სავარძლები აქვს, დაჯდები, შეგიძლია რამდენიმე ჭიქა ვისკი დალიო და დღე იქ გაატარო. სუბი არასდროს არ არის წინააღმდეგი. არც არავის აჩქარებს და არც ქუჩაში აგდებს, თუ მის სტუმარს გოგო არ უნდა. [SEP]

— უნდა წამოვიდე თქვენთან ერთად და მე თვითონ ვნახო, — უპასუხა ჭორქმა. [SEP]

— რა თქმა უნდა, წამოდი. კარგ დროს გავატარებთ, მაგარი ხუმრობები აქვს. ერთხელ ამბობს, — ისეთი დიასახლისებიც არსებობენ, ძირს ძონდებს დააფენენ, გრამატონზე რეზინის შიშველთოჭინიან სანათს შემოდგამენ და ჰელინიათ, რომ ბორდელების პატრონები არიანო. კლარას სახლს გულისხმობს. მე ვიცი, ბიჭებო, თქვენ რა გჭირდებათო, — იტყვის ხოლმე სუბი, — ჩემი გოგონები სუფთები არიან და არც ვისკი მაქვს წყალგარეული. თუ ვინმეს გინდათ რეზინის შიშველთოჭინიანი სანათი ნახოთ და ფრთხები დაიწვათ, იცით, სადაც უნდა წახვიდეთო. და აქ არიან ვიდეც ფეხმრუდი ბიჭებიც, რეზინის შიშველთოჭინიანი სანათის ყურება რომ იზიდავთ. [SEP]

— კლარა სხვა ბორდელის მეპატრონეა? — ჰკითხა ჭორქმა. [SEP]

— ჰო, — მიუგო უიტმა, — ჩვენ იქ არასდროს დავდივართ. კლარა სამ დოლარს იღებს გოგოში და ოცდათხუთმეტ ცენტს ვისკიში, ხუმრობაც არ შეუძლია. სუბისთან კი სისუფთავე და კომფორტული სავარძლებია. მანანწალებსაც არ ავარებს იქაურობას. [SEP]

თაგვებსა და ადამიანებზე



— მე და ლენიმ ცოტა ფული უნდა შევაგროვოთ, — უთხრა ჭორქმა, — ნამოვიდოდი თქვენთან ერთად, დავკდებოდი, ცოტას დავლევდი, მაგრამ ორნახევარი დოლარის გადახდა ახლა არ შემიძლია. [P]

— ზოგჯერ ხომ უნდა გაერთო, — უთხრა უიტმა. [SEP]

ვარი გაიღო და ლენი და ვარლსონი ერთად შემოვიდნენ. ლენი საწოლთან მიიპარა და ჩამოქდა, ცდილობდა ყურადღება არ მიექცია. ვარლსონმა თავისი საწოლის ქვეშიდან ჩანთა გამოათრია. ქენდისთვის არც კი შეუხედავს, რომელიც ისევ კედლისკენ შებრუნებული იწვა. ვარლსონმა ჩანთაში ზუმბა და ერთი ქილა ჩეთი იპოვა. საწოლზე დაალაგა და პისტოლეტი ამოიღო, გაზეთი გაშალა, ვაზნა ამოაცალა და ზუმბათი ლულის წმენდა დაიწყო. ჟექტორის გატვაცუნებაზე ქენდი გადმობრუნდა და სანამ ისევ უკან გადაბრუნდებოდა, ცოტა ხნით იარაღს თვალი შეავლო. [P]

— ქარლი უკვე იყო აქ? — სხვათა შორის იკითხა ვარლსონმა. [P]

— არა, — მიუგო უიტმა, — რა ხდება? [SEP]

ვარლსონმა თვალმოქუტულმა გახედა პისტოლეტის ლულას. [P]

— თავის ბებერ ქალბატონს ეძებს. დავინახე გარეთ, წრეებზე დარბოდა. [P]

— ქარლი ნახევარ დროს ცოლის ძებნაში ატარებს, მეორე ნახევარს კი, მისი ცოლი ატარებს ქარლის ძებნაში, — თქვა უიტმა დამცინავად. [P]

ქარლი აღელვებული შემოიჭრა ოთახში. [P]

— თქვენ, ბიჭებო, ჩემი ცოლი არ დაგინახავთ? — მედიდურად იკითხა. [P]

— აქ არ ყოფილა, — უპასუხა უიტმა. [P]

ქარლიმ მუქარით მოათვალიერა ოთახი. [P]

— სლიმი სად ჭანდაბაშია? [SEP]

— საჭინიბოში წავიდა, — მიუგო ჭორქმა, — გახლეჩილ ჩლიქზე სახედრისთვის გუდრონი უნდა დაედო. [P]

ქარლიმ მხრები ჩამოყარა. [P]

— რამდენი ხანია? [SEP]

— ხუთი-ათი წუთის წინ. [P]

ქარლი კარს ეცა და ზურგს უკან მოიჭახუნა. [P]

უიტი წამოდგა. [P]

— მგონი ამ ამბავს არ უნდა გამოვაკლდე, — თქვა მან, — ქარლი ჩხუბს

ჭონ სტაინბეკი

აპირებს, თორემ სლიმს ისე არ გაეკიდებოდა. ქარლი ვი ხელმარჯვეა, ღმერთმაც დასწყევლოს, ხელმარჯვეა. „ოქროს ხელთათმანის“ ფინალში თამაშობდა. გაზეთებიდან აქვს ამოქრილი. [SEP]

უიტი ცოტა დაფიქრდა. [SEP]

— მაგრამ მაინც ურჩევნია, სლიმს ხელი არ დაავაროს. სლიმისგან ყველაფერს უნდა ელოდე. [SEP]

— ფიქრობს, რომ მისი ცოლი სლიმთან არის, არა? — ჰკითხა ჭორქმა. [SEP]

— ასე ჩანს, — უპასუხა უიტმა, — თუმცა ეს აბსურდია. სლიმი მის ცოლთან არ იქნება. მაგრამ თუ ჩხუბი ატყდება, ამ სეირს უნდა ვუყურო. წამოხვალ? [SEP]

— მე აქ დავრჩები, — უთხრა ჭორქმა, — არ მინდა რამეში გავეხვე. მე და ლენი აქ ფულის საშოვნელად ვართ ჩამოსული. [SEP]

კარლსონმა იარაღის წმენდა დაასრულა და ჩანთაში ჩადო, ჩანთა საწოლის ქვეშ შეაგდო. [SEP]

— წავალ, ვნახავ, რა ხდება, — თქვა მან. [SEP]

მოხუცი ქენდი გაუნძრევლად ინვა, ლენი ვი ჭორქს თავისი საწოლიდან დაკვირვებით შესცექეროდა. [SEP]

უიტი და კარლსონი რომ გავიდნენ და ზურგს უკან კარი მოიხურეს, ჭორქი ლენის მიუბრუნდა. [SEP]

— რას მიმაღავ? [SEP]

— არაფერი გამიკეთებია, ჭორქ. სლიმმა მითხრა, რომ ჭობდა ლეკვებს ამდენს არ მოვთერებოდი. სლიმმა თქვა, რომ ეს მათვის კარგი არ იქნებოდა. ამიტომ მე წამოვედი. კარგად ვიქცეოდი, ჭორქ. [SEP]

— მე ასე ვერ ვიტყოდი, — მიუგო ჭორქმა. [SEP]

— მათვის არაფერი დამიშავებია. ჩემი ლეკვი დავისვი მუხლებზე და ვეფერებოდი. [SEP]

— სლიმი ნახე საჭინიბოში? — ჰკითხა ჭორქმა. [SEP]

— რა თქმა უნდა, ვნახე. მან მითხრა, რომ ლეკვებს მეტად აღარ მოვთერებოდი. [SEP]

— ის გოგოც ნახე? [SEP]

— ქარლის გოგოზე ამბობ? [SEP]

— ჟო, მოვიდა საჭინიბოში? [SEP]

თაგვებსა და აღამიანებზე

- არა, არ მინახავს. [P]
- სლიმი მას არ ელაპარაკებოდა? [P]
- არა, ის იქ არ ყოფილა. [P]
- კარგი, — თქვა ჭორჭმა, — როგორც ვხედავ, ბიჭებს ტყუილად აქვთ სეირის იმედი. მაგრამ თუ ჩხუბი იქნება, ლენი, შენ შორს დაიჭირე თავი. [P]
- მე ჩხუბი არ მინდა, — თქვა ლენიმ. [P]
- საწოლიდან წამოდგა და მაგიდასთან, ჭორჭის გვერდით დაჭდა. ჭორჭმა ვარტები აურია და პასიანსი გაშალა. ფრთხილად, ჩაფიქრებით, ნელა. [P]
- ლენიმ ერთი ვარტი აიღო და მის შესწავლას შეუდგა. შემდეგ ამოაბრუნა და ისევ დაავვირდა. [P]
- ორივე ბოლო ერთი და იგივეა, — თქვა მან, — ჭორჭ, რატომ არის ერთი და იგივე? [P]
- არ ვიცი, — უპასუხა ჭორჭმა, — უბრალოდ ასე გააკეთეს. რას აკეთებდა სლიმი საჭინიბოში, როცა დაინახე? [P]
- სლიმი? [P]
- მო, შენ ხომ ნახე სლიმი საჭინიბოში და მან გითხრა, რომ ლევვებს აღარ მოფერებოდი. [P]
- აჟ, კი, გუდრონის ქილა და ფუნჭი მოიტანა, არ ვიცი რისთვის. [P]
- დარწმუნებული ხარ, ის გოგო, დღეს რომ აქ იყო, საჭინიბოში არ მოსულა? [P]
- არა, არ მოსულა. [P]
- ჭორჭმა ამოიოხრა. [P]
- არა, ისევ ის საროსკიპო ჭობია, — თქვა მან, — წახვალ, დალევ, იმას მიიღებ, რაც გინდა, ჩედმეტი ხმაურის გარეშე. თან წინასწარვე იცი, ეს რა დაგიჭდება. ამისთანასთვის კი გისოსები არ აგცდება. [P]
- ლენი მის სიტყვებს ისრუტავდა და პირსაც აყოლებდა. [P]
- ენდი კაშმანი გახსოვს, ჩვენს სკოლაში რომ სწავლობდა? — პვითხა ჭორჭმა. [P]
- დედამისი ბავშვებისთვის ნამცხვრებს რომ აცხობდა? — კითხვითვე მიუგო ლენიმ. [P]
- მო, სწორედ ეგ-ყველაფერი გახსოვს, თუ რამე ჭამას ეხება. [P]



ჭონ სტაინბეკი

ჭორჭი პასიანსის ვარტს კარგად დააკვირდა. გამოსათვლელ დაფაზე ტუში, ჩემოთ კი აგურის ორიანი, სამიანი და ოთხიანი დააწყო. [SEP]

— ენდი ახლა სან კვენტინის ციხეში ჩის და ისიც ქალების გამო, — თქვა ჭორჭმა. [SEP]

ლენი თითებით მაგიდაზე აკაკუნებდა. [SEP]

— ჭორჭ? [SEP]

— რა იყო? [SEP]

— ჭორჭ, რამდენ ხანში გვექნება ის პატარა მიწა, სადაც ვიცხოვორებთ და შევჭამთ ამ მიწის დოვლათს... და კურდღლებსაც მოვაშენებთ? [SEP]

— არ ვიცი, — უთხრა ჭორჭმა, — ბევრი ფული უნდა მოვაგროვოთ ამისთვის, ერთი რანჩი ვიცი, რომელსაც იაფად მოგვცემენ, მაგრამ ცხადია, არავინ გვაჩუქებს. [SEP]

მოხუცი ქენდი ნელა გადმობრუნდა. თვალები ფართოდ ჰქონდა გახელილი. ჭორჭს ყურადღებით შესცემოდა. [SEP]

— მომიყევი იმ ადგილზე, ჭორჭ, — სთხოვა ლენიმ. [SEP]

— ხომ მოგიყევი წუხელ. [SEP]

— მიდი, კიდევ მომიყევი, ჭორჭ. [SEP]

— მოკლედ, ათი აკრია, — თქვა ჭორჭმა, — პატარა ქარის წისქვილი აქვს. პატარა ქოხმახი დგას და წინილები დარბიან. სამზარეულო, ხეხილის ბალი, ალუბლები, ვამლები, თხილი, კენკრა, იონჯა და ბევრი წყალი მოსარწყავად. საღორეცაა... [SEP]

— და კურდღლები, ჭორჭ. [SEP]

— ჯერჯერობით საკურდღლე არ არის, მაგრამ რამდენიმე გალიას ადვილად გავაკეთებ და შეგიძლია კურდღლები იონჯით გამოკვებო. [SEP]

— შემიძლია, რა თქმა უნდა, შემიძლია, — თქვა ლენიმ, — მართლა შემიძლია! [SEP]

ჭორჭის ხელებმა შეწყვიტა პასიანსის გაშლა. ხმა გაუთბა. [SEP]

— ღორებიც გვეყოლება. შესაბოლ ფიცრულს ავაშენებ, ისეთს, ბაბუაჩემს რომ ჰქონდა და როცა ღორს დავკლავთ, შეგვეძლება ლორი და ბეკონი იქ შევბოლოთ, სოსისები მოვამზადოთ და სხვა უამრავი რამ. და როცა მდინარეს ორაგულები ჩამოჰყებიან, ასობით დავიჭერთ, დავამარილებთ ან

თაგვებსა და ადამიანებზე

შევძოლავთ. შემდეგ საუბრებე შევჭამთ. რა უნდა იყოს შებოლილ ორაგულზე გემრიელი. ხილი რომ დამწიფდება, ქილებში შევინახავთ ზამთრისთვის. პომილორსაც, ძალიან ადვილი შესანახია. ყოველ კვირას წინიღას ან კურდღელს დავკლავთ. იქნებ ძროხა ან თხაც გვყავდეს, და ნაღები კი, ეშმაკმაც დალახვროს, ისეთი სქელი იქნება, დანით რომ უნდა გაჭრა და კოვზით მოაშორო რძეს. [SEP]

ლენი გაფართოებული თვალებით შესცეკროდა, და მოხუცი ქენტიც მას შეჰყურებდა. [SEP]

— ვიცხოვრებთ და შევჭამთ ამ მინის დოვლათს, — თქვა ლენიმ ჩუმად. [SEP]

— რა თქმა უნდა, — თქვა ჭორჭმა, — ყველანაირი ბოსტნეული გვექნება და თუ ვისკი მოგვინდება, შეგვიძლია რამდენიმე კვერცხი, ცოტა რძე ან რამე სხვა გავყიდოთ. უბრალოდ ვიცხოვრებთ იქ. ჩვენი მინა იქნება. აღარ მოგვიწევს მთელ ქვეყანაში ხეტიალი და აღარც იაპონელი მზარეული გამოგვვებავს. არა, ბატონო, ჩვენი საკუთარი ადგილი გვექნება და ფიცრულში დაძინება აღარ მოგვიწევს. [SEP]

— სახლზეც მოყევი, ჭორჭა. — შეეხვერა ლენი. [SEP]

— რა თქმა უნდა, ჩვენი სახლი გვექნება, შიგნით საძინებელი. თუნუქის ღუმელს დავდგამთ, სადაც ჩამთარში ცეცხლს გავაჩაღებთ ხოლმე. დიდი მინა არ იქნება, მაგრამ მაინც თავდაუზოგავად უნდა ვიმუშაოთ. შესაძლოა დღეში ექვსი-შვიდი საათიც კი. თუმცა დღეში თერთმეტი საათი ქერის მკა აღარ მოგვიძება. მოსავალს მოვიწევთ და ყოველთვის გვეცოდინება, რისთვის ვიშრომეთ. [SEP]

— და კურდღლები, — თქვა ლენიმ მონდომებით, — მათჩე მე ვიზრუნებ. თქვი, ამას როგორ გავაკეთებ, ჭორჭა. [SEP]

— შენ იონჯას ნაკვეთში წახვალ, ტომარა გექნება, გაავსებ და კურდღლებს გალიებში დაუყრი. [SEP]

— ისინი კი გაკვნებენ და გაკვნებენ, — თქვა ლენიმ, — მინახავს, ამას როგორც შერებიან. [SEP]

— ყოველ ექვს თვეში ერთხელ, — განაგრძობდა ჭორჭი, — ბაჭიებს მოიგებენ, და ჩვენ უამრავი კურდღელი გვეყოლება, საჭმელადაც გვეყოფა და გასაყიდადაც. რამდენიმე მტრედიც გვეყოლება, რომლებიც ქარის წისქვილის

ჭონ სტაინბეკი

გარშემო იფრენენ, როგორც ეს ჩემს ბავშვობაში მინახავს. [SEP]

ჭორჭი აღტაცებით შეპყურებდა ლენის ზურგსუკან აღმართულ კედელს. [SEP]

— ეს ყველაფერი მხოლოდ ჩვენი იქნება და იქიდან ვერავინ გაგვაგდებს. ჩვენ ვი, თუ ვინმე თავს მოგვაძებრებს, შეგვიძლია ვუთხრათ: ჭანდაბამდე გჩა გქონია. და თუ მეგობარი ჩამოივლის, მისთვის აუცილებლად გვექნება კიდევ ერთი საწოლი და ჩვენთან ღამის გათევას შევთავაზებთ. ისიც გაათევს. სეტერის ჭიშის ძაღლი და რამდენიმე ზოლებიანი ვატა გვეყოლება. მაგრამ შენ თვალყური უნდა ადევნო ვატებს, კურდღელი რომ არ შეჭამონ. [SEP]

ლენი მძიმედ სუნთქავდა. [SEP]

— აბა, გაბედონ და კურდღლებს მიევარონ. წყეულ კისრებს მოვუგრეხ.. მე... მე ჭოხით დავუმტვრევ ძვლებს. [SEP]

უკმაყოფილოდ ბუზღუნებდა და ნინასწარ ემუქრებოდა წარმოსახვით ვატებს, რომლებსაც შეიძლება გაებედათ მისი კურდღლების შეწუხება. [SEP]

ჭორჭი ვი თავის მიერ დახატული სურათით აღფრთოვანებული იყო. [SEP]

ქენდიმ რომ ხმა ამოიღო, ორივე ფეხზე წამოიჭრა, თითქოს რაღაც ცუდ საქმეზე ჩაავლეს. [SEP]

— იცი, ასეთი ადგილი სად არის? — იკითხა ქენდიმ. [SEP]

ჭორჭი მაშინვე თავდაცვაზე გადავიდა. [SEP]

— ვთქვათ და ვიცი, — თქვა მან, — შენ რა გესაქმება? [SEP]

— არ გთხოვ, რომ მითხრა, სად არის, საღაც ვინდა, იქ იყოს. [SEP]

— ნამდვილად, — თქვა ჭორჭმა, — მართალი ხარ. ასი წელი ვერ მიაგნებ. [SEP]

— ასეთ ადგილში რამდენს ითხოვენ? — არ ეშვებოდა აღტაცებული ქენდი. [SEP]

ჭორჭი ეჭვით უყურებდა. [SEP]

— ექვსას დოლარად შემიძლია ვიყიდო. მოხუცებს, ვისაც ეს მინა ეკუთვნის, გაუჭირდათ. მოხუც ქალბატონს ოპერაცია სჭირდება. თქვი, შენ რა გესაქმება? ჩვენს საქმეში ცხვირს ნუ ყოფ. [SEP]

— ჩემი ერთი ხელით დიდ სარგებელს ვერ მოვიტან, — თქვა ქენდიმ, — მეორე ხელი აქ, რანჩოში, დავვარგე. ამიტომაც მომცეს დამლაგებლის ადგილი. და ასევე — ორას ორმოცდაათი დოლარი იმის გამო, რომ უხელოდ

თაგვებსა და ადამიანებზე

დავრჩი. კიდევ ორმოცდაათი დოლარი ბანკში მაქვს შეგროვილი. ეს უკვე სამასი დოლარი. ორმოცდაათს კი თვის ბოლოს ვეღოდები. იცი, რას გეტყვით, ვთქვათ, თქვენთან ერთად წამოვედი, ამ სამას ორმოცდაათ დოლარს დავდებ. ბევრს ვერაფერს ვაკეთებ, მაგრამ მჩარეულობა, წინილების მოვლა და ბაღის მოთოხნაც შემიძლია. ამაზე რას იტყვით? [SEP]

ჭორჭმა ოდნავ მოჭუტა თვალები. [SEP]

— უნდა დავთიქრდე. სულ გვინდოდა, ჩვენ ორს გაგვეკეთებინა ეს ყველაფერი. [SEP]

— ანდერძს დავწერ, — გააწყვეტინა ქენდიმ, — და როცა მოვკვდები, ჩემს წილს თქვენ დაგიტოვებთ, იმიტომ რომ არც ნათესავი მყავს და არც არავინ. თქვენ, ბიჭებო, რამე ფული გაქვთ? იქნებ ახლავე მოგვეგვარებინა ეს საქმე? [SEP]

ჭორჭმა ჩიტლით გადააფურთხა. [SEP]

— ჩვენ ორს მხოლოდ ათი დოლარი გვაქვს. მაგრამ თუ მე და ლენი ერთი თვე ვიმუშავებთ და არაფერს დავხარჭავთ, ასი დოლარი გვექნება. ეს უკვე ოთხას ორმოცდაათია. თავს დავდებ, ამ თანხად მოხუცები ადგილს დაგვითმობენ. შენ და ლენი იქ გადახვალთ და საქმეს შეუდგებით, მე კი სამუშაოს მოვნახავ და დარჩენილ თანხას ვიშოვნი. თქვენ კვერცხებს გაყიდით და რამე იქნება. [SEP]

უცებ ყველა გაჩუმდა. ერთმანეთს გაოცებული უყურებდნენ. ოცნება, რომლისაც ბოლომდე არასდროს სჭეროდათ, უნდა ამხდარიყო. [SEP]

— ღმერთო მაღალო, თავს დავდებ, რომ დავითანხმებთ, — თქვა ჭორჭმა მოწინებით. [SEP]

მისი თვალები გაოცებით იყო სავსე. [SEP]

— თავს დავდებ, რომ დავითანხმებთ, — ჩუმად გაიმეორა. [SEP]

ქენდი საწოლის კიდეზე ჩამოჭდა. ნერვულად ისვამდა ხელს ჭოხის ტარივით მაჭაზე. [SEP]

— ხელი ოთხი წლის წინ დავვარგე, — თქვა მან, — აქედან მალე გამაგდებენ. როგორც კი ფიცრულების დალაგებას ვეღარ შევძლებ, მაშინვე თავიდან მომიშორებენ. თუკი ჩემს ფულს თქვენ მოგცემთ, ბიჭებო, იქნებ ბაღის გათოხნის უფლება მაშინაც მომცეთ, როცა უკვე ეს არც ისე ვარგად

ჭონ სტაინბეგი

გამომივა. ჭურჭელს დავრეცხავ და პატარა წინილებს მივხედავ. მაგრამ საკუთარ მიწაზე ვიცხოვრებთ და ჩვენს სახლში ვიმუშავებთ. ხომ ნახეთ, წელან ჩემს ძაღლს რა უქნეს, – თქვა მან შესაბრალისად, – თქვეს, რომ არც საკუთარი თავისთვის მოჰქონდა სარგებელი და არც სხვებისთვის. როცა აქედან გამაგდებენ, მეც ვინატრებ, რომ ვინმემ მესროლოს. მაგრამ ისინი ამას არ იზამენ. არც სადმე წასასვლელი მექნება და ვერც სხვა სამსახურს ვიშოვი. და სანამ თქვენ აქედან წასვლას შეძლებთ, მე კიდევ ოცდაათი დოლარი მომიგროვდება გასამრჯელო. [SEP]

ჭორჭი წამოდგა. [SEP]

– მოკლედ, გადაწყვეტილია, – თქვა მან, – ვიყიდით რანჩოს და იქ დავსახლდებით. [SEP]

ისევ ჩამოჭდა. ყველა უძრავად იყო – მოჯადოებულიყვნენ წარმტაცი სურათით. მათი გონება მომავალისკენ მიიღებოდა, იმ დროისკენ, როცა ეს ყველაფერი ხორცს შეისხამდა. [SEP]

– და როდესაც ქალაქში ვარნავალი იქნება, ან ცირკი ჩამოვა, ან ბეისბოლის მატჩი იქნება, – თქვა ჭორჭმა ჩაფიქრებით და ქენდიმაც თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა, – ჩვენ უბრალოდ წავალთ. არავის არ ვკითხავთ ნებართვას. უბრალოდ ვიტყვით, წავიდეთ და წავალთ. მხოლოდ ძროხას მოვწველით, მარცვლეულს დავუყრით წინილებს და წავალთ. [SEP]

– და კურდღლებსაც დავუყრით ბალახს, – ჩაერთო ლენი საუბარში, – მათი გამოკვება არასდროს დამავიწყდება. როდის შევძლებთ ამას, ჭორჭ? [SEP]

– ერთ თვეში. მხოლოდ ერთი თვე მოითმინე. იცი, რას ვიზამ? იმ მოხუცებს, ვისაც ის მიწა ეკუთვნით, მივწერ, რომ ვყიდულობთ და ქენდი ბეს გაუგზავნის, ას დოლარს. [SEP]

– რა თქმა უნდა, – თქვა ქენდიმ, – ვარგი ღუმელი აქვთ, თუ იცი? [SEP]

– რა თქმა უნდა, ვარგი ღუმელია, გინდა ქვანახშირს შეუკეთებ, გინდა – შეშას. [SEP]

– ჩემს ლეკვეს წავიყვან, – თქვა ლენიმ, – იქ ძალიან მოეწონება. [SEP]

გარედან ხმები ახლოვდებოდა. [SEP]

– ეს ამბავი არავის უთხრათ, – თქვა ჭორჭმა, – მხოლოდ ჩვენ სამმა ვიცოდეთ, სხვამ არავინ. თორემ გაგვყრიან აქედან და ვერაფერსაც ვერ

თაგვებსა და ადამიანებზე

გამოვიმუშავებთ. ისე გვეჭიროს თავი, თითქოს მთელი დარჩენილი ცხოვრება ქერის მკას ვაპირებდეთ. ერთ მშვენიერ დღესაც, ჩვენს ფულს ავიღებთ და მშვიდობით. [SEP]

ლენი და ქენდი დაეთანხმნენ ბედნიერებისგან გაღიმებულები. [SEP]

— არავისთან სიტყვა არ დაგცდეს, — ლენიმ საკუთარი თავი გააფრთხილა.

[SEP]

- ჭორჭა, — თქვა ქენდიმ. [SEP]
- რა იყო? [SEP]
- მე თვითონ უნდა მომევლა ის ძაღლი, ჭორჭა. არ უნდა მიმეცა უცხოსთვის ჩემი ძაღლის მოკვლის უფლება. [SEP]

კარი გაიღო. ოთახში სლიმი შემოვიდა, უკან ქარლი, კარლსონი და უიტი მოჰყვებოდნენ. სლიმს კუპრისგან ხელები გაშავებოდა და იბრვირებოდა. ქარლი კუდში მოსდევდა. [SEP]

— სლიმ, არაფერი მიგულისხმია, — უთხრა ქარლიმ, — უბრალოდ გვითხე.

[SEP]

- ძალიან ხშირად მევითხები, — უპასუხა სლიმმა, — უკვე ძალიან მომბეზრდა. თუ შენს წყეულ ცოლს ვერ პატრონობ, მე რა შუაში ვარ. მოდი რა, თავი დამანებე. [SEP]

— ვცდილობ აგიხსნა, რომ არაფერს ვგულისხმოდი, — თქვა ქარლიმ, — უბრალოდ ვიფიქრე, რომ სადმე შეიძლებოდა გენახა. [SEP]

— და რატომ არ ეტყვი, რომ იმ ჭანდაბა სახლიდან, სადაც ცხოვრობთ, არ გამოვიდეს? — უთხრა კარლსონმა, — ფიცრულებში წონიალის უფლებას აძლევ და მერე რაც მოხდება, შენს თავს დააბრალე. [SEP]

ქარლი სწრაფად მიუბრუნდა კარლსონს. [SEP]

— სხვის საქმეში ცხვირს ნუ ყოფ, თორემ გაგაპანღურებ აქედან. [SEP]

— შე უბედურო ბრიყვო, — გაიცინა კარლსონმა, — სლიმის შეშინება გინდოდა და არ გამოვიდა. სლიმმა აქეთ შეგაშინა. ბაყაყის მუცელივით ხარ გაყვითლებული. ფეხებზე მკიდია, საუკეთესო ბოქსიორი ხარ თუ არა, აბა, გაბედე და თითი დამავარე, მაგ წყეულ თავს წაგაცლი. [SEP]

ქენდი შეტყვას მხიარულად შეუერთდა. [SEP]

— ვაზელინით სავსე ხელთათმანი, — თქვა მან ზიზღით. [SEP]

ჭონ სტაინბეკი

ქარლიმ თვალები მიანათა, შემდეგ მოაშორა და ლენიზე შეაჩერა მზერა. ლენი ამ დროს, კერ კიდევ რანჩოს მოგონებებით ბეღნიერი, იღიმოდა. [P]

ქარლი ლენის ტერიერივით ეცა. [SEP]

— შენ რა ჭანდაბა გაცინებს? [P]

ლენიმ გულგრილად გამოხედა. [SEP]

— ჰა? [P]

ქარლი აფეთქდა. [SEP]

— შე დიდო ნაბიჭვარო, ადექი ფეხზე. ვერც ერთი დიდი ნა-ბიჭ-ვა-რი ვერ გაბედავს ჩემს დაცინვას. გაჩვენებ ახლა, შიშისგან გაყვითლება როგორ უნდა. [P]

ლენიმ მუდარით შეხედა ჭორჭს, შემდეგ კი წამოდგა და შეეცადა გაცლოდა. მაგრამ ქარლი უკვე მომზადებული იყო და ხელაღებით დაარტყა ჭერ მარცხენით, შემდეგ კი მარჯვენით ცხვირში უთავაზა. ლენიმ საბარლად იყვირა. ცხვირიდან სისხლი ნასკდა. [SEP]

— ჭორჭ, — ყვიროდა ლენი, — უთხარი, თავი დამანებონ, ჭორჭ. [SEP]

უკან დაიხია, სანამ კედელს არ გადააწყდა, ქარლი კი უკან მიძყვა, ისევ სახეში ურტყამდა. ლენის ხელები უმნეოდ ჰამოყრილი. ისე იყო შეშინებული, თავის დაცვაც არ შეეძლო. [P]

— დაარტყი, ლენი, არ მისცე ცემის უფლება, — აქეზებდა ჭორჭი. [SEP]

ლენიმ სახეზე დიდი ტორები აითარა და შიშისგან აბლავლდა. [SEP]

— უთხარი გაჩერდეს, ჭორჭ. [P]

შემდეგ ქარლიმ მუცელში უთავაზა და ლენის სუნთქვა შეეკრა. [P]

სლიმი ფეხზე წამოხტა. [P]

— შე ჭუჭყიანო, პატარა ვირთხა, — იყვირა მან, — მე თვითონ გაგისწორდები. [P]

ჭორჭმა ხელი ჩაავლო და სლიმი დაიჭირა. [P]

— ერთი წუთი მოიცადე, — იყვირა მან, ხელები პირთან მიიტანა და ხმამაღლა დაიძახა, — ლენი, დაარტყი! [P]

ლენიმ ხელები სახიდან მოიშორა და ჭორჭს შეხედა, ამასობაში ქარლიმ თვალებში უთავაზა. მისი დიდი სახე სისხლით იყო მოთხვერილი. [P]

— გითხარი, დაარტყი-მეთქი, — ისევ დაუყვირა ჭორჭმა. [P]

თაგვებსა და ადამიანებზე

ლენისთვის გამოქნეული ქარლის მუშტი ჰერაც პაერში იყო, ლენიმ რომ ხელი სტაცა. ერთ წეთში ქარლი თევზივით ფართხალებდა და მისი შეკრული მუშტი ლენის დიდ ტორში ჩავარგულიყო. ჭორკმა მთელი ოთახი გაირბინა და მასთან მივარდა.^[5]

— ახლა ვი, გაუშვი, ლენი, გაუშვი. ^[5]

მაგრამ ლენი შიშით შეპყურებდა მოფართხალე ვაცს, რომელიც დაჭერილი ჰყავდა. ლენის სახეზე სისხლი სდიოდა, ერთი თვალი გახეთქილი და დახუჭული ჰქონდა. ჭორკი სახეში ურტყამდა, მაგრამ ლენი ქარლის მუშტისთვის ხელის გაშვებას არ აპირებდა. ქარლი გათეთრდა და მოიკრუნჩა. წინააღმდეგობის ძალა არ შერჩა. გაჩერდა და ატირდა. მისი მუშტი ლენის ტორს გადაეყლაპა. ^[5]

— ხელი გაუშვი, ლენი, ხელი გაუშვი, — უყვიროდა ჭორკი, — სლიმ, მოდი, დამეხმარე, სანამ კიდევ შერჩა ხელი ამ ბიჭს. ^[5]

უეცრად ლენიმ ხელი გაუშვა. კედელთან ჩაიკეცა, შეუმჩნეველი რომ გამხდარიყო. ^[5]

— შენ თვითონ მითხარი, ჭორკ, — უთხრა საცოდავად. ^[5]

ქარლი იატაკზე დაჭდა და გაოგნებული შეპყურებდა თავის დასახიჩრებულ ხელს. სლიმი და ვარლსონი მისვენ დაიხარნენ. შემდეგ სლიმი წამოიმართა და შიშით შეხედა ლენის. ^[5]

— ექიმთან უნდა წავიყვანოთ, — თქვა მან, — მგონი ძვლები აქვს დამტვრეული. ^[5]

— არ მინდოდა, — ტიროდა ლენი, — არ მინდოდა მისთვის რამე დამეშავებინა. ^[5]

— ვარლსონ, სატვირთო ვაგონი გამოიყვანე, — თქვა სლიმმა, — სოლედადში უნდა წავიყვანოთ, იქ მოარჩენენ. ^[5]

ვარლსონი გარეთ გავარდა. სლიმი აცრემლებულ ლენის მიუბრუნდა. ^[5]

— შენი ბრალი არ ყოფილა, — უთხრა მან, — ამ ქალაჩუნამ თვითონ მოიწია ყველაფერი. ოღონდ ეგაა, ლამის უხელოდ დარჩა. ^[5]

სლიმი სასწრაფოდ გავარდა გარეთ და ჭიქით წყალი შემოიტანა. ქარლის ტუჩებთან მიუტანა. ^[5]

— სლიმ, ახლა ჩვენ აქედან გაგვყრიან? — უთხრა ჭორკმა, — ფული ძალიან

ჭონ სტაინბეგი

გვჭირდება. ქარლის მოხუცი აქედან გაგვყრის? [SEP]

სლიმმა ირიბად გაიცინა. ქარლისკენ დაიხარა. [SEP]

– შეგიძლია თავი ხელში აიყვანო და მომისმინო? – ჯ პეითხა მან. [SEP]

ქარლიმ თავი დაუქნია. [SEP]

– კარგი, მაშინ მისმინე, – განაგრძო სლიმმა, – ვფიქრობ, შენ მანქანაში მოგყვა ხელი. თუ არავის მოუყვები, რაც სინამდვილეში მოხდა, არც ჩვენ ვიტყვით რამეს. მაგრამ თუ პირს მოაღებ და ამ ბიჭის აქედან გაგდებას შეეცდები, მაშინ ჩვენც მოვყვებით ყველაფერს და მთელი რანჩოს დასაცინს გაგხდით. [SEP]

– არ ვიტყვი, – თქვა ქარლიმ, ლენისკენ გახედვას უფრთხოდა. [SEP]

გარეთ სატვირთო ეტლის ბორბლების ხმა მოისმა. სლიმი ქარლის აღვომაში დაეხმარა. [SEP]

– წამოდი, ვარლსონი ექიმთან წაგიყვანს. [SEP]

შემდეგ ვარამდეც მიაცილა. ბორბლების ხმა ნელ-ნელა მიწყდა. სლიმი მაშინვე შემობრუნდა ფიცრულში. ლენის შეხედა – ის, დამფრთხალი, ჰერაც კედელს იყო მიკრული. [SEP]

– აბა, შენი ხელები მაჩვენე, – უთხრა სლიმმა. [SEP]

ლენიმ ხელები გაუშვირა. [SEP]

– ღმერთო მაღალო, ნამდვილად არ ვისურვებდი, რომ ჩემჩე გაბრაზდე, – უთხრა სლიმმა. [SEP]

– უბრალოდ ლენი შეშინდა, – ჩაერთო საუბარში ჭორჭი, – არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. გითხარი კიდეც, რომ მისი ჩხუბში გამოწვევა არ შეიძლება. თუმცა არა, მგონი ეს ქენდის ვუთხარი. [SEP]

ქენდიმ სერიოზული სახით დაუდასტურა. [SEP]

– ჴო, მითხარი, – უთხრა მან, – ზუსტად ამ დილით, როდესაც ქარლი პირველად დაესხა თავს შენს მეგობარს, შენ თქვი: თუ თავი უყვართ, ჭობია, ლენის ხელი არ ახლონო. ზუსტად ასე თქვი. [SEP]

– შენი ბრალი არ ყოფილა, – მიუბრუნდა ჭორჭი ლენის. – ნუ ხარ დამფრთხალი. ის გააკეთე, რაც მე გითხარი. მგონი ჭობია სააბაზანოში წახვიდე და სახე ჩამოიბანო. მოჩვენებას შვავხარ. [SEP]

ლენიმ ჩასისხლიანებული ტუჩებით გაიღიმა. [SEP]

თაგვებსა და ადამიანებზე

- არ მინდოდა უსიამოვნებაში გახვევა, – თქვა მან და კარისკენ გაემართა, თუმცა სანამ გარეთ გავიდოდა, შემობრუნდა.
– ჰორქ?
– რა გინდა?
– ისევ მომცემ კურდღლების მოვლის უფლებას, ჰორქ?
– რა თქმა უნდა. შენ არაფერი დაგიშავებია.
– არ მინდოდა ვინმეს წყენინება.
– გავიგე. გადი გარეთ და სახე დაიბანე.

კრუესი, შავვანიანი მეჭინიბე, საჭინიბოს გვერდით, ცხენის აღვაზმულობის საწყობში ცხოვრობდა. მომცრო ოთახს ერთ მხარეს კვადრატული ფანჯარა შექონდა, რომელშიც ოთხი პატარა შუშა იყო ჩასმული, მეორე მხარეს კი შეფიცრული კარი, რომელიც საჭინიბოში გადიოდა. კრუესის საწოლის მაგივრობას ჩალით საფსე გრძელი ყუთი სწევდა, რომელზეც საბანი გადაეფარებინა. ფანჯარასთან ახლოს, კედელზე მცირე ზომის პალოები იყო შერწყობილი. ზედ ცხენის დაზიანებული აღვაზმულობა ეკიდა, შეკეთებას რომ საჭიროებდა, ასევე ახალი ტყავის ზონრებიც; ფანჯრის ქვეშ კი პატარა სკამი იდგა, რომელზეც ტყავზე სამუშაო იარაღები, მრუდე დანები და ნემსები, ბამბის ძაფის გორგლები და დასამოქლონებელი პატარა ხელის მანქანა ელავა. პალოებზე ცხენის ორად გაპობილი უღელიც ეკიდა, საიდანაც ცხენის თმის ბლუჭა იყო გადმოფენილი, დამტვრეული კაუჭი და გამწყდარი ჰაჭვის ღვედი თავისი ტყავის ბუდით. თაროდ გამოსაყენებელი ვაშლის შესანახი ყუთი კრუესსაც საწოლთან ედგა. თაროზე მისთვისაც და ცხენებისთვისაც განკუთვნილ წამლის უამრავ ბოთლს ნახავდით. ასევე უნაგირის საწმენდ საპნის ქილებს, გუდრონის ქილებსაც, რომლებმიც სპეციალური ფუნქციი ჩაერჭო. იატავზე კი, პირადი საჭიროების უამრავი ნივთი იყო მიმოფანტული. კრუესი მარტო ცხოვრობდა და შეეძლო თავისი ნივთები თავისუფლად მიმოეფანტა. ამასთან კუზიანი მეჭინიბის სამუშაო ბევრად უფრო საიმედო იყო და ამხანობაში უკვე იმდენი ნივთი მოეგროვებინა, ყველაფრის ზურგზე მოვიდება და წაღება წამდვილად გაუჭირდებოდა.

კრუესს რამდენიმე წყვილი ფეხსაცმელი, რეზინის ჩექმა, დიდი მაღვიძარა საათი და ცალლულიანი საფანტის თოფი შექონდა. წიგნებიც ლექსიკონი და

ჭონ სტაინბეკი

1905 წლის სამოქალაქო კოდექსი კალიფორნიისა, ორივე დაფლეთილი და დახეული. სპეციალურ თაროზე საწოლთან დაჭმუქნული გაზეთები და რამდენიმე ჭუჭყიანი წიგნი ელაგა. საწოლის თავზე კი, კედელზე მიჭედებულ ლურსმანზე ოქროს ჩარჩოში ჩასმული დიდი სათვალე ევიდა.^[SEP]

კრუესი ამაყი, მარტოსული კაცი იყო და ამის კვალობაზე მისი ოთახიც სუფთად გამოიყურებოდა. ის ურთიერთობაში ზღვარს არასდროს გადადიოდა და მოითხოვდა, სხვებიც ასე მოქცეულიყვნენ. გამრუდებული ხერხემლის გამო, სხეული მარცხნივ გადაზნექოდა და მისი უძირო თვალები თითქოს მგზნებარებისგან ბრწყინავდა. გამხდარი სახე ღრმა, შავი ნაოჭებით დაჰლარვოდა. თხელი ტუჩები კი, რომელიც, სახის კანთან შეღარებით, უფრო ღია ჩანდა, ტკივილისგან მომუწული ჰქონდა.^[SEP]

შაბათი საღამო იდგა. ღია კარიდან, რომელიც საჭინიბოში გადიოდა, ადამიანების ფეხის და ცხენების გადაადგილების, თივის ცოხნისა და ჭაჭვის ღვედების ჟღარუნის ხმა შემოდიოდა. მეჭინიბის ოთახში პატარა აბაჟურიდან მკრთალი შუქი გამოკრთოდა.^[SEP]

კრუესი საწოლზე იჭდა. პერანგი ჭინსის შარვლიდან ამოეჩაჩა. ცალ ხელში თხევადი საცხის ბოთლი ეჭირა, მეორე ხელით კი ხერხემალს იზელდა. შიგადაშივ საცხის რამდენიმე წვეთს ვარდისფერ ხელისგულზე დაისხამდა და გასაზელად ისევ პერანგქვეშ შეაცურებდა. მოიკუნტებოდა და ცახცახებდა.^[SEP]

უცებ ღია კარის ზღურბლზე ლენი გადმოდგა ხმაურიანად, იდგა და შიგნით იყურებოდა, მისი უზარმაზარი სხეული ლამის ერთიანად ავსებდა კარის სიცარიელეს. თავიდან კრუეს არ დაუნახავს, მაგრამ როგორც კი თავი ასწია, გაშეშდა და სახე მოეღრუბლა. პერანგის ქვეშიდან ხელი ფრთხილად გამოაცურა.^[SEP]

ლენიმ მორცხვად და მეგობრულად გაუღიმა.^[SEP]

— ჩემს ოთახში შემოსვლის უფლება ვინ მოგცა, — მკვახედ უთხრა კრუესმა,
— ეს ჩემი ოთახია და აქ, ჩემ გარდა, ვერავინ შემოვა.^[SEP]

ლენიმ ნერწყვი გადაყლაპა და კიდევ უფრო მორჩილად გაიღიმა.^[SEP]

— არათერი მინდა, — აუხსნა ლენიმ, — უბრალოდ ჩემი ლევვის სანახავად მოვედი და დავინახე, რომ შუქი ენთო.^[SEP]

— სრული უფლება მაქვს შუქიავანთო. მიდი, მიდი, გადი აქედან. მე

თაგვებსა და ადამიანებზე

ფიცრულში არ მიშვებენ, მე კი ჩემს ოთახში არ ვუშვებ არავის. [P]

— რატომ არ ვიშვებენ? — პკითხა ლენიმ. [SEP]

— იმიტომ რომ ჩანგი ვარ. ისინი კარტს თამაშობენ, მე კი ამის უფლება არ მაქვს, მხოლოდ იმიტომ რომ ჩანგი ვარ. ამბობენ, რომ ვყარვარ. ჰოდა, იცი, რას გეტყვი? მე თუ მკითხავ, თქვენ ყარხართ ყველანი. [SEP]

ლენიმ უმნეობისგან ხელები გაასავსავა. [P]

— ყველა ქალაქში წავიდა, — თქვა მან, — სლიმი და ჭორჭი და ყველა. ჭორჭმა მითხრა, რომ აქ უნდა დავრჩე და არაფერი დავაშავო. უბრალოდ სინათლე დავინახე. [SEP]

— კარგი, და რა გინდა? [P]

— არაფერი. სინათლე დავინახე. ვიფიქრე, რომ შემოვიდოდი და დავკადებოდი. [SEP]

კრუქსი ლენის მიაჩერდა, შემდეგ შებრუნდა, კედლიდან სათვალე ჩამოხსნა და ვარდისფერ ყურებზე მოირგო. [SEP]

— მაინც ვერ ვხვდები, საჭინიბოში რა გესაქმება, — უკმაყოფილოდ მიუგო კრუქსმა, — მეხრე შენ არ ხარ, სხვა მუშები კიდე საჭინიბოში არ შემოდიან. ცხენებთან არაფერი გესაქმება. [P]

— ლეკვი, — უთხრა ლენიმ, — ჩემი ლეკვის სანახავად მოვედი. [P]

— წადი და შენს ლეკვს მიხედე მაშინ, — უპასუხა ჩანგმა, — და სადაც არ გეპატიუებიან, იქ ნუ შემოდიხარ. [SEP]

ლენის სახეზე ღიმილი შეაშრა. ერთი ნაბიჭი გადმოდგა ოთახში, შემდეგ გაახსენდა, რომ აუკრძალეს და ისევ უვან დაიხია. [SEP]

— ცოტა ხნით დავხედე, — უთხრა მან, — სლიმი ამბობს, რომ დიდხანს არ უნდა მოვეფერო. [SEP]

— ბუნავიდან ყოველ წამს ამოგყავდა, — მიუგო კრუქსმა, — საოცარია, რომ დედამისმა არ გადამალა ლეკვები. [SEP]

— არ ადარდებს, უფლებას მაძლევს, — თქვა ლენიმ და ისევ გადმოდგა ნაბიჭი ოთახისკენ. [SEP]

კრუქსმა შუბლი შეკრა, მაგრამ ლენის გულდია ღიმილმა ფარხმალი დააყრევინა. [SEP]

— კარგი, შემოდი და ცოტა ხანს დაჭექი, — უთხრა კრუქსმა, — რახან

ჭონ სტაინბეკი

ცოცხალი თავით არ მიდიხარ, დაჯექი მაინც.^P

ხმა თითქოს ოდნავ მოულბა. ^{SEP}

— აბა, ყველანი ქალაქში წავიდნენ?^P

— ყველა, მოხუცი ქენდის გარდა. ის სახლში ზის, ფანქარს თლის და ითვლის.^P

— ითვლის? რას ითვლის ქენდი?^P

კრუესმა სათვალე შეისწორა. ^{SEP}

— კურდღლებს, — შეჰყვირა ლენიმ. ^P

— რას ჩმახავ, — თქვა კრუესმა, — ცოტას აფრენ შენ. რა კურდღლებზე მელაპარაკები?^P

— კურდღლებზე, რომლებიც გვეყოლება. მე მათ მოვუვლი, ბალახს ვაჭმევ და წყალს დავალევინებ ხოლმე. ^P

— აფრენ, — უთხრა კრუესმა, — ახლა აღარ მივვირს, იმ ბიჭმა, ვისთან ერთადაც აქ მოხვედი, თავიდან რომ მოგიშორა. ^{SEP}

— არ გატყუებ, — მშვიდად მიუგო ლენიმ, — მართლა ვაპირებთ ამის გავეთებას. პატარა მიწას ვიყიდით, ვიცხოვრებთ და შევჭამთ ამ მიწის დოვლათს.^P

კრუესი უფრო მოხერხებულად მოეწყო საწოლზე. ^P

— დაჯექი, — მიიპატიჟა ლენი, — ლურსმნების ყუთზე ჩამოკეექი. ^P

ლენი პატარა კასრზე ჩამოკდა. ^P

— შენ გვინია, რომ გატყუებ, — უთხრა მან, — მაგრამ არ გატყუებ. ყველაფერი სიმართლეა. თუ გინდა, ჭორჭს პვითხე. ^{SEP}

კრუესმა შავი ნივაპი ვარდისფერ ხელისგულს ჩამოაყრდნო. ^P

— შენ და ჭორჭი ერთად მოგზაურობთ, არა?^P

— რა თქმა უნდა. მე და ჭორჭი ყველგან ერთად დავდივართ. ^P

— ზოგჯერ ის ლაპარაკობს და შენ ვი ვერ ხვდები, რა ჭანდაბაზე ლაპარაკობს, ასეა, არა? — განაგრძობდა კრუესი. ^P

წინ გადაიხარა და ლენის თავისი ღრმა თვალებით ესროლა გამჭოლი მჩერა. ^P

— ასეა? — ისევ ჩაეკითხა. ^P

— ჰო, ზოგჯერ. ^P

თაგვებსა და ადამიანებზე



— უბრალოდ ლაპარაკობს და შენ კი ვერ ხვდები, რა ჭანდაბა უნდა? [SEP]

— ჰო... ჩოგქერ. მაგრამ... ყოველთვის არა. [SEP]

— მე სამხრეთელი ზანგი არ გეგონო, — კრუესი საწოლის კიდისკენ ვადმოიხარა, — ვალიფორნიაში დავიბადე. მამაჩემს წიწილების რანჩო ჰქონდა, ათი აკრისოდენა. თეთრკანიანი ბავშვები მოდიოდნენ ხოლმე ჩვენთან სათამაშოდ და ხანდახან მეც მივდიოდი მათთან. ზოგიერთი ძალიან კარგადაც მექცეოდა. მამაჩემს ეს არ მოსწონდა. დიდხანს ვერ გავიგე, რატომ. მაგრამ ახლა ვხვდები, — ცოტა წაიბორძივა და საუბარი რომ განაგრძო, თითქოს ხმა შეურბილდა, — ჩვენი რანჩოს ირგვლივ, რამდენიმე მილის მანძილზე ფერადვანიანთა არც ერთი ოჯახი არ ცხოვრობს. ამ რანჩოშიც ერთი ზანგი არ არის, ჩემ გარდა, სოლედადში მხოლოდ ერთი ოჯახი მახსენდება, — გაიღიმა, — ჩემი ნათქვამი, ზანგის ნათქვამია და სერიოზულად როგორ უნდა აღიქვას კაცმა. [SEP]

— როგორ გვინაა, რამდენ ხანში გაიზრდებიან ლევვები ისე, რომ მათი მოფერება შევძლო? — ჰვითხა ლენიძ. [SEP]

კრუესმა ისევ გაიცინა. [SEP]

— კაცს შეუძლია გელაპარაკოს და არ შეეშინდეს, რომ სადმე რაღაც წამოგცდება. ორი კვირაც და ლევვები წამოიზრდებიან. ჭორჭმა ეს ყველაფერი კარგად იცის. გელაპარაკება და შენ ვერაფერს იგებ. [SEP]

აღელვებული გადმოიხარა წინ. [SEP]

— ახლაც ხომ ზანგი ლაპარაკობს, ზანგი მექინიბე, დასახსომებელიც არაფერია, გესმის? მაინც ვერ დაიმახსოვრებ. ასეთი რამ ბევრჯერ მინახავს, ერთი კაცი მეორეს ელაპარაკება, და სულაც არ ანაღვლებს, თუ იმ მეორეს არაფერი ესმის ან ვერ იგებს. მთავარია, რომ ლაპარაკობენ ან არც ლაპარაკობენ, მაგრამ უბრალოდ სხედან. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, არანაირი. [SEP]

მისი მღელვარება მატულობდა, სანამ ბოლოს მუხლებზე ხელები არ დაირტყა. [SEP]

— ჭორჭს შეუძლია ნებისმიერი სისულელე გითხრას, სულ ერთია, რა. მთავარია, რომ ვინმეს ესაუბრება, მთავარია, რომ მის გვერდით მეორე აღამიანია. სულ ესაა. [SEP]

ჭონ სტაინბეკი

ცოტა ხანს შეყოვნდა. მისი ხმა უფრო რბილი და დამაჯერებელი გახდა. [SEP]

– წარმოიდგინე, რომ ჭორჭი აღარასდროს დაბრუნდეს. აიღო თავისი ნივთები და უკანმოუხედავად წავიდა. შენ რას გააკეთებ? [SEP]

– რა? – ლენიმ თანდათან მიაყურადა კრუქსის ნათქვამს. [SEP]

– გითხარი, რომ, ვთქვათ, ჭორჭი დღეს წავიდა ქალაქში და აღარასდროს დაბრუნდა უკან, უბრალოდ წარმოიდგინე, – თქვა მეჭინიბემ და თითქოს შინაგანად უხაროდა. [SEP]

– ასე არ მოიქცევა, – იყვირა ლენიმ, – ჭორჭი ასეთს არაფერს გააკეთებს. მე და ჭორჭი დიდი ხანია ერთად ვართ. ამაღამაც დაბრუნდება. [SEP]

მაგრამ ეჭვი მაინც შეეპარა. [SEP]

– და შენ ფიქრობ, რომ შეიძლება არ დაბრუნდეს? [SEP]

კრუქს სახე სიამოვნებისგან აენთო. [SEP]

– ვერავინ იტყვის წინასწარ, კაცი რას მოიმოქმედებს, – მშვიდად შენიშნა, – ხომ შეიძლება უნდოდეს დაბრუნება, მაგრამ ვერ დაბრუნდეს. ვთქვათ, მოკლან ან დაჭრას ვინმემ და ვეღარ დაბრუნდეს. [SEP]

ლენი თავს იტანკავდა, რომ როგორმე გაეგო, რასაც ეუბნებოდნენ. [SEP]

– ჭორჭი ასე არ მოიქცევა, – ისევ გაიმეორა, – ჭორჭი ფრთხილია. არაფერი დაუშავდება. არასდროს არაფერი მოსვლია, იმიტომ რომ ფრთხილია. [SEP]

– ჰო, მაგრამ წარმოიდგინე, უბრალოდ წარმოიდგინე, რომ არ დაბრუნდა. მაშინ სად მიდიხარ? [SEP]

ლენის შიშისგან სახე დაუნაოჭდა. [SEP]

– არ ვიცი. მითხარი, ამას რატომ ამბობ? – დაიყვირა მან, – ეს არაა სიმართლე. ჭორჭს არაფერი დაუშავდება. [SEP]

კრუქსმა გამჭოლად შეხედა. [SEP]

– გინდა მე გითხრა, რა მოხდება? წაგიყვანენ, საგიუეთში გამოგამწყვდევენ და უვანს შეგაბამენ. [SEP]

ლენის უცრად თვალები გაუშემდა და შეშლილის იერი დაედო. წამოდგა და აღელვებული კრუქსისკენ დაიძრა. [SEP]

– ვინ დაჭრა ჭორჭი? – მკაცრად იკითხა მან. [SEP]

კრუქსმა იგრძნო, რომ საფრთხე უახლოვდებოდა და უკან გაჩოჩდა, თავი

თაგვებსა და ადამიანებზე

რომ დაეხსნა. [SEP]

— სიტყვაზე გითხარი, — უთხრა მან, — ჭორჭი არავის დაუჭრია. კარგად არის, მშვიდობით დაბრუნდება. [SEP]

ლენი თავზე წამოადგა. [SEP]

— მაშინ რატომ ლაპარაკობ? ჭორჭს სიტყვითაც კი ვერავინ შეეხება. [SEP]

კრუესმა სათვალე მოიხსნა და თითებით თვალები ამოიზმინდა. [SEP]

— დაჭექი, — უთხრა ლენის, — ჭორჭს ხელს არავინ ახლებს. — და შემდეგ მშვიდად განაგრძო, — იქნებ ახლა მაინც მიხვდე, რასაც გეუბნები. შენ ჭორჭი გყავს. იცი, რომ დაბრუნდება. წარმოიდგინე, რომ არავინ გყავდეს. წარმოიდგინე, რომ არ შეგეძლოს ფიცრულში შესვლა და კარტის თამაში, მხოლოდ იმიტომ რომ შავვანიანი ხარ. როგორ მოგეწონებოდა? წარმოიდგინე, რომ აქ ჭდომა და ნიგნების კითხვა გინევდეს. ცხადია, დაბინდებამდე შეგეძლებოდა ნალით თამაში, მაგრამ მერე გაუთავებლად ნიგნების კითხვას ვერ გადაურჩებოდი. ნიგნები არაფერს შველის. კაცს გვერდში მდგომი სჭირდება. [SEP]

კრუესმა ვეღარ შეივავა ყელში მობჭენილი ბურთი. [SEP]

— მარტოობისგან შეიძლება გაგიჟდეს ვაცი. სულ ერთია, ვინ იდგება შენ გვერდით, მთავარია ვიღაც იყოს. გეუბნები, — იყვირა მან, — გეუბნები, ვაცი მარტოობისგან შეიძლება შეიშალოს. [SEP]

— ჭორჭი დაბრუნდება, — ლენიმ დამფრთხალი ხმით დაირწმუნა თავი, — იქნებ უკვე დაბრუნდა კიდეც. იქნებ ჭობია წავიდე, შევამოწმო. [SEP]

— შენი შეშინება არ მინდოდა, — უთხრა კრუესმა, — ის დაბრუნდება. მე ჩემს თავზე გეუბნებოდი. ზიხარ აქ ღამით მარტო, ან კითხულობ, ფიქრობ ან კიდევ რაღაც უაზრობას აკეთებ. ზოგჯერ ფიქრობ, ფიქრობ და არავინაა, რომ გითხრას, რა სწორია და რა არ ვარგა. ან რაღაცას წარმოიდგენ და არ იცი, მართალი ხარ თუ არა. არც ის შეგიძლია, რომ მეორე კაცთან მიირბინო და აჩრი ჰკითხო. ვერ მიხვდები. ვერც ვერავის აუხსნი. მე აქ ისეთი რამეები მინახავს! მთვრალი არ ვყოფილვარ. იქნებ დამესიზმრა? ვიღაც რომ ყოფილიყო ჩემ გვერდით, ხომ მეტყოდა, მეძინა თუ არა, და ასე უფრო იოლი იქნებოდა. ახლა კი არაფერი ვიცი. [SEP]

მექინიბე ფანქრისკენ იხედებოდა. [SEP]



ჭონ სტაინბეკი

— ჭორჭი არ წავა და აქ არ დამტოვებს. ვიცი, რომ ჭორჭი ამას არ გაავეთებს, — თქვა ლენიძ საწყალობლად. [SEP]

— მახსოვს, პატარა რომ ვიყავი და მამაჩემის წინილების რანჩოში ვცხოვრობდით, — განაგრძობდა ოცნებებში წასული მეჯინიბე, — ორი ძმა მყავდა. ისინი ყოველთვის ახლოს იყვნენ, ყოველთვის ჩემ გვერდით. სამივე ერთ ოთახში, ერთ საწოლში ვიძინებდით. მარწყვის ნაკვეთი გვეონდა. იონქას ნაკვეთიც. მახსოვს, ყოველ მზიან დიღას წინილებს იმ ნაკვეთში ვუშვებდით. ჩემი ძმები ღობის მოაჭირზე ჩამოსხდებოდნენ და წინილებს თვალს ადევნებდნენ — თეთრი წინილები გვყავდა. [SEP]

როგორც იქნა, ლენი მეჯინიბის ნათქვამმა დააინტერესა. [P]

— ჩვენც გვექნება იონქას ნაკვეთი კურდღლებისთვის. [SEP]

— რომელი კურდღლებისთვის? [P]

— ჩვენ კურდღლები და კენკრის ნაკვეთი გვექნება. [SEP]

— სულელი ხარ. [P]

— მართლა ვაპირებთ. თუ გინდა, ჭორჭს ჰქითხე. [P]

— შეშლილი ხარ, — დამცინავად მიუგო კრუქსმა, — რანჩოში უამრავი ზურგზე ბოხჩამოგდებული ადამიანი მინახავს მოსული, თავი რომ სწორედ იმავე ხარახურით ჰქონდათ გამოტენილი. ასობით ასეთი ადამიანი შემხვედრია. მოდიოდნენ და მიდიოდნენ და უკლებლივ ყველა მიწაზე ოცნებობდა. მაგრამ ეგ ოცნება არც ერთს არ ასრულებია. სამოთხესავითაა. ყველას უნდა მიწის პატარა ნაწილი რომ შეხვდეს. აქ უამრავი წიგნი წავიკითხე. ვერავინ ვერასდროს ვერც სამოთხეში ხვდება და ვერც მიწას იღებს. უბრალოდ ოცნებობენ. გაუთავებლად ლაპარაკობენ ამაზე, მაგრამ ეს მხოლოდ ოცნებაა. [SEP]

შეყოვნდა და ღია კარისკენ გაიხედა. ცხენები აჩოჩქოლდნენ, აფრუტუნდნენ და ჭაჭვის ღვედები ააჟღარუნდეს. [SEP]

— მგონი იქ ვიღაცაა, — თქვა კრუქსმა, — იქნებ სლიმია. სლიმი ზოგჯერ ღამეში ორ-სამჯერ შემოდის ხოლმე. სლიმი ნამდვილი მეხრეა. ზრუნავს თავის გუნდზე. [P]

გაჭირვებით წამოდგა და კარისკენ გაემართა. [P]

— სლიმ, შენ ხარ? [P]

თაგვებსა და ადამიანებზე

— სლიმი ქალაქში წავიდა, — დაუძახა ქენდიმ, — ლენი ხომ არ დაგინახავს?

[SEP]

— იმ დიდ ტიპზე მეკითხები? [SEP]

— ჰო, მაგაზე. სადმე ხომ არ მოგიკრავს თვალი? [SEP]

— აქ არის, — მოკლედ მიუგო კრუქსმა, თავის საწოლს დაუბრუნდა და მიწვა. [SEP]

ქენდი კარის ზღურბლზე იდგა, თავის ხის კუნძივით მაჯას იფხანდა და განათებულ ოთახში ბრმასავით იყურებოდა. შიგნით შესვლა არც უცდია. [SEP]

— მისმინე, ლენი, სულ ვფიქრობდი იმ კურდღლებზე. [SEP]

— თუ გინდა, შემოდი, — უთხრა კრუქსმა მკვახედ. [SEP]

— არც კი ვიცი, თუ ნებას დამრთავ. [SEP]

— შემოდი. თუკი სხვები შემოდიან, მაშინ შენთვისაც შეიძლება, — კრუქსს ძალიან უჭირდა კმაყოფილება სიბრაზით გადაეფარა. [SEP]

ქენდი შემოვიდა, მაგრამ ისევ დაბნეული ჩანდა. [SEP]

— მშვენიერი მყუდრო ადგილი ყოფილა, — უთხრა კრუქსს, — ალბათ რა კარგია, როცა სავუთარი კუთხე გაქვს. [SEP]

— რა თქმა უნდა, — მიუგო კრუქსმა, — და ნეხვის გროვა ფანჯრის ქვეშ. უკეთესს რას ინატრებ. [SEP]

— კურდღლებზე ამბობდი, — ლენი ჩაერია საუბარში. [SEP]

ქენდი კედელს მიეყრდნო, იმ ადგილთან ახლოს, სადაც გატეხილი უნაგირი ეკიდა და ისევ მოიქავა მაჯა. [SEP]

— დიდი ხანია აქ ვცხოვრობ, — თქვა ქენდიმ, — კრუქსიც დიდი ხანია აქ არის. მის ოთახში კი პირველად ვარ. [SEP]

— და სხვა ვინ შემოდის ფერადვანიანის ოთახში? სლიმის გარდა, აქ არავინ ყოფილა. სლიმის და ბოსის. [SEP]

— სლიმი საუკეთესო მეხრეა მათ მორის, ვინც კი მინახავს, — თქვა ქენდიმ.

[SEP]

— კურდღლებზე ამბობდი, — ლენი ქენდისკენ გადაიხარა. [SEP]

მოხუცს გაეღიმა. [SEP]

— რაღაცები გამოვთვალე. თუ ჭვეიანურად მოვკიდებთ ხელს, კურდღლებიდანაც შეიძლება ფულის შოვნა. [SEP]

ჭონ სტაინბეკი

— მაგრამ მე უნდა მოვუარო მათ, — გააწყვეტინა ლენიმ, — ჭორჭი დამპირდა, რომ კურდღლებს მოვუვლი. [SEP]

— თქვენ, ბიჭებო, თავს იშტერებთ? — უხეშად გააწყვეტინა კრუქსმა, — ილაპარაკებთ, ილაპარაკებთ ამ სისულელეებზე და მაგასაც ვნახავ, რა შეგრჩებათ. შენ სიცოცხლის ბოლომდე დამლაგებელი იქნები, სანამ აქედან საკაცით არ გაგიტანენ. ჭანდაბა, ბევრი თქვენნაირი მინახავს. ლენი ორ-სამ კვირაში გასამრჯელოს აიღებს და მოუსვამს აქედან. ეჭ, ყველა მინაზე როგორ ფიქრობს. [SEP]

— დარწმუნებული იყავი, ჩვენ ყველაფერი თუ არ გამოგვივა. ჭორჭმა ასე თქვა. ფულიც კი გადადებული გვაქვს. [SEP]

— ჰო? — გაიკვირვა კრუქსმა, — და ჭორჭი სადაა ახლა? ქალაქში, ბორდელში. აი, სად ითლანგება თქვენი ფული. ღმერთო, რამდენჯერ მინახავს ასეთი რამ. რამდენი კაცი მინახავს, თავი მიწაზე ფიქრით რომ ჰქონდა გამოტენილი და ბოლოს ხელში არაფერი რჩებოდა. [SEP]

— რა თქმა უნდა, ყველას უნდა, — იყვირა ქენდიმ, — ყველას უნდა პატარა მიწა, მეტი არა. მიწის ერთი მტკაველი, რომელიც მისი საკუთრება იქნება. მომცრო ალაგი, სადაც ცხოვრებას შეძლებს და არავინ დაიფრენს იქიდან. მე ეს არასდროს მქონია. ამ მიდამოში მოსავალი ყველასთვის მომიყვანია, მაგრამ ეს ჩემი მოსავალი არ ყოფილა და ამ მოსავალს რომ ვიღებდი, მე არაფერი მეცუთვნოდა. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ახლა ამის გაკეთება, ისე, რომ შეცდომა არ დავუშვათ. ჭორჭს ფული არ ნაუღია ქალაქში, იმიტომ რომ ფული ბანკშია. მე, ჭორჭი და ლენი. ჩვენ ჩვენი მიწა გვექნება. გვეყოლება ძაღლი, კურდღლები და წინილები. სიმინდის ნაკვეთი გვექნება და შეიძლება ძროხა და თხაც ვიყოლიოთ. [SEP]

წარმტაცი სურათით შეპყრობილი ქენდი გაჩუმდა. [SEP]

— ამბობ, რომ ფული გაქვთ? — ჰკითხა კრუქსმა. [SEP]

— ეშმაკმა დასწყევლოს, გვაქვს. თან დიდი ნაწილი. სულ ცოტა გვაკლია და ისიც ერთ თვეში გვექნება. ჭორჭს რანჩოც კი შერჩეული აქვს უკვე. [SEP]

კრუქსმა ხერხემალი ხელით გაიზილა. [SEP]

— კაცი არ მინახავს, მართლა რომ ეყიდოს მიწა, — თქვა მან, — უამრავ ადამიანს შევხვედრივარ, სიგიურმდე რომ უნდოდათ მიწა, მაგრამ ყოველ

თაგვებსა და ადამიანებზე

ჭერზე ბორცელებსა და ბლექკევს ატანდნენ ყველაფერს, რაც ებადათ. — ცოტა ხანს შეყოყმანდა, — თუ თქვენ... ბიჭებო, დაგჭირდებათ ვინმე, უფასოდ ვინც იმუშავებს, იქ ყოფნის ფასად, სიამოვნებით წამოვალ თქვენთან. არც ისეთი საპყარი ვარ, თუ მოვინდომებ, მხეცივით ვიმუშავებ. [SEP]

— ბიჭებო, ქარლი არ ვინახავთ? [SEP]

ყველამ ვარისკენ მიაბრუნა თავი. ოთახში ქარლის ცოლი იხედებოდა. სახე ფერუმარილით მოერთო. პირი ოდნავ გახსნილი ჰქონდა. ნარბენივით მძიმედ სუნთქავდა. [SEP]

— ქარლი აქ არ ყოფილა, — მუავედ მიუგო ქენდიმ. [SEP]

გოგონა ვარის ზღურბლიდან არ იძვროდა, ოდნავ უღიმოდა მათ, ერთი ხელის ფრჩხილებს მეორე ხელის ცერა და საჩვენებელ თითს უსვამდა. მზერა კი ერთი სახიდან მეორეზე გადაშეონდა. [SEP]

— სუსტები აქ დატოვეს, — დაასკვნა ბოლოს, — თითქოს არ ვიცოდე, სად წავიდნენ. ქარლიც კი. ვარგად ვიცი, სადაც წავიდნენ. [SEP]

ლენი მოჭადოებული შეპყურებდა, კოპებშეყრილი კრუქსი და ქენდი კი თვალს არიდებდნენ. [SEP]

— და თუ იცი, რაღას გვეკითხები, ქარლი სად არისო? — უთხრა ქენდიმ. [SEP]

— სასაცილოა, — კევლუცად გამოხედა ქარლის ცოლმა, — ერთ ვაცს თუ მარტოს გამოვიჩერ, მშვენივრად ვუგებთ ერთმანეთს. მაგრამ როცა ორი ან სამი შეივრიბებით, მაშინ არც ერთს არ ვინდათ ჩემთან ლაპარაკი. მხოლოდ ბრაზობთ. [SEP]

ფრჩხილებს შეეშვა და დოინჭი შემოირტყა. [SEP]

— სინამდვილეში, ყველას ერთმანეთის გეშინიათ. თითოეულ თქვენგანს ეშინია, რომ სხვები რაღაცას გეგმავენ მის წინააღმდეგ. [SEP]

— იქნებ ჭობდეს, სახლში წახვიდე, — ცოტა ხნის შემდეგ უთხრა კრუქსმა, — პრობლემები არ გვჭირდება. [SEP]

— პრობლემებს არ შეგიქმნით. როგორ ფიქრობთ, მე არ მინდა, რომ ზოგჯერ ვინმეს გამოველაპარაკო? ფიქრობთ, ადვილია იმ სახლში გამოყრუებული ჭდომა? [SEP]

ქენდიმ მაჯა მუხლებზე დაიდო და მეორე ხელით ფრთხილად მოიქავა. [SEP]

— შენ ქმარი გყავს, — უთხრა ბრალმდებელივით, — და არ უნდა გაერიო

ჭონ სტაინბეკი

სხვა ვაცებში. გინდა, რომ შარის მიზეზი გახდე? [SEP]

გოგონა აენთო. [SEP]

– რა თქმა უნდა, ქმარი მყავს. ყველა ხედავთ მას. მაგარი ტიპია, ხო? მთელ დროს იმაში ხარჯავს, რომ იმუქრება, რას დამართებს იმათ, ვინც არ მოსწონს. მას კი არავინ მოსწონს. გვიჩვით მსიამოვნებს იმ საძაგელ სახლში ჭდომა და იმის სმენა, როგორ დაარტყამს ორჯერ ჩედიზედ მარჯვენა ხელით და მერე ერთს მარცხენით დაამატებს. ერთ-ორს კიდევ ვუთავაზებ, – იტყვის, – და იმის საქმე წასულია. [SEP]

ცოტა ხანს გაჩუმდა, დაღვრემილი სახე გაეხსნა და თითქოს გამოცოცხლდა. [SEP]

– მითხარით, რა მოუვიდა ქარლის ხელჩე? [SEP]

დაბნეულობისგან სიჩუმე ჩამოვარდა. ქენდიმ ლენის შეავლო თვალი, შემდეგ ჩაახველა. [SEP]

– ქარლის... ხელი მანქანაში მოჰყვა. და დაუზიანდა. [SEP]

გოგონა წამით დააკვირდა და შემდეგ გაიცინა. [SEP]

– რა სისულელეა! გვიჩვით მომატყუებთ? ქარლიმ რაღაც აურჩაური ატეხა და ბოლომდე თავი ვეღარ გაართვა. მანქანაში მოჰყვაო – სისულელე! რაც ხელი დაუსახიჩრდა, რაღაც გასუსულია. ვისგან მოხვდა? [SEP]

– მანქანაში მოჰყვა, – პირქუშად გაიმეორა ქენდიმ. [SEP]

– კარგი, – უთხრა გოგომ აგდებულად, – დააფარეთ ხელი, თუკი ასე გინდათ. რაში მენაღვლება? საკუთარ თავზე რაღაც დიდი წარმოდგენა გაქვთ. ბავშვი ხომ არ გვიჩვიართ? შემეძლო აქედან წავსულიყავი და სცენაზე მეთამაშა. ბევრჯერ მქონდა ამის შანსი. ერთი ტიპი დამპირდა, რომ ვინოში გადამიღებდა.. [SEP]

სიბრაზისგან სუნთქვა შეეკრა. [SEP]

– შაბათი საღამოა. ყველა ისე ერთობა, როგორც შეუძლია. ყველა. და მე რას ვაკეთებ? ვდგავარ, მანანნალებს ვეღაპარავები – ზანგს, ჩერჩეტსა და მოხუც აყროლებულ ცხვარს და მომზონს ეს, იმიტომ რომ მათ გარდა არავინაა. [SEP]

ლენი პირდაღებული შეჰყურებდა. ზანგმა ჩვეული ქედმაღლობის ნიღაბი მოირგო. მაგრამ უეცრად ქენდი შეიცვალა. წამოდგა და ლურსმნების კასრი,

თაგვებსა და ადამიანებზე

რომელზეც იჭდა, მთელი ძალით ფეხით უკან გაისროლა. [SEP]

— საკმარისია, — წარმოთქვა გაბრაზებულმა, — აქ არავის სჭირდები. ეს უკვე გითხარით. და კიდევ, ჩვენს ბიჭებზე მცდარი წარმოდგენა გაქვს. იმდენი ტვინიც არ გაქვს მაგ ქათმის თავში, რომ მიხვდე, მანანნალები არ ვართ. ვთქვათ და გაგვყარეთ აქედან. გვონია, ქუჩა-ქუჩა ვივლით და ისევ დავუწყებთ ძებნას ამ მათხოვრულ სამუშაოს ორი გროშის სანაცვლოდ? ვერც წარმოიდგენ, რომ ჩვენი საკუთარი რანჩო და სახლი გვაქვს, სადაც წავალთ და ვიცხოვრებთ. ისედაც არ გვინდა აქ დარჩენა. სახლიც გვაქვს, წინილებიც გვყავს, ხეხილის ბაღიც და ის ადგილი აქაურობაზე ასჭერ უფრო ლამაზია. და რაც მთავარია, მეგობრები გვყავს. შეიძლება, იყო დრო, აქედან გაგდების რომ გვეშინოდა, მაგრამ ეგ დრო წავიდა. ახლა უკვე წასასვლელი გამოგვიჩნდა. [SEP]

— რა სისულელეა, — დამცინავად თქვა ქარლის ცოლმა, — ბევრი თქვენნაირი მინახავს, ბიჭებო. გროშიც რომ გქონდეთ, მაშინვე სასმელის საყიდლად გაიქცეოდით და კარგად გამოთვრებოდით. ვიცნობ მე თქვენისთანებს. [SEP]

ქენდის ბრაზისგან სახე აუჭარხლდა. მაგრამ სანამ გოგო ლაპარაკობდა, ის თავს იკავებდა. [SEP]

— ასეც ვიცოდი, — თქვა მოხუცმა ჩუმად, — მგონი აჯობებს, სახლში დაბრუნდე. ჩვენი საქმისა ჩვენ ვიცით და საერთოდ არ გვანაღვლებს, ამაზე რას ფიქრობ. ამიტომ ყველაფერს აჯობებს, აქედან მოუსვა, თორემ ქარლის ალბათ არ მოეწონება, საჭინობოში მანანნალებთან რომ გნახოს. [SEP]

ქარლის ცოლს მჩერა ერთი სახიდან მეორეზე გადაჰქონდა, მაგრამ ყველას მის წინააღმდეგ შეეკრა პირი. სხვებზე დიდხანს ლენიზე შეაჩერა მჩერა, სანამ მან დაბნეულობისგან თვალები ძირს არ დახარა. [SEP]

— ეს სილურჭეები საიდან გაქვს სახეზე? — ჰკითხა გოგომ მოულოდნელად. [SEP]

ლენიმ დამნაშავის სახით ამოიხედა. [SEP]

— ვის, მე? [SEP]

— დიახ, შენ. [SEP]

ლენიმ საშველად ქენდი მოძებნა თვალებით და მერე ისევ ჩაჰვიდა თავი.

ჭონ სტაინბეკი

SEP

- ხელი მანქანაში მოჰყვა. [SEP]
ქენდის ცოლმა გაიცინა. [SEP]
- კარგი, მანქანაში. მოგვიანებით დაგელაპარაკები. მიყვარს მანქანები.

SEP

— ამ ბიჭს თავი დაანებე, — თავი გამოიდო ქენდიმ, — თავგზას ნუ ურევ. ჭორჭის ყველაფერს მოვუყვები. ჭორჭი არავის მისცემს ლენის გაბრაზების უფლებას. [SEP]

— ჭორჭი ვინაა? — პეითხა ქარლის ცოლმა, — ის პატარა ბიჭი, ვისთან ერთადაც აქ მოვიდა? [SEP]

ლენიმ გულიანად გაიცინა. [SEP]

— ეგაა, — თქვა მან, — სწორედ ეგაა, და ჭორჭი უფლებას მომცემს, რომ კურდღლებს მოვუარო. [SEP]

— თუ შენ მარტო ამაზე ოცნებობ, კურდღლები მეც შემიძლია მოგიყვანო.

SEP

— უკვე საკმარისია, — კრუქსი საწოლიდან წამოდგა და სახეში ჩახედა გოგოს, — ფერადვანიანის ოთახში შემოსვლის უფლება არ გაქვს, არც აქ ტრიალის. ახლა კი დროზე დატოვე აქაურობა. თუ არ წახვალ, ბოსს ვეტყვი და აღარასდროს მოგცემს საჭინიბოში შემოსვლის უფლებას. [SEP]

— მომისმინე, ზანგო, — ქარლის ცოლი ზიზღით მიუბრუნდა, — იცი, რა მოგივა, თუ პირის გაღებას გაბედავ? [SEP]

კრუქსმა უმწეოდ შეხედა, შემდეგ კი ისევ საწოლზე ჩამოჭდა და გაჩუმდა.

SEP

— იცი, რა შემიძლია? — გოგო უკან არ იხევდა. [SEP]

კრუქსი თითქოს დაპატარავდა და კედელს აეკრა. [SEP]

— დიახ, ქალბატონო. [SEP]

— ჰოდა, შენი ადგილი იცოდე, ზანგო. ჩემი ერთი სიტყვა და ხეზე ჩამოვკიდებენ. [SEP]

კრუქსისგან აღარაფერი დარჩა — თითქოს ყველა იმ თვისებისგან დაცარიელდა, რაც ავად თუ კარგად განაწყობდა მის მიმართ ადამიანს. მხოლოდ ერთს იმეორებდა. [SEP]

თაგვებსა და ადამიანებზე



— დიახ, ქალბატონო. — და მის ხმას უღერადობა დაეკარგა. [SEP]

ერთი წუთით გოგო გაჩერდა და თავზე წამოადგა ზანგს, თითქოს პასუხს ელოდა მისგან, რომ ისევ თავს დასხმოდა. მაგრამ კრუქსი გაუნძრევლად იჭდა. თვალები დაიბრმავა და ყველაფერი გულში ჩაიხვია. გოგო დანარჩენ ორს მიუბრუნდა. [SEP]

მოჭადოებული მოხუცი თვალს არ აშორებდა. [SEP]

— თუ ასე მოიქცევი, — უთხრა ქენდიმ, — ჩვენ დავიცავთ მეჭინიბეს და ვიტყვით, რომ იტყუები. [SEP]

— იტყვი და ჭანდაბამდე გზა გქონია, — დაუყვირა გოგომ, — შენ არავინ მოგისმენს და ეს კარგად იცი. არავინ მოგისმენს. [SEP]

— არა... — ქენდი დამშვიდდა, — არავინ მოგვისმენს. [SEP]

— ნეტავ ჭორჭი აქ იყოს. ნეტავ ჭორჭი აქ იყოს, — აზლუქუნდა ლენი. [SEP] ქენდი მისვენ გაემართა. [SEP]

— არ იდარდო, — უთხრა მან, — აი, ახლა გავიგონე, რომ ბიჭები დაბრუნდნენ. თავს დავდებ, ჭორჭი უკვე ფიცრულში იქნება. [SEP]

შემდეგ ქარლის ცოლს მიუბრუნდა. [SEP]

— ჭობია სახლში წახვიდე, — უთხრა აჩქარებით, — თუ მალე წახვალ, ქარლის დავუმალავთ, აქ რომ იყავი. [SEP]

— საიდან მოიტანე, რომ მოვიდნენ, არაფერი გამიგია, — მშვიდად მიუგო გოგომ. [SEP]

— გარისკვად არ ღირს, — უთხრა ქენდიმ, — თუ არ ხარ დარწმუნებული, ჭობია არ გარისკო. [SEP]

ქარლის ცოლი ლენის მიუბრუნდა. [SEP]

— მიხარია, რომ ქარლის ჭკუა ასწავლე. მაგის ბრალია. ზოგჯერ მეც მინდება, რომ გემრიელად ვუთავაზო. [SEP]

კარიდან გასხლტა და ჩაბნელებულ საჭინიბოში გაუჩინარდა. და სანამ საჭინიბოდან გავიდოდა, ჭაჭვის ღვედები ისევ აწკრიალდა, ცხენები აფრუტუნდნენ და ფეხების ბავუნი დაიწყეს. [SEP]

კრუქსი ნელ-ნელა გამოძვრა თავისი უხილავი საფარიდან. [SEP]

— მართალი იყო, რომ თქვი, ბიჭები დაბრუნდნენო? — ჰეითხა მან. [SEP]

— რა თქმა უნდა, გავიგონე. [SEP]



ჭონ სტაინბეკი

— მე არაფერი გამიგია. [P]

— კარის ხმა იყო, — თქვა ქენდიმ და გაწყვეტილ სათქმელს მიუბრუნდა, — ღმერთო ჩემო, ქარლის ცოლს უჩუმრად შეუძლია გასხლტომა. ეტყობა კარგი გამოცდილება აქვს. [SEP]

კრუესმა არაფერი თქვა. [P]

— ბიჭებო, მგონი ჭობია წახვიდეთ, — თქვა მან, — მარტო მინდა დარჩენა. შავვანიანსაც აქვს თავისი უფლებები, მიუხედავად იმისა, რომ ამისგან დიდი ვერაფერი ხეირია. [SEP]

— იმ ძუკნას შენთან ასე ლაპარაკის უფლება არ ჰქონდა, — უთხრა ქენდიმ. [P]
[SEP]

— ეგ არაფერი, — მიუგო კრუესმა უსიცოცხლოდ, — ბიჭებო, თქვენი აქ შემოსვლით დამავიწყეთ ყველაფერი. არადა, რასაც ის ამბობს, სიმართლეა. [P]
[SEP]

საჭინიბოში ცხენები აფრუტუნდნენ, ჭაჭვები აფლარუნდა და ხმა მოისმა. [P]

— ლენი, ლენი, საჭინიბოში ხარ? [P]

— ჭორჭია, — წამოიყვირა ლენიმ და მაშინვე გაეპასუხა, — აქ ვარ ჭორჭ, აქ ვარ. [P]

თვალის დახამხამებაში ჭორჭი ვართან იდგა და უკმაყოფილო სახით იყურებოდა შიგნით. [P]

— რას აკეთებ კრუესის ოთახში? შენთვის აქ არ შეიძლება. [P]

— ვუთხარი, მაგრამ მაინც შემოვიდნენ, — მიუგო კრუესმა. [P]

— და რატომ არ გამოყარე? [P]

— არ ვარ წინააღმდეგი, — უთხრა კრუესმა, — ლენი ვარგი ბიჭია. [P]

უეცრად ქენდიც გამოფხიბლდა. [P]

— ომ, ჭორჭ! ვითვლიდი და ვითვლიდი. ისიც ვი გამოვთვალე, იმ კურდღლებით ფული როგორ ვიშოვოთ. [P]

— მგონი გაგაფრთხილეთ, რომ ამაზე არსად გელაპარაკათ, — დაუბღვირა ჭორჭმა. [P]

ქენდი შეკრთა. [P]

— არც არავისთვის გვითქვამს, კრუესის გარდა. [P]

— ვარგი, წამოდით ახლა, — უთხრა ჭორჭმა, — ერთი წუთითაც ვერ

თაგვებსა და ადამიანებზე

მოეშვები კაცი. [P]

ქენდი და ლენი წამოდგნენ და კარისკენ გაემართნენ. [P]

— ქენდი! — დაუძახა კრუქსმა. [P]

— ჰო. [P]

— ხომ გახსოვს, რომ გითხარი, ბევრნაირი საქმის გავეთება შემიძლია-
მეთქი. [P]

— ვი, — მიუგო ქენდიმ, — მახსოვს. [P]

— ჰოდა, დაივიწყე, — უთხრა კრუქსმა, — ვიხუმრე, არ მინდა მანდ
წამოსვლა. [P]

— ვი ბატონო, თუ ასე გადაწყვიტე. ღამე მშვიდობისა. [P]

სანამ ფიცრულიდან გამოსულები საჭინიბოს მიუყვებოდნენ, ცხენების
ფრუტუნი და ჭაჭვის ღვედების წკრიალი არ წყდებოდა. [P]

კრუქსი საწოლზე წამოჭდა, ცოტა ხნით კარს მიაჩერდა და შემდეგ
თხევადი საცხის ბოთლს დასწვდა, პერანგი შარვლიდან ამოიჩაჩა,
ვარდისფერ ხელისგულზე ცოტაოდენი საცხი დაისხა და დინჯად გაიზილა
ხერხემალი. [P]

უზარმაზარი საჭინიბოს ერთ ბოლოში, ახალი თივის ზეინში ოთხთითა
ჰექსონის ფიწლები იყო ჩარჩობილი. თივა მთის ფერდობივით ეშვებოდა
საჭინიბოს მეორე ბოლოსკენ — სწორედ იქ დაეტოვებინათ თავისუფალი
ადგილი ახალი თივის დასაყრელად. კედლების გასწვრივ საქონლის ბაგა
იყო და წანწალებს შორის ცხენების თავები მოჩანდა. [P]

კვირა საღამო იდგა. ცხენები ისვენებდნენ და თივის ნარჩენებს ზანტად
ცოხნიდნენ, ფეხებს აბაკუნებდნენ, ფეხის ჩლიქებს ხის ბაგას ურტყამდნენ და
ჭაჭვის ღვედებს ანკარუნებდნენ. საღამოხანს მზემ საჭინიბოს კედლების
ნაპრალებში შეატანა და თივას დიდრონ სხივებად დაეფინა. სიცხიანი
საღამო ბუზებისთვის მისრება აღმოჩნდა. [P]

გარედან ნალის წკრიალისა და დამცინავი თუ გამამხნევებელი
შეძახილების ხმა შემოდიოდა. საჭინიბოში ვი სიმშვიდე სუფევდა, ზუზუნი,
მოთენთილობა და სიცხე. [P]

თავლაში მხოლოდ ლენი იყო. ლევების ყუთთან იჭდა, თივაში, ბაგასთან
ახლოს, საჭინიბოს ბოლოში, რომელიც თივით ჭერ არ გაევსოთ. იჭდა და

ჭონ სტაინბეკი

შესცექეროდა მკვდარ ლეკვს, მის წინ რომ ესვენა. დიდხანს აკვირდებოდა, შემდეგ უზარმაზარი ტორებით თავით ფეხებამდე მოეფერა და ჩუმად ჰკითხა:

— რატომ მოკვდი? თაგვივით პატარა ხომ არ ხარ? მე ხომ ფრთხილად გეფერებოდი? [SEP]

ლეკვს თავი აუნია და სახეში ჩახედა. [SEP]

— ახლა შეიძლება აღარ მომცეს ჭორჭმა კურდღლების მოვლისუფლება, — შესჩივლა ლეკვს, — თუ გაიგებს, რომ შენც მომიკვდი. [SEP]

პატარა ორმო ამოთხარა, შიგ ლეკვი ჩააწვინა და თივა დააყარა ჩემოდან, თვალს მიაფარა. [SEP]

— მაგრამ ისეთი არაფერი დამიშავებია, რომ იმ ადგილას გავიქცე და ბუჩქებში დავიმალო, — თქვა მან, — არა, არა, ისეთი არაფერია, ჭორჭა ვეტყვი, რომ მკვდარი ვიპოვვე. [SEP]

ლეკვი თივიდან ამოიყვანა, შეათვალიერა და ისევ თავიდან ფეხებამდე მოეფერა. [SEP]

— მაგრამ ის მიხვდება, — განაგრძობდა დამწუხრებული, — ჭორჭი ყოველთვის ხვდება. მეტყვის, ეს შენ გააკეთე და ჩემს მოტყუებას ნუ ცდილობო. და კურდღლების მოვლის უფლებას აღარ მომცემს. [SEP]

— ეშმაკმა დასწყევლოს, — იყვირა უცებ გაბრაზებულმა, — რატომ მოკვდი? თაგვივით პატარა ხომ არ ხარ? [SEP]

ლეკვი ხელში აიყვანა და შორს მოისროლა, შემდეგ ზურგი შეაქცია. [SEP]

— ახლა კურდღლებს ვეღარ მოვუვლი, — ლენიძ ჩაიმუხლა და ჩაიჩურჩულა, — ამის უფლებას აღარ მომცემს. [SEP]

მწუხარებისგან ადგილს ვერ ჰოულობდა. [SEP]

გარეთ, რვინის სარჩე, ცხენის ნალის წვრიალი გაისმა, რასაც გუნდური შეძახილი მოჰყვა. ლენი წამოდგა და ლეკვი თივაზე დააწვინა, ჩამოჭდა და მისი მოფერება განაგრძო. [SEP]

— შენ ჭერ პატარა იყავი, — უთხრა მან, — სულ მეუბნებოდნენ, პატარა არისო. არ მეგონა, თუ ასე უცებ მომიკვდებოდი. [SEP]

— იქნებ ჭორჭმა სულაც არ ინაღვლოს, — ამბობდა და თითებს რბილ ყურჩე უსვამდა, — იმ ნაბიჭვარზე ხომ თქვა, არაფერიაო. [SEP]

თაგვებსა და ადამიანებზე

უცებ ბოლო ბაგასთან ქარლის ცოლი გამოჩნდა. ისე ფეხავრეთით შემოვიდა, რომ ლენის არც დაუნახავს. ნათელი ბამბის ქსოვილის კაბა და ფეხზე სირაქლემის წითელი ბუმბულით მორთული ფლოსტები ეცვა, სახე ფერ-უმარილით მოერთო – უხდებოდა სოსისივით დაყრილი დალალებიც. ლენიმ რომ შეამჩნია, გოგო უკვე ძალიან ახლოს მოსულიყო. დაფეთებულმა უცებ მიაყარა ლეკვს თივა და დაღვრემილმა გამოხედა. [SEP]

– მანდ რას აკეთებ, ბიჭო? – ჰეითხა გოგომ. [SEP]

ლენი შეაცემერდა. [SEP]

– ჭორჭმა მითხრა, რომ შენთან არაფერი მესაქმება, არც უნდა დაგელაპარაკო და არც არაფერი. [SEP]

– ყველაფერზე ჭორჭკი გაძლევს მითითებებს? – გაიცინა გოგონამ. [SEP]

ლენიმ თივას დახედა. [SEP]

– მეუბნება, რომ კურდღლების მოვლის უფლებას არ მომცემს, თუ დაგელაპარაკები. [SEP]

– ქარლის გაბრაზება არ უნდა, – უთხრა გოგომ მშვიდად, – ქარლის ხელი თაბაშირში აქვს ჩასმული და თუ კიდევ დაგესხმება თავს, მეორე ხელსაც მოამტვრევ. და არც კი იფიქრო ჩემი მოტყუება, თითქოს ხელი მანქანაში მოჰყვა. [SEP]

– არა, მე შენ არ დაგელაპარაკები, – ლენი არ ნებდებოდა. [SEP]

– მისმინე, – გოგონამ მის წინ, თივაზე ჩაიმუხლა, – ბიჭები ნალით თამაშობენ. ახლა ოთხი საათია. ჭერ ცოცხალი თავით არ შეეშვებიან თამაშს. რატომ არ შეიძლება, რომ გელაპარაკო? არასდროს არავინ მელაპარაკება. ყოველთვის მარტო ვარ. [SEP]

– არ მაქვს შენთან ლაპარაკის უფლება, – მიუგო ლენიმ. [SEP]

– მე მარტო ვარ, – უთხრა გოგომ, – შენ შეგიძლია ხალხს ელაპარაკო, მე კი ვერავის დაველაპარაკები, ქარლის გარდა. იმიტომ რომ გაბრაზდება. როგორ მოგეწონებოდა, ვერავის რომ ვერ გამოელაპარაკო? [SEP]

– არ შეიძლება. ჭორჭმა მითხრა, რომ შარში გავეხვევი, – უთხრა ლენიმ. [SEP]

– იქ რა დამალე? – გამომცდელად ჩაეკითხა ქარლის ცოლი. [SEP]

ლენის თავისი გასაჭირი გაახსენდა. [SEP]



ჭონ სტაინბეგი

- ჩემი ლეკვი, – თქვა სევდიანად, – ჩემი პატარა ლეკვი, – და ზემოდან დაყრილი თივა მოაშორა. [SEP]
- მკვდარი რატომაა? – წამოიყვირა გოგონამ. [SEP]
- ის ისეთი პატარა იყო, – უთხრა ლენიმ, – უბრალოდ ვეთამაშებოდი... უცებ ჩემი კბენა დააპირა... ვითიქრე, ცოტას ჩავარტყამ-მეთქი, ის კი მოკვდა. [SEP]
- არ იდარდო, ლეკვი იყო, სხვა ხომ არაფერი. მის შემცვლელს ადვილად იპოვი. ქვეყანა სავსეა ლეკვებით. [SEP]
- მაგიტომ არა, – უთხრა ლენიმ საწყალობლად, – ახლა ჭორჭი კურდღლების მოვლის უფლებას არ მომცემს. [SEP]
- რატომ? [SEP]
- მითხრა, რომ თუ კიდევ რამეს დავაშავებდი, კურდღლების მოვლის უფლებას არ მომცემდა. [SEP]
- გოგონა მიუახლოვდა და დამშვიდება დაუწყო. [SEP]
- იმაზე არ იდარდო, მე რომ მელაპარაკები. გესმის, ბიჭები ისევ ყვირიან გარეთ. ოთხ დოლარზე არიან დანაძლევებული. სანამ ბოლომდე არ მიიყვანენ საქმეს, იქიდან ფეხს არავინ მოიცვლის. [SEP]
- ჭორჭმა რომ დამინახოს, ვერ გადავურჩები, – თქვა ლენიმ ფრთხილად,
- თვითონ ასე მითხრა. [SEP]
- გოგონას სახეზე ბრაზი მოერია. [SEP]
- ასეთი რა მჭირს? – იყვირა მან, – არ მაქვს უფლება, რომ ვინმეს დაველაპარაკო? ბოლოს და ბოლოს, ასეთი ვინგვონივართ? შენ კარგი ბიჭი ხარ. არ მესმის, რატომ არ შეიძლება დაგელაპარაკო? ცუდს ხომ არაფერს ვაკეთებ. [SEP]
- ჭორჭი ამბობს, რომ შარში გაგვხვევ. [SEP]
- აჲ, რა სისულელეა, – უთხრა მან, – რას გიშავებ? იმათ ფეხებზე ჰკიდიათ, მე როგორ ვცხოვრობ. იცი, ყოველთვის ასე კი არ ვცხოვრობდი. შეიძლება წარმატებისთვისაც კი მიმეღწია. და ჭერ კიდევ შემიძლია მივაღწიო, – დაამატა ბოლოს. [SEP]
- და შემდეგ სწრაფად და გატაცებით დაიწყო მოყოლა, თითქოს სათქმელის მოსწრებას ცდილობდა, სანამ ჭერ კიდევ ვიღაც უსმენდა. [SEP]

თაგვებსა და ადამიანებზე

— სალინასში ვცხოვრობდი, — უთხრა მან, — ბავშვი ვიყავი, იქ რომ წამიყვანეს. ერთხელ თეატრის დასი ჩამოვიდა და ერთი მსახიობი გავიცანი. მითხრა, რომ შემეძლო გავყოლოდი მათ თეატრს, მაგრამ დედამ ნება არ დამრთო, ჰერ მხოლოდ თხუთმეტი წლის ხარო. მაგრამ ის მსახიობი ბიჭი ამბობდა, რომ შემეძლო მათთან ერთად ყოფნა. დარწმუნებული იყავი, მათ რომ წავყოლოდი, დღეს, აი, ასე ნამდვილად არ ვიცხოვრებდი. [SEP]

— ჩვენ პატარა რანჩო გვექნება... და კურდღლები, — ლენი განუწყვეტლივ ეფერებოდა ლეკვს. [SEP]

გოგონამ კი, იმის შიშით, საუბარს გამაწყვეტინებსო, სწრაფად განავრძო ამბის თხრობა. [SEP]

— ერთხელ კი, კიდევ ერთ კაცს შევხვდი, კინოში მუშაობდა. საცეკვაოდ რივერ საიდის ცეკვის სასახლეში გავყევი. დამპირდა, რომ კინოში გადამიღებდა. თქვა, რომ ძალიან ნიჭიერი ვარ. პოლიციურში რომ დაბრუნდებოდა, ჩემთვის უნდა მოეწერა. [SEP]

გოგონამ ახლოდან შეხედა ლენის, რომ დარწმუნებულიყო, იმოქმედა თუ არა მისმა ნაამბობმა. [SEP]

— ბარათი არასდროს მიმიღია, — განავრძო მან, — ვფიქრობ, დედამ დამიმალა. პოდა, აღარ მინდოდა იქ დარჩენა, სადაც ცხოვრებაში ვერაფერს მივაღწევდი და თან ბარათებსაც დამიმალავდნენ. ვკითხე, შენ ხომ არ დამიმალე-მეთქი და იუარა. პოდა, ქარლის გავყევი ცოლად. ისიც სწორედ იმ საღამოს გავიცანი რივერ საიდის ცეკვის სასახლეში. მისმენ? — დაჟინებით ჩაეკითხა. [SEP]

— მე? რა თქმა უნდა. [SEP]

— აქამდე არავისთვის მითქვამს და იქნებ ასეც ჭობდეს. მოკლედ, მე არ მიყვარს ქარლი. ის კარგი ბიჭი არ არის. [SEP]

და იმით გულმოცემული, რომ საიდუმლო გაანდო, გოგონა კიდევ უფრო მიუახლოვდა ლენის და მის წინ მოკალათდა. [SEP]

— შემეძლო ფილმებში მეთამაშა და ლამაზი ტანსაცმელი მქონოდა, ზუსტად ისეთი, იმათ რომ აცვიათ. ვიცხოვრებდი დიდ სასტუმროებში და ფოტოგრაფები გადამიღებდნენ. ვივლიდი ყველა ჩვენებაზე და რადიოშიც გამოვიდოდი, თანაც ისე, რომ ამაში გროშიც არ დამეხარჯებოდა, მე ხომ



ჭონ სტაინბეკი

მსახიობი ვიქენებოდი. დანარჩენებივით მეც ლამაზ ტანსაცმელში გამოვეწყობოდი. იმ კაცმა ხომ მითხრა, ნიჭიერი ხარო. [SEP]

შემდეგ ლენის ახედა და თავისი არტისტული ნიჭის დამადასტურებლად, ხელით პატარა ჟესტი გააკეთა: თითებით პაერში გლუვი თაღი მოხაზა, ნეკა თითი გრაციოზულად ასწია და დანარჩენ თითებს დააშორა. [SEP]

ლენიმ ღრმად ამოიოხრა. გარედან ისევ ნალის რკინაზე გაფლარუნების ხმა შემოვიდა, რასაც მოწონების შეძახილები მოჰყვა. [SEP]

— ვიღაცამ მიზანში მოახვედრა, — თქვა ქარლის ცოლმა. [P]

მზე ჩადიოდა და სინათლეც ზევით მიინვედა, მზის სხივები ჰერ კედელზე აცოცდა, შემდეგ ბაგას დაეცა და ბოლოს ცხენების თავებს. [SEP]

— ეს ლეკვი რომ წავიყვანო და სადმე მოვისროლო, იქნებ ჭორჭი ვერც ვერასდროს მიხვდეს, — თქვა ლენიმ, — და კურდღლების მოვლაშიც არაფერი შემიშლის ხელს. [SEP]

— კურდღლების გარდა, სხვა საფიქრალი არაფერი გაქვს? — გაბრაზდა ქარლის ცოლი. [SEP]

— ჩვენ პატარა რანჩო გვექნება, — აუხსნა ლენიმ მშვიდად, — სახლი გვექნება, ბაღი, იონჯას ნაკვეთი, იონჯა — კურდღლებისთვის. მე ტომარას ავიღებ, იონჯათი გავავსებ და კურდღლებს მივუტან ხოლმე. [SEP]

— კურდღლებზე ასე რატომ გიჟდები? — ჰკითხა გოგონამ. [P]

ლენი დიდხანს ჩაფიქრდა, სანამ ახსნას მოიფიქრებდა. გოგონას ფრთხილად მიუახლოვდა. [P]

— ფაფუკი რაღაცების მოფერება მიყვარს. ერთხელ ბაზრობაზე შემთხვევით ვნახე გრძელთმიანი კურდღლები. ვიცი, ვარგი იქნება მათი მოფერება. ზოგჯერ თაგვებსაც ვი ვეფერები ხოლმე, ოღონდ მაშინ, როცა უკეთესს ვერაფერს ვპოულობ. [SEP]

— მგონი გიჟი ხარ, — უთხრა ქარლის ცოლმა და ოდნავ მოშორდა ლენის. [P]

— არა, არ ვარ, — დამაჯერებლად მიუგო ლენიმ, — ჭორჭი ამბობს, რომ არ ვარ. ფაფუკი რამეების მოფერება მიყვარს თითებით. [P]

— ვის არ უყვარს, — გოგონამ თითქოს დაუჭერა, — ეგ ყველას უყვარს. მე აბრეშუმისა და ხავერდის შეხება მიყვარს. შენ გიყვარს ხავერდი? [P]

თაგვებსა და ადამიანებზე



ლენიმ სიამოვნებისგან ჩაიხითხითა. [SEP]

– თანაც როგორ, – წამოიყვირა ბეღნიერმა, – მქონდა კიდეც. ერთმა ქალმა მომცა და ის ქალი ჩემი დეიდა კლარა იყო. დიდი ნაჭერი მომცა. ნეტავ ახლაც მქონდეს ის ხავერდი. [SEP]

და უცებ კოპები შევრა. [SEP]

– დავკარგე, – თქვა გამწყრალმა, – დიდი ხანია არ შემხვედრია. [SEP]

– რა სულელი ხარ, – გაუცინა ქარლის ცოლმა, – მაგრამ კარგი ბიჭი ხარ. დიდ ბავშვს ჰგავხარ. მგონი მესმის შენი. როცა თმას ვივარცხნი, ზოგჯერ ვეფერები ხოლმე, იმიტომ რომ ჩემი თმა ძალიან ფაფუკია. [SEP]

იმისთვის, რომ ეჩვენებინა, ამას როგორ აკეთებდა, თმის ძირებიდან ბოლომდე ხელები ჩამოისვა. [SEP]

– ზოგს უხეში თმა აქვს, – თქვა თავმომწონედ, – აგერ ქარლი. მისი თმა მავთულებივითაა. მაგრამ ჩემი – ფაფუკი და მშვენიერია. იმიტომ რომ ხშირად ვივარცხნი. ეს ამშვენიერებს. აი, აქ, ნახე. – ლენის ხელი გამოართვა.

– აი, ხელი მოუსვი და ნახავ, როგორი ფაფუკია. [SEP]

ლენიმ თავისი დიდრონი თითები შეაცურა გოგოს თმაში. [SEP]

– ოღონდ არ ამირიო, – გააფრთხილა ქარლის ცოლმა. [SEP]

– ოჟ, რა მშვენიერია, – თქვა ლენიმ და მოუხშირა მოფერებას, – ოჟ, მშვენიერია. [SEP]

– ფრთხილად, თმას ამირევ, – უთხრა გოგომ და შემდეგ გაბრაზებულმა დაუყვირა, – ხელი გაუშვი, თმას ამირევ-მეთქი. [SEP]

გოგონა თავის გათავისუფლებას ცდილობდა, მაგრამ ლენი თითებით მის თმას ჩაფრენოდა. [SEP]

– გამიშვი, – ყვიროდა გოგონა, – გამიშვი. [SEP]

ლენის სახე დაებრიცა. ამ დროს გოგონამ დაიკიფლა და ლენიმ პირისახეზე ააფარა მეორე ხელი. [SEP]

– გთხოვ, არ ვინდა, – სთხოვდა ლენი გოგოს, – ასე ნუ იქცევი. ჭორჭი გაგიჟდება. [SEP]

მის მკლავებში მომწყვდეული გოგონა კი მთელი ძალით იბრძოდა. ფეხებს თივას ურტყამდა, ხაოდა და იკრუნჩხებოდა, თავი რომ გაეთავისუფლებინა. ლენიმაც შიშისგან ყვირილი მორთო. [SEP]



ჭონ სტაინბეკი

— ოჰ, გთხოვ, ასე ნუ იქცევი, — ევედრებოდა ლენი, — ჭორჭი იტყვის, რომ ცუდ რამეებს ვაკეთებ. კურდღლების მოფერების უფლებას აღარ მომცემს. [SEP]

გოგოს პირისახეს სულ ოდნავ მოაშორა ხელი — ქარლის ცოლს მოგუდული ხმა აღმოხდა. ლენი გაბრაზდა. [SEP]

— ასე არ უნდა მოიქცე, — უთხრა მან, — ნუ ყვირი. შარში გამხვევ, ზუსტად ისე, როგორც ჭორჭი ამბობდა. გაჩუმდი. [SEP]

გოგონა კი არ ეპუებოდა. შიშისგან თვალები შეშლილივით ჰქონდა. [SEP]

— გეყოფა ყვირილი, — ლენიმ შეანკლრია, ძალიან გაბრაზებული იყო. გოგონა თევზივით შეფართხალდა და მოეშვა. ლენიმ კისერი მოუგრიხა. მერე დახედა და ფრთხილად მოაშორა პირიდან ხელი. გოგონა გაუნძრევლად იწვა. [SEP]

— არ მინდოდა შენთვის რამე დამეშავებინა, — უთხრა მან, — მაგრამ ჭორჭი გამიბრაზდება, შენ თუ იყვირებ. [SEP]

გოგონა გაუნძრევლად იწვა, ლენი დაიხარა, მისი ხელი ასწია, შემდეგ ძირს დაუშვა და შეძრნუნებულმა შიშით ჩაიჩურჩულა. [SEP]

— დავაშავე, კიდევ ერთხელ დავაშავე. [SEP]

შემდეგ კი თივა მიაყარა, სანამ სანახევროდ არ დაფარა გოგონას სხეული. [SEP]

გარედან ისევ ხმამაღალი შეძახილები და ნალების რკინაზე ჟღარუნი ისმოდა. ლენი ახლაღა დაინტერესდა იმით, რაც გარეთ ხდებოდა. თივაზე თავი დადო და მიაყურადა. [SEP]

— ძალიან ცუდი რამ ჩავიდინე, ეს არ უნდა გამეკეთებინა. ჭორჭი გამიბრაზდება. და... ბუჩქებში უნდა დავიმალო, სანამ ის არ მომავითხავს. გამიბრაზდება. ბუჩქებში... სანამ არ მომავითხავს. ზუსტად ასე მითხრა. [SEP]

ლენი უკან გაბრუნდა და ცხედარს დახედა. ლევიც მასთან ახლოს იწვა. [SEP]

— საღმე გადავაგდებ, — ხელი დაავლო ლევის, — უამისოდაც საკმარისია. [SEP]

ლევი ქურთუვის ქვეშ დამალა, საჭინიბოს კედელთან მიიპარა და ნაპრალებიდან გახედა იმ ადგილს, სადაც ნალით თამაშობდნენ. შემდეგ კი ბოლო ბაგისკენ წავიდა და საჭინიბოდან აორთქლდა. [SEP]

საჭინიბოში თანდათან ჩამობნელდა. ქარლის ცოლი გულაღმა იწვა,

თაგვებსა და ადამიანებზე

თივით სანახევროდ დაფარული. სიჩუმე იყო და რანჩოშიც საღამოს მყუდროებას დაესადგურებინა. ნალის წვარუნისა და შეძახილების ხმაც თითქოს მისუსტდა. გარეთ ჭერ კიდევ დღე იყო, საჭინიბოში კი ბნელოდა. თავლაში ღია ვარიდან მტრედი შემოფრინდა, პაერში ვამარა შეკრა და ისევ უკან გაფრთხიალდა. ბაგის უკანა შემოსასვლელთან ძუ ნაგაზი გამოჩნდა, ჭიქნები სიმძიმისგან ჩამონელილი ჰქონდა. ლეკვების ყუთისკენ მიმავალმა გვამის სუნი იყნოსა და თმა ყალყზე დაუდგა, ანკუმუტუნდა, მუცელზე ხოხვით მივიდა ყუთამდე და ლეკვებთან ისკუპა. [SEP]

ქარლის ცოლს სხეულზე თივა სანახევროდ ეყარა. ტანკვა, მღელვარება, თავმოწონება და ყურადღების მიპყრობის ჟინი – ერთიანად გამქრალიყო მისი სახიდან. ძალიან ლამაზი და უბრალო ჩანდა, მომხიბლავი და ახალგაზრული შესახედაობა ჰქონდა. მისი ფერ-უმარილიანი ლოყები და წითლად შეღებილი ტუჩები სიცოცხლის ელფერს აძლევდა, თითქოს მშვიდად ეძინა. დალალები, პატარა სოსისებივით რომ ეყარა, მის თავს უკან თივაზე გადაშლილიყო, პირი ოდნავ ღია დარჩენოდა. [SEP]

დრო თითქოს ერთი წუთით გაჩერდა. შეწყდა მოძრაობა, ხმა არსაიდან ისმოდა, ყველაფერი ერთ ადგილას გაქვავდა. [SEP]

შემდეგ კი დრომ თანდათან გამოიღვიძა და ზლაზვნით განაგრძო სვლა. ცხენები ბაგას ფეხებს ისევ უბავუნებდნენ და ჭაჭვის ღვედებიც აწკრიალდა. გარედანაც შეძახილები უფრო გარკვევით და ხმამაღლა მოისმა. [SEP]

სულ ბოლო ბაგასთან ქენდის ხმა გაისმა. [SEP]

– ლენი, – იძახდა ქენდი, – ლენი, აქ ხარ? ისევ ვითვლიდი კურდღლებს. გინდა გითხრა, რა მოვიფიქრე? ლენი! [SEP]

შემდეგ გაჩერდა და სხეული დაეჭიმა. თავისი ჭოხის ტარივით მაჭა თეთრ ბავენბარდებზე მოისვა. [SEP]

– არ ვიცოდი, აქ თუ იყავი, – უთხრა ქარლის ცოლს. [SEP]

გოგო არ გაეპასუხა. [SEP]

– აქ დაძინება არ შეიძლება, – უთხრა მკაცრად და თავზე წამოადგა. [SEP]

– ოჰ, ღმერთო ჩემო! [SEP]

ირგვლივ უმჩეოდ მიმოიხედა და ისევ წვერი მოიქექა. შემდეგ შებრუნდა და სწრაფად გავარდა საჭინიბოდან. [SEP]



ჭონ სტაინბეგი

საჭინიბო უკვე გამოცოცხლებულიყო. ცხენები ფეხებს აბაკუნებდნენ და ფრუტუნებდნენ, თივას ცოხნიდნენ და ჰაჭვის ღვედებს აწვარუნებდნენ. ქენდი მალევე ჭორჭან ერთად დაბრუნდა უკან. [SEP]

— რა უნდა გეჩვენებინა? — ჰეითხა ჭორჭან. [SEP]

ქენდიმ ქარლის ცოლზე მიანიშნა. ჭორჭან მიაჩერდა. [SEP]

— რა სჭირს? — მიუახლოვდა და მასაც ქენდივით აღმოხდა, — ღმერთო ჩემო! [SEP]

ცხედრის წინ მუხლებზე დაეცა და გულზე ხელი დაადო. მერე კი ნელა და გახევებული წამოდგა, სახე გაყინვოდა და თვალები გაშტერებოდა. [SEP]

— ვის უნდა გაეკეთებინა? — ჰეითხა ქენდიმ. [SEP]

— განა ვერ ხვდები? — ცივად შეხედა ჭორჭან. ქენდი გაისუსა. — წინასწარ უნდა მივმხვდარიყავი ამას, — თქვა უმნეოდ, — გულის სიღრმეში ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ასე მოხდებოდა. [SEP]

— ახლა რა ვქნათ, ჭორჭან, — ჰეითხა ქენდიმ, — ახლა რა ვქნათ? [SEP]

— რა და... უნდა ვუთხრათ... ბიჭებს, — თქვა ჭორჭან ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ. — უნდა დავიჭიროთ და გამოვკეტოთ. მაგის გაქცევა არ შეიძლება, საბრალო ნაბიჯვარს ხომ შიმშილით ამოხდება სული. [SEP]

და შეეცადა ამაში საკუთარი თავიც დაერწმუნებინა. [SEP]

— იქნებ გამოკეტონ საღმე და ასეც ჭობდეს მისთვის. [SEP]

— გაქცევაში უნდა დავეხმაროთ! — იყვირა აღელვებულმა ქენდიმ, — შენ ქარლის არ იცნობ. ლინჩის წესით მოისურვებს სამაგიეროს გადახდას. წამებით სულს ამოხდის. [SEP]

ჭორჭან თვალს არ აშორებდა ქენდის. [SEP]

— ჟო, — თქვა ბოლოს, — ქარლი ასე მოიქცევა. და სხვა ბიჭებიც. [SEP]

და ისევ ქარლის ცოლს შეხედა. [SEP]

— მე და შენ შეგვიძლია იმ პატარა რანჩის ყიდვა, — უცებ ვერ მოითმინა ქენდიმ, — ასე არ არის, ჭორჭან? ჩვენ შეგვიძლია იქ წავიდეთ და მშვიდად ვიცხოვოროთ, არა, ჭორჭან? ასე არ ფიქრობ? [SEP]

სანამ ჭორჭანი რამეს იტყოდა, ქენდიმ თავი ჩაჰვიდა და თივას მიაჩერდა. წინასწარ იცოდა პასუხი. ჭორჭან ჩუმად მიუგო. [SEP]

— ალბათ თავიდანვე ყველაფერი ვიცოდი, რომ არაფერი

თაგვებსა და ადამიანებზე

გამოგვივიდოდა. ისე უყვარდა ამ ამბის მოსმენა, ვიფიქრე, იქნებ კიდეც გამოგვივიდეს-მეთქი. [SEP]

— აბა, ყველაფერი დასრულდა? — ჰეითხა ქენდიმ დამწუხრებულმა. [SEP]

ჭორჭის არაფერი უპასუხია. [SEP]

— ერთი თვე ვიმუშავებ, ავიღებ ჩემს ორმოცდაათ დოლარს, — თქვა ბოლოს, — შემდეგ კი მთელი ღამით ბორდელში წავალ ან საბილიარდოში ვითამაშებ იქამდე, სანამ ყველა არ დაიშლება. მერე დავბრუნდები, ვიმუშავებ კიდევ ერთი თვე და ისევ ავიღებ ორმოცდაათ დოლარს. [SEP]

— ის ისეთი კარგი ბიჭია, — უთხრა ქენდიმ, — არა მგონია, მისი გავეთებული იყოს. [SEP]

— ლენი ამას ბოროტებით არასდროს ჩაიდენდა, — ჭორჭი ისევ მიაჩერდა ქარლის ცოლს, — სულ რაღაცას აშავებს, მავრამ ეს სიავით არასდროს მოსდის. — შემდეგ ქენდის მიუბრუნდა, — ახლა მისმინე. ბიჭებს უნდა ვუთხრათ. უნდა დაიჭირონ, სხვა გზა არაა. იქნებ არაფერი დაუშავონ, ლენის მოკვლის უფლებას არ მივცემ. კარგად მომისმინე. ბიჭებმა შეიძლება იფიქრონ, რომ მეც გარეული ვარ ამ საქმეში. ამიტომ აჯობებს ფიცრულში წავიდე. ერთ წუთში კი შენ გამოდი და უთხარი გოგოზე, მეც ამ დროს გამოვალ, თითქოს პირველად ვიგებ ამ ამბავს. გაავეთებ ამას? ისე, რომ ბიჭებს არ ეგონოთ, რომ მეც გარეული ვარ. [SEP]

— რა თქმა უნდა, ჭორჭ, — უთხრა ქენდიმ, — რა თქმა უნდა, გავაკეთებ. [SEP]

— კარგი, მაშინ რამდენიმე წუთი მომეცი, და მერე სირბილით გამოიქეცი საჭინიბოდან და უთხარი, რომ ეს-ესაა დაინახე. წავედი. [SEP]

ჭორჭი შებრუნდა და საჭინიბოდან გავიდა. მოხუცმა ქენდიმ თვალი გააყოლა, შემდეგ კი უმწეოდ გამოხედა ქარლის ცოლს. [SEP]

— შე წყეულო გათახსირებულო, — მოხუცის ხმას ბოლმა, მწუხარება და სიბრაზე შერეოდა, — შენსას მიაღწიე, არა? ახლა ალბათ კმაყოფილი ხარ. ვიცოდით, რომ ყველაფერს თავდაყირა დააყენებდი. შენგან რა ხეირი გვქონდა? ან ახლა რას გამოგრჩებით, საძაგელო ბოზო? — ქენდის აღელვებისგან ხმა გაებზარა, — ბაღში ვიმუშავებდი, ბიჭებისთვის ჭურჭელს გავრეცხავდი, — ცოტა ხანს შეყოვნდა და შემდეგ განაგრძო, ძველ სიტყვებს იმეორებდა, — ცირკი თუ ჩამოვიდოდა ან ბეისბოლის მატჩი გაიმართებოდა...

ჭონ სტაინბეკი

წავიდოდით საყურებლად... ვიტყოდით, ეშმაკმაც დასწყევლოს ჩვენი სამუშაო, და წავიდოდით. არავის ვკითხავდით ნებართვას... გოჭები და წინილები გვეყოლებოდა... და ზამთარში... თბილი ღუმელი... და როცა იწვიმებდა... ღუმელთან ვისხდებოდით. [SEP]

აცრემლებულს თვალთ დაუბნელდა, შეტრიალდა, საჭინიბოდან მობუზული გავიდა და ბავენბარდები მაჭით მოიქავა. [SEP]

ერთმანეთში აირია შეკითხვების მთელი წყება და საჭინიბოსკენ დაძრული კაცების ფეხის ხმა. ჭერ სლიმი და კარლსონი, ახალგაზრდა უიტი და ქარლი, მათ უკან კი კრუქსი იდგა. შემდეგ ქენდი შემოვიდა და ყველაზე ბოლოს – ჭორჭი. ჭორჭს ლურჯი ქურთუკი ჩაეცვა და ღილები შეეცვა, შავი შლაპა კი თვალებზე ჰქონდა ჩამოფხატული. კაცები ბოლო ბაგასთან ჩამჩვრივდნენ. სიბრელეში თვალებით მოძებნეს ქარლის ცოლი, გაჩერდნენ და გაშეშებული შესცემეროდნენ. [SEP]

სლიმი უჩუმრად მიუახლოვდა და მაჭა შეუმოწმა. საჩვენებელი თითით ჭერ ლოყაზე ჩამოუსვა, შემდეგ კი ოდნავ მოხრილი კისრისკენ გააცერა და კისერი კარგად შეუმოწმა. ფეხზე რომ წამოდგა, კაცები ცხედარს შემოეხვივნენ, წამიერი დაბნეულობა დასრულდა. [SEP]

ქარლი უეცრად გონს მოეგო. [SEP]

— ვიცი, ვისი გავეთებულიცაა, — იყვირა მან, — იმ ნაბიჭვარმა გაავეთა. ვიცი, რომ იმან გაავეთა. სხვა ყველა გარეთ იყო და ნალით თამაშობდა. [SEP]

სიბრაზე თანდათან ემატებოდა. [SEP]

— უნდა დავიჭირო. ახლავე ჩემს თოფს მოვიტან. მე თვითონ უნდა მოვკლა ის ნაბიჭვარი. ნაწლავებს ამოვედებ. წავედით, ბიჭებო. [SEP]

საჭინიბოდან გააფთრებული გავარდა. [SEP]

— ჩემს ლუგერს აფილებ, — თქვა კარლსონმა. [SEP]

— როგორც ვხვდები, ეს მართლა ლენიმ გაავეთა, — სლიმი შშვიდად მიუბრუნდა ჭორჭს, — კისერი აქვს მოგრეხილი, ამას ლენი თუ გაავეთებდა. [SEP]

ჭორჭმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ ნელა დაუკრა თავი. შლაპა ისე ჰქონდა შუბლზე ჩამოფხატული, რომ თვალები არ უჩანდა. [SEP]

— ისე, როგორც უიდში მოხდა, — განაგრძო სლიმმა, — გახსოვს, მიყვებოდი. [SEP]

თაგვებსა და ადამიანებზე



ჭორჭმა ისევ დაუქნია თავი. [SEP]

სლიმმა ამოიოხოდა. [SEP]

— მისი შეპყრობა მოგვიწევს. როგორ ფიქრობ, სად წავიდოდა? [SEP]

ჭორჭს დიდი დრო დასჭირდა, ხმა რომ ამოეღო. [SEP]

— ის... ალბათ სამხრეთით წავიდოდა. ჩვენ ჩრდილოეთიდან მოვედით, ამიტომ სამხრეთით წავიდოდა. [SEP]

— მისი დაჭერა მოგვიწევს, — გაიმეორა სლიმმა. [SEP]

ჭორჭი ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა. [SEP]

— იქნებ დავიჭიროთ და სადმე დავამწყვდიოთ? ის ხომ სულელია, სლიმ ავი განზრახვით არ იჩამდა. [SEP]

— შეიძლება, — სლიმი დაეთანხმა, — აი, მხოლოდ ქარლის თუ მოვუხერხებთ რამეს. მის მოსაკლავად წავიდა. ისევ გაცოფებულია თავისი ხელის გამო. მაგრამ ლენი რომც დაიჭირონ, დააბან და სამუდამოდ გამოამწყვდიონ, არც ეს იქნება ხსნა, ჭორჭ. [SEP]

— ვიცი, — უთხრა ჭორჭმა, — ვიცი. [SEP]

კარლსონი გააფთრებული შემოვარდა. [SEP]

— იმ ნაბიჯვარმა ჩემი ლუგერი მოიპარა, — იყვირა მან, — ჩანთაში აღარ დევს. [SEP]

უკან ქარლი შემოჰყვა. ხელში თოფი ეჭირა. ახლა უკვე დამშვიდებული იყო. [SEP]

— არა უშავს, ბიჭებო, — თქვა მან, — ზანგს პერნია თოფი. ეს წაიღე, კარლსონ. თვალს როგორც კი მოპერავ, არ დაგისხლტეს, პირდაპირ ნაწლავებში ესროლე. [SEP]

— მე არა მაქვს იარაღი, — თქვა აღელვებულმა უიტმა. [SEP]

— შენ სოლედადში წადი და პოლიციას გააგებინე, — უთხრა ქარლიმ, — ალ უილცი მოძებნე, შერითის მოაღვილეა. მიდი, სწრაფად, — შემდეგ კი ჭორჭს გახედა ეჭვით, — შენც ჩვენთან ერთად მოდიხარ, ბიჭო? [SEP]

— ჰო, — მიუგო ჭორჭმა, — მეც მოვდივარ. მაგრამ მისმინე, ქარლი, საბრალო ნაბიჯვარი ჭკუასუსტია. არ ესროლო. არ იცოდა, რას აკეთებდა. [SEP]

— არ ვესროლო? — დაიღრიალა ქარლიმ, — მან კარლსონის ლუგერი მოიპარა. ამიტომაც ვესვრით. [SEP]



ჭონ სტაინბეკი

- იქნებ ვარლსონმა დავარგა თავისი იარაღი, – ყოყმანით უთხრა ჭორჭა. [SEP]
- არა, დილით შევამოწმე, – უპასუხა ვარლსონმა, – მოპარულია. [SEP]
- სლიმი იდგა და ქარლის ცოლს დაჰყურებდა. [SEP]
- ქარლი, – უთხრა მან, – იქნებ ჭობდეს, აქ, შენს ცოლთან დარჩე. [SEP]
- მოვდივარ, – ქარლის სახე წამოუჭარხლდა, – მე თვითონ უნდა მოვუღო ბოლო იმ ნაბიჭვარს, თუნდაც ცალი ხელით. უნდა დავიჭირო. [SEP]
- სლიმი ქენდის მიუბრუნდა. [SEP]
- მაშინ შენ დარჩი მასთან, ქენდი. დანარჩენები ჭობია წავიდეთ. [SEP]
- დაიძრნენ. ჭორჭი ერთი წამით ქენდის წინ შეყოვნდა და ორთავებ გოგონას ცხედარს დახედეს. ამ დროს ქარლიმისევ დაიყვირა. [SEP]
- ეი, ჭორჭ, არ ჩამოგვრჩე, თუ არ გინდა ვითიქროთ, რომ შენც რაღაცაში ხარ ვარეული. [SEP]
- ჭორჭი ნელა გაჰყვა უკან, ფეხებს მძიმედ მიათრევდა. [SEP]
- ყველა რომ წავიდა, ქენდი თივაზე ჩაიცუცეა და ქარლის ცოლს დააცექერდა სახეზე. [SEP]
- საცოდავი ძუვნა, – თქვა ჩუმად. [SEP]
- კაცების ხმა მისუსტდა. საჭინიბოში ბნელოდა. ცხენები ფეხებს აბავუნებდნენ და ჭაჭვის აღვირს აწვარუნებდნენ. მოხუცი ქენდი თივაში ჩაწვა და თვალებზე ხელები აითარა. [SEP]
- საღამოხანს მდინარე სალინასის ღრმა და მწვანე გუბურა უძრავად იდგა. მზე უკვე მოშორებოდა ხეობას და გაბილანის მთების ფერდობზე გადაენაცვლა. მთის წვერები მზის შუქზე მოვარდისფროდ ჩანდა. სანაპიროზე კი, თეთრხალებიანი ნეკერჩხლების გასწვრივ, სასიამოვნო ჩრდილობი იყო. [SEP]
- წყლის გველი გუბურაში შეუფერხებლად მიიკლავნებოდა, მხოლოდ შიგადაშიგ ამოყოფდა ხოლმე პერიოსკოპივით თავს. მთელი გუბურა გადასერა და ფეხებთან მიუცურდა უძრავ ყანჩას, მარჩხობში რომ იჭდა. უეცრად ყანჩის გარინდული თავი და ნისკარტი შურდულივით დააცხრა გველს, თავი წააწყვიტა და ისე სწრაფად გადასანსლა, რომ კუდი ჭერ კიდევ უიმედოდ იკლავნებოდა წყალში. [SEP]

თაგვებსა და ადამიანებზე

სადღაც შორეთიდან უცირად ძლიერმა ქარმა დაპბერა და ხის კენწეროებს ტალღასავით გადაურბინა. ნეკერჩხსლის ფოთლებმა ვერცხსლისფერი ბედაპირი გამოაჩინეს. მიწაზე დაყრილი ყავისფერი, გამხმარი ფოთლები რამდენიმე ფუტის სიმაღლეზე აფრიალდა და ისევ მიწაზე დაეშვა. ბოლოს კი მსუბუქი ნიავის ტალღებმა გუბურის მწვანე ზედაპირსაც გადაუარა. [SEP]

ქარი მალევე ჩადგა და მდელოზე კვლავ სიმშვიდემ დაისადგურა. ყანჩა მარჩხობში ისევ უძრავად იჭდა და ელოდა. გუბურაში უკვე სხვა წყლის გველს შეეცურა, ისიც შიგადაშიგ პერიოსკოპივით წყლიდან თავს ყოფდა ხოლმე. [SEP]

უცირად ბუჩქებში ლენი გამოჩნდა, დათვივით ფრთხილად მობობდავდა. ყანჩამ ჰაერი ფრთებით გაკვეთა, ზევით აინია და მდინარეს დაღმა დაუყვა. გველი სანაპიროს მხარეს, ლელიანში მიიმალა. [SEP]

ლენი უხმაუროდ მივიდა გუბურის ნაპირთან, დაიხარა და წყალი მოსვა. მის უკან, გამხმარ ფოთლებში ჩიტი შეფრთხიალდა, ლენი უცებ ნამოინია და ხმას მიაყურადა, შემდეგ ჩიტს მოჰკრა თვალი, ისევ დაიხარა და წყლის დალევა განაგრძო. [SEP]

როცა წყლის სმას მორჩა, სანაპიროზე, მდინარისკენ ზურგით ჩამოჭდა, ბილიკისთვის რომ თვალი ედევნებინა. ფეხები მოიკეცა და ნიკაპი მუხლებზე ჩამოდო. [SEP]

მზის შუქმა ნელ-ნელა დატოვა ხეობა და მთებისკენ დაიძრა, თითქოს მთის წვერებზე ცეცხლის ალად აინთო. [SEP]

— არ დამვიწყებია, ბუჩქებში რომ უნდა დავმალულიყავი და ჭორჭისთვის აქ დამეცადა, — თქვა ლენიმ ჩუმად და შლაპა თვალებზე ჩამოიფხატა, — ჭორჭი ძალიან გამიბრაზდება, ინატრებს, რომ მარტო იყოს და მე არ ვყავდე კუდზე გამობმული. [SEP]

თავი მოაბრუნა და მთის განათებულ წვერს გახედა. [SEP]

— შემიძლია იქ ჩავიდე და გამოქვაბული მოვძებნო, — თქვა სევდიანად, — და არასდროს შევჭამო კეტჩუპი... და არ ვიდარდო ამაზე. თუ ჭორჭს არ ვენდომები... ჩავალ. ჩავალ. [SEP]

უცირად ლენის თავიდან პატარა, მსუქანი ქალი ამოფრინდა, სქელშუშებიანი სათვალე და კუბოკრული ქსოვილის ჭიბეებიანი წინსაფარი



ჭონ სტაინბეკი

ეკეთა – გახამებული და სუფთა. ლენის წინ დოინჯემორტყმული იდგა და გაბრაზებული უბღვერდა.^[SEP]

და როცა დაილაპარავა, ლენიმ საკუთარი ხმა გაიგონა.^[SEP]

– რამდენჯერ გაგაფრთხილე, რომ ჭორჭისთვის დაგეჯერებინა, – უთხრა მან, – ის ისეთი საუცხოო ადამიანია და შენთვის მხოლოდ ვარგი უნდა. მაგრამ შენ ეს არ განაღვლებს. ყოველთვის რაღაცას აშავებ.^[SEP]

– ვცდილობდი, დეიდა კლარა, – მიუგო ლენიმ, – ძალიან ვცდილობდი, მაგრამ არაფერი გამომივიდა.^[SEP]

– შენ ჭორჭე სულ არ გითიქრია, – განაგრძობდა ქალი ლენის ხმით, – ყოველთვის კეთილად გეპყრობოდა. ერთი ცალი ღვეზელი რომ ჰქონოდა, ნახევარს შენ გაძლევდა, ზოგჯერ ნახევარზე მეტსაც კი. თუ კეტჩუპი ექნებოდა, მთლიანად შენ გითმობდა.^[SEP]

– ვიცი, – უთხრა ლენიმ შესაბრალისად, – ვცდილობდი, დეიდა კლარა, ძალიან ვცდილობდი.^[SEP]

– შენ რომ არა, – გააწყვეტინა ქალმა, – დარდიც არ ექნებოდა არაფრის. აიღებდა თავის გასამრჯელოს, წავიდოდა და ბორდელში ან საბილიარდოში დახარჭავდა. მაგრამ შენთვის უნდა მიეხედა.^[SEP]

ლენიმ დარდისგან ამოიკვნესა.^[SEP]

– ვიცი, დეიდა კლარა. წავალ მთებში, მოვძებნი გამოქვაბულს, იქ ვიცხოვრებ და ჩემ გამო ჭორჭი შარში აღარ გაეხვევა.^[SEP]

– შენ სულ ამას იმეორებ, – უთხრა ქალმა მკვახედ, – ყოველთვის ამას ამბობ, არადა, ვარგად იცი, ნაბიჭვარო, რომ არსაც წამსვლელი არ ხარ. ყოველთვის ფეხებში გამოედები და ჭორჭს სისხლს გაუშრობ.^[SEP]

– მაგრამ მე შემიძლია წავიდე. ჭორჭი მაინც აღარ მომცემს კურდღლების მოვლის უფლებას, – უთხრა ლენიმ.^[SEP]

დეიდა კლარა გაუჩინარდა და ლენის თავიდან ახლა გიგანტური კურდღლელი ამოძვრა, მის წინ უკანა ფეხებზე მოკალათდა, ყურები ააქიცინადა ცხვირი მოიქმუხნა. კურდღლელმაც ლენის ხმით დაილაპარავა.^[SEP]

– კურდღლების მოვლაო? – უთხრა ამრეზით, – შეშლილო ნაბიჭვარო, კურდღლის ფეხის ფრჩხილადაც არ ღირხარ. დაგავიწყდება და მშივრებს დაყრი. აი, ეგ იქნება შენი მოვლა. და მერე ჭორჭი რას იფიქრებს?^[SEP]

თაგვებსა და ადამიანებზე

- არ დამავიწყდება, – მიუგო ლენიმ ხმამაღლა. [SEP]
- დაგავიწყდება, – დაიჟინა კურდღელმა, – იმ ფანგიანი ლურსმნების ღირსიც კი არ ხარ, ჭოჭოხეთში რომ ჩაგასობენ. ღმერთია მოწამე, ჭორჭმა ყველაფერი გააკეთა, ჭუჭყიდან რომ ამოეთრიე, მაგრამ რა აზრი აქვს. თუ ფიქრობ, რომ ჭორჭი კურდღლების მოვლის უფლებას მოგცემს, მაშინ კიდევ უარესად გაგიფრენია. ამის უფლებას არ მოგცემს. ჭოხით ისე გცემს, რომ სულს ამოგხდის. [SEP]
- ჭორჭი ამას არ იზამს, – მრისხანედ გაეპასუხა ლენი, – ამას არათრით არ იზამს. მე ჭორჭს იმ დროიდან ვიცნობ – უკვე დამავიწყდა კიდეც, რა დროიდან – და ჭოხით არასდროს ვუცემივარ. ის კარგად მეპყრობა. ჭორჭი ბოროტი არ არის. [SEP]
- ჭოხით გცემს, – შეუტია კურდღელმა, – ჭერ ცემით სულს ამოგხდის, მერე დაგტოვებს და წავა. [SEP]
- არ იზამს, – იყვირა ლენიმ ხმამაღლა, – ამას არ იზამს. მე ვიცნობ ჭორჭს. ჩვენ სულ ერთად ვართ. [SEP]
- მიგატოვებს, შემლილო ნაბიჭვარო, – არ ეშვებოდა კურდღელი, – მარტო დაგტოვებს. შემლილო ნაბიჭვარო. [SEP]
- ლენიმ ყურებზე ხელი აითარა. [SEP]
- არა, არ მიმატოვებს. გეუბნები, არ მიმატოვებს, – და შეძყვირა, – ოჰ, ჭორჭ, ჭორჭ, ჭორჭ. [SEP]
- ჭორჭი ბუჩქებიდან გამოვიდა და კურდღელი თვალის დახამხამებაში ლენის თავში ჩაბრუნდა. [SEP]
- რა ჭანდაბა გაყვირებს? – ხმადაბლა უთხრა ჭორჭმა. [SEP]
- არ მიმატოვებ, ხომ, ჭორჭ? ვიცი, რომ არ მიმატოვებ, – ლენი ფეხზე წამოხტა. [SEP]
- ჭორჭი ცივად მიუახლოვდა და მის წინ ჩამოკდა. [SEP]
- არა. [SEP]
- ვიცოდი, – დაიყვირა ლენიმ, – შენ ასეთი არ ხარ. [SEP]
- ჭორჭი დუმდა. [SEP]
- ჭორჭ. [SEP]
- ჰო. [SEP]

ჭონ სტაინბეკი

- კიდევ ერთი დანაშაული ჩავიდინე. [SEP]
- ამას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს, – უთხრა ჭორჭმა და ისევ გაჩუმდა.

[SEP]

მზის სხივი მხოლოდ ყველაზე მაღალ ქედებს ეცემოდა. ჩრდილობი ხეობაში ლურჯი და ბუნდოვანი იყო. შორიდან ადამიანების ხმა ისმოდა, ერთმანეთს ეძახდნენ. ჭორჭმა თავი მიაბრუნა და მიაყურადა. [SEP]

- ჭორჭ, – უთხრა ლენიმ. [SEP]
- ჰო. [SEP]
- ჭანდაბაში არ გამაგზავნი? [SEP]
- ჭანდაბაში? [SEP]
- ჰო, როგორც ყოველთვის. აი, ისე, „შენ რომ არა, ავიღებდი ჩემს ორმოცდაათ დოლარს...“ [SEP]
- ღმერთო ჩემო, ლენი! არაფერი არ გახსოვს, რაც ხდება, მაგრამ ჩემს ყოველ სიტყვას იმახსოვრებ. [SEP]
- არ იტყვი? [SEP]

ჭორჭმა როგორდაც თავი ხელში აიყვანა და უსიცოცხლო ხმით უთხრა. [SEP]

- მარტო რომ ვიყო, მარტივად ვიცხოვრებდი. [SEP]
- ჩამქრალი, უემოციო ხმა ჰქონდა. [SEP]
- ვიშოვნიდი სამსახურს და შარში არ გავეხვეოდი. [SEP]
- ჭორჭი გაჩუმდა. [SEP]
- განაგრძე, – უთხრა ლენიმ. [SEP]
- და თვის ბოლო რომ მოვა... როდესაც თვის ბოლო მოაღწევდა, ავიღებდი ჩემს ორმოცდაათ დოლარს... და ბორდელში წავიდოდი, – ისევ გაჩუმდა. [SEP]

ლენი მოთმინებით შეპურებდა. [SEP]

- განაგრძე, ჭორჭ. მე ჭანდაბაში არ გამაგზავნი? [SEP]
- არა, – მიუგო ჭორჭმა. [SEP]
- შემიძლია წავიდე, – უთხრა ლენიმ, – აი, იმ მთებში წავალ და გამოქვაბულს მოვძებნი, შენ თუ არ გჭირდები. [SEP]
- არა, – მიუგო ჭორჭმა მშვიდად, – მინდა, რომ ჩემთან დარჩე. [SEP]
- მომიყევი, როგორც ადრე მიყვებოდი ხოლმე, – მარჯვედ შეაგება

თაგვებსა და ადამიანებზე

ლენიმ. [P]

– რა მოგიყვე? [P]

– სხვა ბიჭებზე და ჩვენზე. [P]

– ჩვენნაირ ბიჭებს ოჯახები არ ჰყავთ, – უთხრა ჭორქმა, – მცირე გასამრტელოს მიიღებენ თუ არა, მაშინვე გაანიავებენ. დედამიწის ზურგზე არავინ ჰყავთ ხმის გამცემი... [P]

– მაგრამ ჩვენ არა, – წამოიყვირა ლენიმ მხიარულად, – ჩვენზე თქვი, ჭორქ. [P]

ჭორქი ცოტა ხნით დადუძდა. [P]

– მაგრამ ჩვენ არა. [P]

– იმიტომ რომ... [P]

– იმიტომ რომ მე შენ მყავხარ და... [P]

– და შენ მე. ჩვენ ერთმანეთი გვყავს და ყოველთვის ვზრუნავთ ერთმანეთზე, – აღტაცებით წამოიყვირა ლენიმ. [P]

მდელოზე საღამოს სუსტმა ნიავმა დაპბერა, ფოთლები აშრიალდა და ნიავის ტალღებმა მწვანე გუბურის ზედაპირს გადაურბინა. ადამიანების ხმა ისევ გაისმა, ამჯერად უფრო მკაფიოდ, ვიდრე წინაზე. [P]

ჭორქმა შლაპა მოიხადა. [P]

– ქუდი მოიხადე, ლენი, – უთხრა ჭორქმა ენის ბორძიკით, – დღეს მშვენიერი ამინდია. [P]

ლენიმ მორჩილად მოიხადა ქუდი და მის წინ, მიწაზე დადო. ხეობაში მოლურქო ჩრდილი იდგა, სწრაფად ბინდდებოდა. ქარმა ბუჩქების ტკაცატკუცის ხმა მოიყოლა. [P]

– მოყევი, როგორ იქნება, – უთხრა ლენიმ. [P]

ჭორქი შორეულ ხმებს უგდებდა ყურს. სახე დაძაბული ჰქონდა. [P]

– მდინარის მიღმა იყურე, ლენი. მე მოგიყვები და შენ კი მთელ ამ სურათს დაინახავ. [P]

ლენიმ თავი მიაბრუნა და გუბურის მიღმა, გაბილანის მთის ფერდობებისკენ დაიწყო ცქერა. [P]

– პატარა რანჩო გვექნება, – განავრძო ჭორქმა, გულის ჭიბეში ჩაიყო ხელი და კარლსონის ლუგერი ამოიღო. ჩახმახი შემართა და

ჭონ სტაინბეკი

თოფშემართული ხელიც ლენის ზურგსუკან, მიწაზე ჩამოდო. ლენის კეფის დაავვირდა, იმ ადგილს, სადაც ხერხემალი და თავის ქალა უერთდებოდა ერთმანეთს. [SEP]

მდინარის მხრიდან ვაცის ხმა მოისმა, რომელსაც მეორე იმწამსვე გამოეპასუხა. [SEP]

— განაგრძე, — უთხრა ლენიმ. [SEP]

ჭორჭმა იარაღი ასწია, მაგრამ ხელი აუკანვალდა და მიწაზე ჩამოდო. [SEP]

— განაგრძე, — გაუმეორა ლენიმ, — როგორ იქნება, როგორი მიწა გვექნება. [SEP]

— ძროხა გვეყოლება, — უთხრა ჭორჭმა, — შეიძლება გოჭები და წიწილებიც გვყავდეს... იონჭას პატარა ნაკვეთიც გვექნება... [SEP]

— კურდღლებისთვის, — დაიყვირა ლენიმ. [SEP]

— კურდღლებისთვის, — გაიმეორა ჭორჭმა. [SEP]

— და მე მოვუვლი კურდღლებს. [SEP]

— შენ მოუვლი კურდღლებს. [SEP]

ლენი ბედნიერებისგან ხითხითებდა. [SEP]

— და ვიცხოვრებთ და შევჭამთ ამ მიწის დოვლათს... [SEP]

— ჰო. [SEP]

ლენიმ თავი მიაბრუნა. [SEP]

— არა, ლენი, წინ იყურე, მდინარის გადაღმა და მთელ სურათს დაინახავ.

[SEP]

ლენი დაემორჩილა. ჭორჭმა იარაღს დახედა. [SEP]

ჭორჭი შებრუნდა და ბუჩქნარისკენ გაიხედა — ფეხის ხმა ახლოვდებოდა. [SEP]

— განაგრძე, ჭორჭ. ამას როდის ვიზამთ? [SEP]

— მალე. [SEP]

— მე და შენ. [SEP]

— შენ... და მე. ყველა ვარგად მოგექცევა. უსიამოვნებები არ გექნება.

არავინ არავის არაფერს დაუშავებს და არც წაართმევს. [SEP]

— მეგონა ჩემზე გაბრაზებული იყავი, ჭორჭ, — უთხრა ლენიმ. [SEP]

— არა, — მიუგო ჭორჭმა, — არა, ლენი, არ ვარ შენზე გაბრაზებული. არც

თაგვებსა და ადამიანებზე

არასტროს ვყოფილვარ. მინდა, რომ ეს იცოდე. [SEP]

ხმები უკვე ძალიან ახლოს ისმოდა. ჭორქმა თოფი ასწია და ხმებს მიუგდო ყური. [SEP]

— გთხოვ, ახლავე, — შეეხვენა ლენი, — ახლავე წავიდეთ იმ ადგილას. [SEP]

— წავალთ, ახლავე წავალთ. მე... ჩვენ... [SEP]

ჭორქმა თოფი ასწია, შეიმაგრა და ლენის ვეფასთან ახლოს მიუტანა ლულა. ხელი უცახცახებდა, მაგრამ სახე პქონდა მტკიცე და ხელიც დაიმორჩილა. სასხლეებს გამოჰკრა. გასროლის ხმა მთებს მისწვდა და ექოებად დაბრუნდა უკან. ლენი დაიკრუნჩხა, შემდეგ კი ნელ-ნელა გადაწვა წინ, ქვიშაზე, არც კი განძრეულა. [SEP]

ჭორქს შეაყრეოლა, იარაღს დახედა, შემდეგ კი უკან, ძველი ნაკვერჩხლების გროვისკენ მოისროლა. [SEP]

ბუჩქები გაივსო შეძახილებითა და ფეხის ხმით. [SEP]

— ჭორქ, სად წახვედი, ჭორქ? — სლიმი იყო. [SEP]

ჭორქი გაქვავებული იჭდა და თავის მარტვენა ხელს დაჰყურებდა, ცოტა ხნის წინ რომ იარაღი მოისროლა. კაცების ჭკუფი მდელობე გამოვარდა, ქარლი მოუძღვნდათ. [SEP]

— მორჩა! ესეც ასე! [SEP]

მიუახლოვდა და ლენის დახედა, შემდეგ კი ისევ ჭორქს მიუბრუნდა. [SEP]

— პირდაპირ ვეფაში, — უთხრა ჩუმად. [SEP]

სლიმმა კი მაშინვე ჭორქისკენ გასწია და მის წინ დაჭდა, მასთან ძალიან ახლოს. [SEP]

— ხდება ხოლმე, — უთხრა სლიმმა, — ზოგჯერ ასეთი რამის გაკეთებაც გინევს ადამიანს. [SEP]

— როგორ გააკეთე? — კარლსონი თავზე წამოადგა. [SEP]

— უბრალოდ გავაკეთე, — უთხრა ჭორქმა დაქანცული ხმით. [SEP]

— ჩემი თოფი პქონდა? [SEP]

— ჰო, შენი თოფი პქონდა. [SEP]

— იარაღი წაართვი და ესროლე? [SEP]

— ჰო, — ჭორქი თითქმის ჩურჩულებდა. დაჟინებით წაშტერებოდა თავის მარტვენა ხელს, რომლითაც ცოტა ხნის წინ იარაღი ეჭირა. [SEP]



ჭონ სტაინბეკი

სლიმმა ჭორჭს იდაყვში წაავლო ხელი. [P]

— წამოდი, ჭორჭ, მე და შენ წავიდეთ და დავლიოთ. — ფეხზე ადგომაში დაეხმარა, ჭორჭი არ შეწინააღმდეგებია. [P]

— დავლიოთ. [P]

— სხვა გზა არ გქონდა, ჭორჭ. — უთხრა სლიმმა, — გეფიცები, სხვა გზა არ გქონდა. წამოდი, წავიდეთ. [P]

და ბილიკით გზატკეცილისკენ წაიყვანა. [P]

ქარლიმ და კარლსონმა თვალი გააყოლეს. [P]

— ამათ რა ადარდებთ? — იკითხა კარლსონმა. [P]

თაგვებსა და აღამიანებზე

